პალიტრა მედია

# ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
19 მაისი **ორშაბათი** 2014
№094 (14 315) ფასი 80 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა



12

# მანუ, მანუ, მანუ!

მარკოიშვილის სამქულიანებმა გალათასარაი გავარდნისგან იხსნა

# ათლეტიკო




7



## ტატამ ხელები გაატატანა: ბარსელონას აღარ გავწვრთნი

## ნგრევა პამპლონაში



4

## დუბლი კარიერის დასრულების შემდეგ



5

## ვენგერმა თასი აწია



16

## ევროპა მაქაბისაა

საქართველოს ნაკრების წევრმა რიკი ჰიკმანმა ჯერ რუსული ცსკა ჩამოიშორა, ფინალში კი რეალი დაამარცხა

## არმია ფინალშია




საჩემპიონო მატჩში ლელო და არმია ითამაშებენ

13



12

სუპერლიგის ფინალი: დინამო-ქუთაისი

## ქუთაისმა ისტორია დაწერა



2-4

## დინამო ჩემპიონთა ლიგაზე, ზესტაფონი, სიონი, ჩიხურა ევროპალიგაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

I–VI ადგილები

# ლალი ჩემპიონი



ჩისკომ დუბლი შეასრულა და ბომბარდირიც გახდა
გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

17.05. თბილისი. დინამო არენა.
500 მაყურებელი

| | |
|---|---|
| დინამო (თბ) | 2 |
| მეტალურგი | 0 |

1:0 ჩისკო (19. კვირკველიას პასით), 2:0 ჩისკო (58. მარცვალაძის პასით)

დინამო (4-3-3): ლორია - ხურცილავა, ხიდეშელი (74. რეხვიაშვილი), გველესიანი, კვირკველია - გოგა (46. პაპუნაშვილი), ძარია (46. ცინცაძე), პაპავა - ჩისკო, მარცვალაძე, მერებაშვილი.

*სათადარიგოები: ჯანელიძე, გორგიაშვილი, მოდებაძე, მიგინეიშვილი.*

მწვრთნელი: მალხაზ ჟვანია

მეტალურგი (4-4-2): სეფიაშვილი - ექვთიმიშვილი, მახვილაძე, ვ. კილასონია, საჯაია -სეთურიძე, დობროვოლსკი, ცნობილაძე (62. გ. კილასონია), ი. გოგინაშვილი (80. გოცაძე) -ქავთარაძე, კაკაშვილი (61. კიტეიშვილი).

*სათადარიგოები: მიქელაძე, გულუა, პაქსაშვილი, ბედიაშვილი*

მწვრთნელი: ვარლამ კილასონია

არბიტრი: ა. ნონიკაშვილი

...როგორც მოსალოდნელი იყო, ლალი და „გახსნილი“ თამაში ვიხილეთ: ბოლო ტურის მატჩი ხომ სატურნირო თვალსაზრისით არაფერს წყვეტდა. ამის მიუხედავად, მასპინძელთა მთავარი მწვრთნელი **მალხაზ ჟვანია,** ფაქტობრივად, ოპტიმალურ შემადგენლობას დაეყრდნო; აი, მისმა კოლეგა **ვარლამ კილასონიამ** კი წინა ტურთან შედარებით შემადგენლობაშიც გარკვეული კორექტივები შეიტანა და გუნდის ტაქტიკურ სქემაშიც: ისე როგორც ამ გუნდებს შორის ჩატარებულ პირველი ეტაპის ბოლო ტურის შეხვედრაში, „მეტალურგი“ ამჯერადაც გამოკვეთილი თავდამსხმელ(ებ)ის გარეშე გავიდა მოედანზე.

სტუმართა გუნდში არანაკლები სიახლე იყო ის ფაქტიც, რომ გამოცდილი მეკარის, **გრიგოლ ბედიაშვილის** გარდა „მეტალურგის“ სათადარიგოთა სკამზე მყოფი დანარჩენი 5 ფეხბურთელი 17-18 წლის ბიჭები იყვნენ, წინა დღეს ზედიზედ მეორედ რომ მოიგეს ჭაბუკთა ლიგა! აქვე, ბარემ ისიც აღვნიშნოთ, რომ ჭაბუკთა ლიგაში გუნდი ზედიზედ ორჯერ რომ გახდება საქართველოს ჩემპიონი და ამ გუნდიდან საქართველოს ასაკობრივ ნაკრებებში არც ერთ ფეხბურთელს არ მიიწვევენ, ცოტა არ იყოს, უცნაურია...

...ისევ ბოლო ტურის მატჩის დავუბრუნდეთ, „დინამომ“ ჩემპიონის რანგში რომ ჩაატარა და სტადიონზე მისულმა მცირერიცხოვანმა გულშემატკივარმაც ჩვენი ჩემპიონატის კვალობაზე არცთუ ურიგო შეხვედრა იხილა. ჰო, როცა ორივე გუნდის ფეხბურთელები ყოველგვარ სატურნირო ვარიაციებზე არ ფიქრობენ, თამაში საცქერად საამო გამოდის ხოლმე და ასე იყო ამ შემთხვევაშიც. თანაც, ჰაერის მაღალი ტემპერატურის მიუხედავად, მატჩის ტემპი მაღალი იყო და მთელი შეხვედრის განმავლობაშიც არაერთი სახიფათო მომენტი ვიხილეთ.

მასპინძელთა შორის პირველი წუთებიდანვე აქტიურობდა **ჩისკო,** თუმცა ბევრად უფრო სახიფათო გამოდგა სტუმართა ის შეტევა, **გიორგი ქავთარაძემ** მახვილი კუთხიდან ძლიერი დარტყმით რომ დაამთავრა - **გიორგი ლორიამ** ამ ეპიზოდში (ისე როგორც - მთელი მატჩის განმავლობაში) უშეცდომოდ ითამაშა და ბურთი კუთხურზე მოიგერია. ბევრად უფრო სახიფათო იყო „დინამოს“ საპასუხო შეტევა: **ოთარ მარცვალაძის** ჩინებული პასით **ირაკლი ძარიამ** ბურთი სტუმართა კარის ძელს გაარტყა.

საერთოდაც, ვიდრე შეცვლიდნენ, ძარია ერთ-ერთი გამორჩეული გახლდათ ორივე გუნდის შემადგენლობაში და, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც უაღრესად შრომატევადი სამუშაო გასწია. ამასობაში კი მოედანზე ისეთი თამაში გაჩაღდა, თქვენი მოწონებული: ჯერ იყო და მასპინძელთა საჯარიმოს მისადგომებთან მყოფმა **გიორგი სეთურიძემ** მართლაც ურთულესი მდგომარეობიდან სცადა გოლის გატანა, მაგრამ გიორგი ლორია ამ ეპიზოდშიც ჩინებულად გაისარჯა.

აი, საპირისპირო კართან წამოწყებული მორიგი იერიში კი უკვე შედეგიანი გამოდგა: მარჯვენა გარემარბის (!) პოზიციაზე აღმოჩენილმა **დავით კვირკველიამ** „ცაციათი“ ბურთი მეტოქის საჯარიმოში „ჩააბრუნა“, სადაც ყველას ჩისკომ დაასწრო და მართლაც ეფექტური და ზუსტი თავური დარტყმით ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირობაც გაინაღდა! „მეტალურგი“ გოლს არ „გაუტეხავს“ და სტუმრები ამჯერად უკვე შორი მანძილიდან შესრულებული ერთობ სახიფათო დარტყმებით ცდილობდნენ საპასუხო გოლის გატანას, თუმცა **დენის დობროვოლსკისა და აკაკი კაკაშვილს** მიზნის მიაღწევად სულ მცირედი აკლდებოდათ, ისე, როგორც **ირაკლი გოგინაშვილს,** რომელიც გიორგი სეთურიძის ფლანგური გარღვევის მერე თავით ცდილობდა გოლის გატანას.

ტაიმის ბოლომდე „დინამოსაც“ შეეძლო უპირატესობის განმტკიცება, მაგრამ ვერც **დორინ გოგამ** ვერ ისარგებლა ხელსაყრელი მომენტით და ვერც ჩისკომ: ეს უკანასკნელი **გიორგი მერებაშვილის** ჩინებული პასის მერე კარის წინ, ფაქტობრივად, მარტო აღმოჩნდა, მაგრამ მეტოქის მცველებთან ორთაბრძოლისას ბურთი კარსზემოთ გადააცილა.

შესვენების დროს „დინამოს“ დუბლშემადგენლობის დაჯილდოების ცერემონიალი ვიხილეთ: საქართველოს ნაკრებისა და თბილისის „დინამოს“ ყოფილი ნახევარმცველის **კახა გოგიჩაიშვილის** დამოძღვრილი გუნდი ვადაზე ადრე გახდა საქართველოს ჩემპიონი! აი, რაც შეეხება „დინამო“-“მეტალურგის“ მატჩის მეორე ტაიმს, ორივე გუნდის ფეხბურთელებს მონდომება არც ამჯერად დაეწუნებოდათ. თანაც, ჩისკოს მეორე გოლმა (ესპანელმა ფორვარდმა ოსტატური პაუზა გააკეთა და ახლო მანძილიდან ზუსტად დაარტყა) მასპინძლებს უფრო მეტი მუხტი შეჰმატა. ისინი კიდევ რამდენჯერმე დაემუქრნენ **კოკა სეფიაშვილის** კარს, თუმცა **გიორგი გველესიანის** „თავური“ თუ ძელს მოხვდა, **გიორგი რეხვიაშვილის** დარტყმული „მეტალურგის“ მეკარემ მოიგერია.

აი, რაც შეეხება სტუმრებს, მათი თამაში შესამჩნევად „გამოცოცხლდა“, როცა მოედანზე ორი ჭაბუკი **გიორგი კილასონია** და **ოთარ კიტეიშვილი** გამოჩნდა; ნიჭიერმა ფეხბურთელებმა რამდენჯერმე მწვავედ შეუტიეს „დინამოს“ კარს: გიორგი კილასონიას შორეული დარტყმა გიორგი ლორიამ გააუვნებელყო, მისივე წამოწყებული კომბინაციის შემდეგ **დავით საჯაია** „დინამოს“ მეკარესთან პირისპირ აღმოჩნდა, მაგრამ ლორიამ ამჯერადაც იყოჩაღა, „დამატებაზე“ კი ყველას კიტეიშვილმა დაასწრო, მაგრამ კუთხე ძალიან მახვილი იყო და ბურთი მიზანს მცირე მანძილით ასცდა.

...და აი, **არსენ ნონიკაშვილის** საფინალო სასტვენიც: „დინამომ“ საჩემპიონო თასი და ოქროს მედლები საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ **ზვიად სიჭინავასგან** ჩაიბარა, მერე იყო შამპანური, საჩემპიონო ფოიერვერკი და ამ წარმატების აღნიშვნა კლუბის ერთგულ ფანებთან ერთად! სიხარულს ვერ მალავდა „დინამოს“ პრეზიდენტი **რომან ფიფიაც:** მისი ხელმძღვანელობით გუნდმა უკვე მესამე ტიტული მოიგო, მეოთხეს მოპოვების შანსი კი სამ დღეში კიდევ ექნება...

**გია ტუხაშვილი**

# ვერცხლის ჟღარუნი ზესტაფონში

17.05. ზესტაფონი. დ. აბაშიძე.
2 500 მაყურებელი

| | |
|---|---|
| ზესტაფონი | 0 |
| სიონი | 0 |

ზესტაფონი (4-4-2): პავლოვიჩი (46. მეშველიანი) - გაგოშიძე, თედ. გრიგალაშვილი, ჭელიძე, გურული - დოლიძე, შარიქაძე, კუხიანიძე (57. ჭანკოტაძე), გენაძე - საბანაძე (52. კაპანაძე), ტატანაშვილი.

*სათადარიგოები: ფანცულაია, სარდალიშვილი, კაკუშაძე, ჭანტურიშვილი.*

მწვრთნელი: გია გეგუჩაძე

სიონი (4-4-1-1): ზუხბაია - ოქროპირიძე (90. სიგუა), ფოფხაძე, სვანიძე, თოთაძე - ლობჟანიძე, მამასახლისი (85. ტაბიძე), იმედაშვილი, გიორბელიძე - მიკუჩაძე (59. ჯაფარიძე) - უგულავა.

მწვრთნელი: არმაზ ჯელაძე

*სათადარიგოები: ბათიაშვილი, ბურნაძე, ისიანი*

გაფრთხილება: უგულავა (18), გიორგბელიძე (20), ოქროპირიძე (72), შარიქაძე (74), ჭელიძე (88)

გაძევება: უგულავა (81)

არბიტრი: თ. გვანცელაძე

სატურნირო თვალსაზრისით, შეხვედრას არანაირი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა - „ზესტაფონს“ ვერცხლი, ხოლო „სიონს“ ბრინჯაოს უკვე ჯიბეში უდევთ და მატჩსაც ზედმეტი ფსიქოლოგიური წნეხის გარეშე ხვდებოდნენ. ამის გათვალისწინებით, ვვარაუდობდით, რომ გუნდები გახსნილ და სანახაობრივ ფეხბურთს ითამაშებდნენ, მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა - **არმაზ ჯელაძის** გუნდმა აქცენტი დაცვაზე გააკეთა, ბოლნისელები ძირითადად საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე ზრუნავდნენ და საბოლოოდ ეს კარგადაც გამოუვიდათ. მართალია, თავად მთელი მატჩის განმავლობაში ერთადერთი რეალური საგოლე მომენტი შექმნეს, მაგრამ არც მასპინძლებს მისცეს გატანის საშუალება.

ბოლნისელთა მხრიდან ჩაკეტილი თამაშის მიუხედავად, **გია გეგუჩაძის** გუნდს არაერთხელ მიეცა გოლის გატანის შესაძლებლობა, მაგრამ დამაგვირგვინებელ ფაზაში არ უმართლებდა. ფორტუნა, განსაკუთრებით, **დიმიტრი ტატანაშვილს** შემოსწყრა, რომელსაც დინამოელ **ჩისკოსთან** პაექრობაში ჯერ კიდევ ჰქონდა ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირობის შანსი. ტატანაშვილს ამ მატჩში ოთხჯერ მაინც შეეძლო სტუმრების დამწუხრება, მაგრამ...

შეხვედრა თავიდანვე ზესტაფონელთა აქტიურობით დაიწყო, კარგად ირჯებოდა მარჯვენაფლანგელი **გრიგოლ დოლიძე,** რომელმაც საწყის წუთებში ორჯერ გამწვავა ვითარება, პირველად მის დარტყმულ ბურთს მცველები გადაელობნენ, მეორე ეპიზოდში კი დოლიძემ ტატანაშვილს გაუკეთა კარგი გადაცემა, მცველების გარემოცვაში მყოფმა ზესტაფონელთა გოლეადორმა კარში დარტყმა კი მოახერხა, მაგრამ მეკარე **ვლადიმერ ზუხბაიას** ბარიერი ვეღარ დაძლია.

სახიფათოდ დაარტყა **რევაზ გენაძემაც,** რომლის დარტყმულიც მეკარემ მუშტებით მოიგერია. მასპინძელთა შეტევები გაგრძელდა, დოლიძის ჩაწოდების შემდეგ **ნიკა საბანაძე** კარში თავით ურტყამდა, მაგრამ მცირედით ააცილა. გამოუყენებელი მომენტების გამო „ზესტაფონი“ კინაღამ დაისაჯა - **ზაზა მამასახლისმა** ჯარიმა საკმაოდ შორიდან დაარტყა, ბურთი მიწიდან ასხლეტით კარისკენ წავიდა, **ბოიან პავლოვიჩმა** გამოსვლაზე შეცდომა დაუშვა, მაგრამ ბურთი ხარიხას ოდნავ გადასცდა.

ამას ზესტაფონელებმა ძალზე მწვავე იერიშით უპასუხეს - **თედორე გრიგალაშვილი** კარგად გაისარჯა მარჯვენა ფლანგზე და მეკარის ბაქანთან ტატანაშვილს ფეხზე დაასვა ბურთი, მაგრამ მასპინძელთა ფორვარდმა საოცარი მომენტი ვერ გამოიყენა - ერთი შეხებით დარტყმული ბურთი ხარიხას ზემოდან გადასცდა.

შესვენების შემდეგ მატჩი ახალი განახლებული იყო, როცა გრიგალაშვილმა სახიფათოდ დაარტყა და ბოლნისელები კიდევ ერთხელ გადაურჩნენ გოლს. ძალიან კარგად ჩაერთო თამაშში **კუხიანიძის** ნაცვლად მოედანზე შესული **ჭანკოტაძე.** მან კარში ზედიზედ ორჯერ სახიფათოდ დაარტყა - პირველად, მისი დარტყმა მცირედით ასცდა სამიზნეს, მეორედ კი მეკარემ მოიგერია.

ზედიზედ ორჯერ მიეცა ბურთის გატანის შანსი ტატანაშვილსაც, მაგრამ ზესტაფონელთა მეგოლემ კვლავ უზუსტოდ ითამაშა. ბოლნისელთაგან კი **ოქროპირიძის** დარტყმაა გამოსარჩევი, რომელიც მცირედით ასცდა მიზანს. „ზესტაფონს“ სეზონის მაჟორულ ნოტზე დასრულება ეწადა და კაცნაკლულ „სიონს“ (უხეში თამაშისთვის **უგულავა** გააძევეს) ბოლო წუთებამდე უტევდა, მაგრამ ბევრი მცდელობის მიუხედავად გამარჯვების მოპოვება ვერ მოახერხა.

მატჩის შემდეგ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა **გიორგი ფირცხალავამ** ზესტაფონელები ვერცხლის მედლებით დააჯილდოვა.

**დავით კოხრეიძე**
ზესტაფონიდან

## საბოლოო მდგომარეობა

I–VI ადგილები

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გაგ. | ბურთები გაშვ. | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | დინამო | 32 | 21 | 5 | 6 | 67 | 23 | 68 |
| 2 | ზესტაფონი | 32 | 19 | 5 | 8 | 48 | 23 | 62 |
| 3 | სიონი | 32 | 16 | 7 | 9 | 41 | 33 | 55 |
| 4 | ჩიხურა | 32 | 13 | 7 | 12 | 56 | 50 | 46 |
| 5 | მეტალურგი | 32 | 13 | 6 | 13 | 35 | 39 | 45 |
| 6 | გურია | 32 | 12 | 0 | 20 | 31 | 53 | 36 |

## ევროტურნირებზე ითამაშებენ

დინამო (თბ) - ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპი
ზესტაფონი, სიონი, ჩიხურა (თასის ფინალისტი) - ევროპალიგის საკვალიფიკაციო ეტაპი

VII–XII ადგილები

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გაგ. | ბურთები გაშვ. | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | ტორპედო | 32 | 14 | 6 | 12 | 43 | 44 | 48 |
| 8 | ვიტ ჯორჯია | 32 | 13 | 6 | 13 | 41 | 45 | 45 |
| 9 | დილა | 32 | 11 | 8 | 13 | 43 | 36 | 41 |
| 10 | სპარტაკი | 32 | 12 | 4 | 16 | 33 | 37 | 40 |
| 11 | ზუგდიდი | 32 | 10 | 6 | 16 | 26 | 42 | 36 |
| 12 | მერანი | 32 | 6 | 4 | 21 | 21 | 60 | 22 |

## უმაღლესი ლიგიდან გავარდნენ

ზუგდიდი, მერანი (მარტვილი)

## ბომბარდირები:

| | |
|---|---|
| ჩისკო (დინამო თბ) | 19 |
| ტატანაშვილი (ჩიხურა/ზესტაფონი) | 15 |
| ისიანი (გურია) | 12 |
| გაბედავა (ჩიხურა) | 11 |
| ნ. საბანაძე (ტორპედო/ზესტაფონი) | 11 |
| გოგა (დინამო თბ) | 9 |
| მოდებაძე (დილა/დინამო თბ) | 9 |

## დუბლების ჩემპიონატი

ბოლო ტური

| | |
|---|---|
| სპარტაკი-დინამო | 1:2 |
| ზესტაფონი-ვიტ ჯორჯია | 2:5 |
| ტორპედო-ზუგდიდი | 1:1 |
| სიონი-მეტალურგი | 2:0 |
| მერანი-გურია | 1:0 |
| დილა-ჩიხურა | 4:2 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 33 | 25 | 1 | 7 | 94-38 | 76 |
| 2. მეტალურგი | 33 | 22 | 2 | 9 | 75-43 | 68 |
| 3. ვიტ ჯორჯია | 33 | 20 | 7 | 6 | 70-42 | 67 |
| 4. ზუგდიდი | 33 | 19 | 4 | 10 | 60-56 | 61 |
| 5. ჩიხურა | 33 | 13 | 7 | 13 | 61-46 | 46 |
| 6. ზესტაფონი | 33 | 13 | 4 | 16 | 66-58 | 43 |
| 7. დილა | 33 | 13 | 4 | 16 | 54-63 | 43 |
| 8. სპარტაკი | 33 | 11 | 5 | 17 | 48-59 | 38 |
| 9. მერანი | 33 | 11 | 5 | 17 | 35-72 | 38 |
| 10. ტორპედო | 33 | 9 | 6 | 18 | 55-63 | 33 |
| 11. სიონი | 33 | 9 | 5 | 19 | 30-71 | 32 |
| 12. გურია | 33 | 6 | 4 | 23 | 32-69 | 22 |

გამოხმაურება

# ვიტალი დარასელიას დასაცავად

როგორც ვიუწყებოდით, მოსკოვში ლეგენდარული ფეხბურთელის ვიტალი დარასელიას შვილი **ვიტალი დარასელია** ქურდობის ბრალდებით გაასამართლეს და 2,5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

საქართველოს პარლამენტის წევრმა **დავით ლორთქიფანიძემ** სპეციალურად გამართულ პრესკონფერენციაზე გამოაცხადა, რომ გეგმავს წამოიწყოს მოძრაობა ქართველი ფეხბურთელის დასაცავად. მისი თქმით, ვიტალი არ აღიარებს დანაშაულს, მას ფული ჰქონდა გასესხებული და ვალის დაბრუნებისას ორივე დააკავეს.

„ვიტალი დარასელიას ბრალეულობის არავითარი სამხილი არ არსებობს“, - აცხადებს რუსი ადვოკატი, - სამართალდამცავებმა ჩათვალეს, რომ ორი ქართველიდან ერთს სურდა აელო დანაშაული თავის თავზე“.

დავით ლორთქიფანიძე მოუწოდებს უფროსი ვიტალი დარასელიას ვეტერან თანაგუნდელებს, ქართული ფეხბურთისა და ქართული სპორტის გავლენიან თავკაცებს, მოსკოვში მოღვაწე ჩვენ თანამემამულე ხელოვნების მუშაკებს, გამოიყენონ თავიანთი ავტორიტეტი და დაეხმარონ მსჯავრდებულს სიმართლის დადგენაში.

**„ლელოს“ კორ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

I–VI ადგილები

# ობსტრუქცია თითქმის უშეცდომოთათვის

17.05. ლანჩხუთი. ევ. შევარდნაძე. 2 500 მაყურებელი

გურია 3
ჩიხურა 2

1:0 ძამსაშვილი (17), 2:0 ისიანი (35), 2:1 კვასხვაძე (67), 3:1 ისიანი (77), 3:2 ოდიკაძე (79-პენ)

გურია: იმერლიშვილი, ჭეიშვილი, ბერიანიძე, ქურდაძე, მეგრელიშვილი, ე. კილაძე (78. ნ. კილაძე), ძამსაშვილი, შენგელია (32. ინგოროყვა), პ. ხორგუაშვილი (63. ტეიდი), კვირტია, ისიანი.

*სათადარიგოები:* ხვედელიძე, თოდაძე, ნიქაბაძე, ო. ჯანაშია

მწვრთნელი: დავით მახარაძე

ჩიხურა: თევდორაძე, ოდიკაძე, ლომაშვილი, კაშია, ბეჭვაია, ქიმაძე, გ. დათუნაიშვილი, ხმალაძე, გაბედავა, დეკანოიძე (10. ჩიკვაიძე), ლომია (59. კვასხვაძე).

სათადარიგოები: მწყერაშვილი, ივანიშვილი, ზ. ნადირაძე

მწვრთნელი: სოსო ფრუიძე

გაფრთხილება: ძამსაშვილი (4), ჭეიშვილი (24), ინგოროყვა (90+4)

გაძევება: ძამსაშვილი (44), ინგოროყვა (90+4)

არბიტრი: გ. კიკაჩეიშვილი

თითქოს არაფრისმთქმელი მატჩი ულიმღამო უნდა ყოფილიყო, თუმცა მცირეოდენი ინტრიგა მაინც იყო - გურულებს „ჩიხურასთან" მოწინავე ექვსეულში მოხვედრის ფასი მოგების შემდეგ ზედიზედ 10 თამაში ქულა ვერ აელოთ, ხოლო ჯერ კიდევ სეზონის განახლებამდე ჩემპიონობაზე მოფიქრალ საჩხერელებს არაფრისმთქმელი მეოთხე ადგილიც სათუო გაუხდათ.

თუმცა მოლოდინის საწინააღმდეგოდ, ტემპიანი თამაში გამოვიდა, რაზეც უხვგოლიანობაც მეტყველებს. უფრო მონდომებულები **დავით მახარაძის** შეგირდები ჩანდნენ და არც ეს იყო გასაკვირი - „ჩიხურას" წინ ხომ სათასო ფინალი აქვს სათამაშო. მართალია, **სოსო ფრუიძეს** საბრძოლო შემადგენლობა არ დაუყენებია, მაგრამ ამ კუთხით მასპინძლებთან ახლოსაც ვერ მივლენ: „გურია" ხომ ბოლო თამაშებში, ტრავმების გამო, ამ სეზონში სამჯერ დაშლილი გუნდის წამყვან ფეხბურთელებსაც ვერ ათამაშებს...

მატჩი ლანჩხუთელთა უპირატესობით დაიწყო და რამდენიმე ხიფათიც შეიქმნა იმერელთა კართან, აქედან ორი - გოლით დასრულდა. ჯერ 20-22 მეტრიდან **ზურა ძამსაშვილმა** გაუტანა თავის ყოფილ გუნდს, ხოლო 35-ე წუთზე უკვე **ვილი ისიანმა** დაახლოებით 30 მეტრიდან „გაისროლა" საგოლედ. უნდა ითქვას, რომ ორივე შემთხვევაში **რევაზ თევდორაძეს**, ალბათ, უკეთ გარჯა მართებდა.

სამაგიეროდ, ჩინებული დებიუტი გამოუვიდა მის გურულ ვიზავის - პირველად, „გურიას" დებიუტანტმა **რატი იმერლიშვილმა** რიკოშეტით კარისკენ წასულ ბურთი ნახტომში გააქვავა. სავარაუდოდ, ამან მისცა სტიმული დუბლიორთა მეჭარეს (ძირითადი გუნდის მეკარეები ტრავმირებულები არიან), რომელმაც მთელი მატჩი თითქმის უშეცდომოდ ჩაატარა. მას სამუშაო უფრო მეორე ტაიმში ჰქონდა, პირველ ნახევარში კი საინტერესო ის იყო, რომ მასპინძლები არბიტრმა კაცნაკლულები დატოვა - **ძამსაშვილმა** ბოლოსწინა წუთზე მეორე ყვითელი ბარათი მიიღო.

თუ ოქმს დააკვირდებით, დაინახავთ, რომ არბიტრმა **გოგა კიკაჩეიშვილმა** ყვითელი ბარათი სულ 5-ჯერ გამოიყენა (აქედან, გურულებს ორი მობურთალი გაუძევა) და გაფრთხილების წუთებში ყველგან „4"-იანი ფიგურირებს. ერთგვარი დამთხვევაა ისიც, რომ 32-ე წუთზე დამტვრეული **ალეკო შენგელიას** (უფრო ადრე, მე-10 წუთზე სტუმარი **ბესიკ დეკანოიძეც** ამის გამო გახდა შესაცვლელი) ნაცვლად გამოსული **ლევან ინგოროყვა** ორივე ტაიმში დამატებულ მე-4 წუთზე გააფრთხილა.

აქვე, კიდევ ერთი საინტერესო დეტალიც: ამ შეხვედრაში მოხდა პირველად, როცა „გურიაში" ძმამ ძმა შეცვალა: **ერეკლე კილაძის** ნაცვლად **ნიკა** გამოვიდა.

მეორე ტაიმის დასაწყისიდანვე საჩხერელები გამოცოცხლდნენ, მაგრამ მათ შეტევებს იმერლიშვილი უმკლავდებოდა. თუმც 67-ე წუთზე, რატიმაც ვერაფერი მოუხერხა **ნიკო კვასხვაძის** დარტყმულს - არადა, სანამ ჩიხურელი დაამატებდა, ხუთიოდ მეტრიდან დარტყმული უკუაგდო.

ამას თითქოს „ჩიხურასთვის" სტიმული უნდა მიეცა და ასეც იყო, მაგრამ ზუსტად ათ წუთში კიდევ ერთხელ გაიბრწყინა **ისიანმა** - მატჩისა და ამ სეზონში „გურიას" უდავოდ საუკეთესო მობურთალმა მარჯვენა ფლანგზე გაილალა, საჯარიმოში კუთხიდან შეჭრილმა მცველი ჩამოიტოვა და მეკარეს აუღებელი დაურტყა - 3:1.

მატჩს ინტრიგა ზუსტად ორ წუთში დაუბრუნდა - არბიტრმა ერთ-ერთი სტუმარი მოთამაშის წაქცევისთვის ჩასტვინა და როცა დარწმუნდა, რომ დარღვევა საჯარიმოში იყო, ხელი 11-მეტრიანის ნიშნულისკენ გაიშვირა. გამოცდილმა **დავით ოდიკაძემ** დებიუტანტი მეკარე უშანსოდ დატოვა.

სამაგიეროდ, ამის შემდეგ მასპინძელთა გოლკიპერმა რამდენიმე რთული დარტყმა გაანეიტრალა. რაც დრო გადიოდა, „გურიას" უფრო უჭირდა იმერელთა შეტევის გამკლავება, ამას დაემატა ისიც, რომ მასპინძლები 9 კაცით დარჩნენ.

ამის შემდეგ კიდევ სამიოდ წუთი ათამაშა მსაჯმა გუნდები და „გურია" ისევ იმერლიშვილმა იხსნა, როცა კვასხვაძეს დუბლი არ შეასრულებინა და ხუთიოდ მეტრიდან დარტყმული მოიგერია, ხოლო დამატებაზე **ლაშა ჩიკვაიძემ** გაიტანა, თუმცა ის თამაშგარეში იყო და მსაჯებმა გოლი არ ჩათვალეს.

საბოლოოდ, 3:2 - „გურიამ" 10-მატჩიანი პაუზის შემდეგ მოგების გემო ისევ „ჩიხურასთან" გაიხსენა, ქომაგებმა კი მსაჯებს ობსტრუქცია მაინც მოუწყვეს. არადა, მათ თითქმის უშეცდომოდ იმსაჯეს...

**მათე გურული**
ლანჩხუთიდან

## II ლიგა

### აღმოსავლეთის ზონა

### XXIV ტური

| | |
|---|---|
| იბერია-სასკო 2 | 3:0 |
| ჰერეთი/საქ. უნ-ფორვარდი | 3:0 |
| აზული-არაგვი | 2:2 |
| გოლიადორი-ივერიონი | 0:3 |
| დინამო (ს)-ლიახვი | 0:3 |
| მარკ სტარსი-ალაზანი | 3:1 |
| დურუჯი-ბორჯომი | 0:2 |
| რუსთავი-ივერია | 3:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მარკ სტარი | 26 | 22 | 2 | 2 | 103-25 | 68 |
| 2. ბორჯომი | 26 | 21 | 4 | 1 | 88-22 | 67 |
| 3. ჰერეთი/საქ. უნ | 26 | 16 | 4 | 6 | 72-42 | 52 |
| 4. ლიახვი | 26 | 15 | 6 | 5 | 61-32 | 51 |
| 5. ივერია | 26 | 14 | 3 | 9 | 63-47 | 45 |
| 6. არაგვი | 26 | 11 | 9 | 6 | 70-42 | 42 |
| 7. ივერიონი | 26 | 12 | 5 | 9 | 53-46 | 41 |
| 8. აზული | 26 | 11 | 4 | 11 | 41-54 | 37 |
| 9. ალაზანი | 26 | 10 | 4 | 12 | 44-53 | 34 |
| 10. რუსთავი | 26 | 10 | 3 | 13 | 60-87 | 33 |
| 11. დურუჯი | 26 | 10 | 2 | 14 | 44-50 | 32 |
| 12. გოლიადორი | 26 | 8 | 1 | 17 | 46-66 | 25 |
| 13. ფორვარდი | 26 | 6 | 3 | 17 | 37-72 | 21 |
| 14. იბერია | 26 | 6 | 1 | 19 | 36-83 | 19 |
| 15. დინამო (ს) | 26 | 5 | 1 | 20 | 22-70 | 16 |
| 16. სასკო 2 | 26 | 3 | 2 | 21 | 24-79 | 11 |

*შენიშვნა: „დინამო" (სოხუმი), „სასკო 2" და „გოლიადორი" გათამაშებიდან მოიხსნენ და დარჩენილ მატჩებში ჩაეთვლებათ ტექნიკური წაგება 0:3.*

### დასავლეთის ზონა

### XXII ტური

| | |
|---|---|
| შუქურა 2-საპოვნელა 2 | 8:2 |
| მარგვეთი-2006-კოლხეთი2 (ფ) | 3:0 |
| ეგრისი-ლაზიკა | 2:1 |
| დინამო 2 (თბ)-სამეგრელო | 5:1 |
| საირმე-ქუთაისი | 3:0 |
| მერცხალი 2-კოლხეთი 2 (ხ) | 2:6 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლაზიკა | 20 | 16 | 2 | 2 | 60-13 | 50 |
| 2. მარგვეთი | 20 | 13 | 5 | 2 | 47-20 | 44 |
| 3. ეგრისი | 20 | 13 | 0 | 7 | 44-31 | 39 |
| 4. რაჭა | 20 | 12 | 2 | 6 | 35-29 | 38 |
| 5. დინამო 2 (ბთ) | 20 | 10 | 5 | 5 | 36-24 | 35 |
| 6. შუქურა 2 | 20 | 9 | 5 | 6 | 40-32 | 32 |
| 7. საირმე | 21 | 9 | 2 | 10 | 38-38 | 29 |
| 8. საპოვნელა 2 | 21 | 8 | 4 | 9 | 41-42 | 28 |
| 9. კოლხეთი 2 (ხ) | 20 | 7 | 5 | 8 | 33-28 | 26 |
| 10. კოლხეთი 2 (ფ) | 21 | 8 | 2 | 11 | 29-38 | 26 |
| 11. ქუთაისი | 20 | 5 | 3 | 12 | 32-46 | 18 |
| 12. სამეგრელო | 20 | 2 | 2 | 16 | 18-61 | 8 |
| 13. მერცხალი 2 | 21 | 1 | 1 | 19 | 15-66 | 4 |

VII–XII ადგილები

17.05. ქობულეთი. ჩელე არენა. უმაყურებლოდ

მერანი 0
ტორპედო 1

0:1 ჩიკვილაძე (7-პენ)

მერანი (4-5-1): ბეგაშვილი - მელიავა, იობაშვილი, ჯლამაია, გეგია - რაფაელი, ბაბუნაშვილი, გეგეჭკორი, ფონიავა (34. აშორტია), ბენაშვილი (75. დეკანოსიძე) - ციცხვაია (46. ფაილოძე).

*სათადარიგოები:* მამალაძე, ჯოჯუა, ბარბაქაძე, კუჭუხიძე

მწვრთნელი: ზურაბ იონანიძე

ტორპედო (4-4-2): კვასხვაძე - ხარაბაძე, ს. თოდუა, ადამაძე, ელიავა - ჩიკვილაძე, გელაშვილი (46. ხურციძე), ტულუში (84. გოგიჩაიშვილი), სავჩენკოვსი - მარკოზაშვილი (39. მამასახლისი), კვერნაძე.

*სათადარიგოები:* ადამია, ლექვთაძე, ბერუაშვილი, ჩადუნელი

მწვრთნელი: რევაზ ძოძუაშვილი

გაფრთხილება: ჯლამაია (26), იობაშვილი (39), ბაბუნაშვილი (54), გოგიჩაიშვილი (84), დეკანოსიძე (90)

არბიტრი: დ. სანოძე

# როცა თავს ზემოთ ძალა არ არის...

...სამტრედია, თბილისი, მცხეთა, ქობულეთი - ეს ის ადგილებია, სადაც მარტვილის „მერანს" აწ დასრულებულ ჩემპიონატში, საკუთარი სტადიონის არქონის გამო, „საშინაო" მატჩების ჩატარებამ მოუწია. შაბათს, „ჩელე არენაზე" გამართულ „მერანისა" და „ტორპედოს" მატჩის შედეგს, მართალია, გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონდა, თუმცა მცირე ინტრიგის მოძებნა მაინც შეიძლებოდა - რიონისპირელთა ამოცანა ქვედა ექვსეულში პირველი ადგილის დაკავება, მარტვილელთათვის კი „კარის გაჯახუნება" თუ იქნებოდა.

საფეხბურთო ამინდის (სასიამოვნოდ გრილოდა) მიუხედავად, თამაში საკმაოდ დაბალ ტემპში და უხალისოდ წარიმართა. პირველი სახიფათო მომენტი სტუმრებმა შექმნეს: **ბეგაშვილის** შეცდომის შედეგად, **მარკოზაშვილს** შეეძლო გატანა, თუმცა **იობაშვილმა** ივარგა, რომელმაც ბოლო წამს განმუხტა სიტუაცია.

იმერლებმა სწრაფი გოლი მაინც გაიტანეს: მარცხენა ფრთიდან **ზაალ ელიავა** ადვილად გასცდა **ლევან გეგეჭკორს**, საჯარიმოში შესული კი **კიჭი მელიავას** ფეხს წამოედო. საკამათო ეპიზოდში არბიტრმა მარტვილელთა მცველი დაადანაშაულა, ხოლო 11-მეტრიანი გოლად **თენგიზ ჩიკვილაძემ** აქცია - 0:1.

შესვენებამდე გუნდებმა მომენტები „გაცვალეს" - ჯერ **რაფაელ ჩუკვურანის** დარტყმაა აღსანიშნავი, რომელიც **კვასხვაძემ** მოიგერია, მოგვიანებით კი სამსვლიანი კომბინაცია, **მამასახლისის, კვერნაძისა** და **ტულუშის** მონაწილეობით, ამ უკანასკნელის ოდნავ არაზუსტი დარტყმით დასრულდა.

არცთუ სასიამოვნოდ წარიმართა მეორე ნახევარიც. მარტვილელთა დამრიგებელმა **ზურაბ იონანიძემ** (ეს შეხვედრა მისთვის ბოლო იყო „მერანის" მწვრთნელის პოსტზე) მოედანზე ახალგაზრდა ფეხბურთელები (**აშორტია, დეკანოსიძე, ფაილოძე**) შეუშვა. ისინი ბევრს მოძრაობდნენ და სტუმართა მცველებს გარკვეულ პრობლემებსაც უქმნიდნენ. თითქოს, „მერანმა" მატჩის გადასარჩენად გაიწია, ბურთზე კონტროლი დაანესა და რამდენიმე დასამახსოვრებელი შეტევაც განახორციელა. მათგან გამოსარჩევია **ალექსი ბენაშვილისა** და რაფაელის დარტყმები, კვასხვაძემ რომ უკუაგდო. ხოლო მამასახლისისა და ჩიკვილაძის მცდელობებს ნახევარმომენტები თუ ეთქმის.

ბოლოსკენ, მასპინძლები მთელი ძალებით წავიდნენ წინ, თუმცა მათ შეტევებს, როგორც ანგარიშიდან ჩანს, შედეგი არ მოჰყოლია. „მერანი" უმაღლეს ლიგას მარცხით დაემშვიდობა, ხოლო „ტორპედომ" ქვედა ექვსეულში პირველი ადგილი დაიკავა.

**ბესიკ გვაზავა**
ქობულეთიდან

მერანი

# ცვლილებები იონანიძით დაიწყო

**ზურაბ იონანიძე** „მერანს" მეორე ეტაპიდან ჩაუდგა სათავეში. საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირის საქმიანობას წარმატებულს ვერ ვუწოდებთ. მისი ხელმძღვანელობით „მერანმა" 14 მატჩი ჩაატარა და მხოლოდ 2 გამარჯვება (3 ფრე) მოიპოვა. შედეგად, ჩემპიონატის ერთ-ერთი საინტერესო გუნდი, რომელსაც სპეციალისტთა სიმპათიები არაერთხელ დაუმსახურებია, უმაღლეს ლიგას დაემშვიდობა.

ამის ფონზე, „მერანის" ხელმძღვანელებმა იონანიძის გათავისუფლების გადაწყვეტილება მიიღეს. ცხადია, შედეგებიდან გამომდინარე, ამაში მოულოდნელი არაფერია. თუმცა ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს, როგორ აფასებს ამ ყველაფერს თავად იონანიძე:

*„ვერ ვიტყვი, რომ გუნდი ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე დავტოვე. მქონდა საუბარი კლუბის პრეზიდენტთან, რომელიც ჩემი მუშაობით უკმაყოფილოა. დეტალები ჯერ არ დაგვიზუსტებია... რაც შეეხება, შედეგს, რა თქმა უნდა, დადებითად ვერ შეფასდება, რადგან უმაღლესი ლიგიდან გავვარდით. ეს უამრავმა მიზეზმა განაპირობა, ამიტომ, რაიმე კონკრეტულზე საუბარი გამიჭირდება. ვფიქრობ, გუნდის დაწყობას, შეთამაშებასა და შედეგის მიღწევას დრო სჭირდება. თუ სად გავაგრძელებ კარიერას, ამაზე ჯერჯერობით ვერ გიპასუხებთ",* - გვითხრა იონანიძემ.



ზურაბ იონანიძემ მერანი დატოვა

„მერანის" ახალი მთავარი მწვრთნელის ვინაობას ახლო მომავაში გავიგებთ. მანამდე კი დაგეგმილია ძირეული საკადრო ცვლილებები, რომელიც, სავარაუდოდ, სამწვრთნელო შტაბსა და ფეხბურთელებსაც შეეხებათ.

აქვე სიახლის შესახებ. მომავალი სეზონიდან „მერანს" კეთილმოწყობილი სტადიონი ექნება. ტენდერი უკვე გამოცხადებულია და 19 მაისამდე გაირკვევა იმ კომპანიის ვინაობა, რომელიც სამუშაოებს ჩაატარებს. როგორც კლუბში ირწმუნებიან, გარემონტებული არენის გახსნა აგვისტოსთვის იგეგმება. იმ დროისთვის უნდა გამოიცვალოს მინდვრის საფარი, დამონტაჟდეს განათება და ელექტროტაბლო, განახლდეს გასახდელები, აშენდეს ორმხრივი ტრიბუნა, მოეწყოს პრეს და ვიპ-ლოჟები... „მერანის" არენა დაახლოებით 5-6 ათასამდე ქომაგს დაიტევს.

**ბესიკ გვაზავა**

17.05. გორი. თ. ბურჯანაძე. 1 500 მაყურებელი

დილა 0
ზუგდიდი 1

0:1 ბულია (81)

დილა (4-1-4-1): შეყრილაძე - ქებურია, ქარქუზაშვილი, კობახიძე, ჯიშკარიანი - გურეშიძე რაყამაშვილი, გოროზია (53. ნოზაძე), წიქარიძე (83. რეხვიაშვილი), შალამბერიძე - კვარაცხელია (60. სირბილაძე).

*სათადარიგოები:* ზურომშვილი, ლომიძე, ჩაკვეტაძე, ჯაყელი.

მწვრთნელი: გია გიგატაძე

ზუგდიდი (4-5-1): ქვილითაია - მჭედლიშვილი, აფაქიძე, მირცხულავა, ფანცხავა - კანკია (55. ფარჯიკია), შალიკაშვილი (86. ქათამაძე), ქებაძე, სიხარულია, კირკიტაძე - გუგუჩია (67. ბულია).

სათადარიგოები: ჯომიდავა, ქირია, კალანდარიშვილი, ჭანტურია.

მწვრთნელი: გიორგი დარასელია

გაფრთხილება: აფაქიძე (72), ქათამაძე (86)

არბიტრი: ბ. ნინუა.

# სტუმარი ისევ მოგებულია

გორში ჩატარებული მატჩების შეფასებისას ყველა სტუმარი გუნდის მწვრთნელი იმაზე საუბრობს, თუ როგორი ძნელია ამ ქალაქში ქულების მოპოვება. „სახლის" გუნდად მიჩნეული „დილა" კი მთელი წლის განმავლობაში მონდომებით „ცდილობს" საპირისპიროს დამტკიცებას და, გორელთათვის სამწუხაროდ, ეს უკვე დაამტკიცა კიდეც. თავად განსაჯეთ - 2014 წელს უმაღლეს ლიგის ეგიდით გორში გამართული 8 შეხვედრიდან მასპინძლებმა მხოლოდ ერთხელ იმარჯვეს და ექვსჯერ დამარცხდნენ!

„დილამ" ბოლო ტურშიც არ „უღალატა" ტრადიციას და კვლავ წააგო, მაგრამ გულშემატკივარი მხოლოდ მარცხის გამო არ დარჩენილა უკმაყოფილო. ქომაგი, რომელიც „თენგიზ ბურჯანაძეზე" მუდამ სტაბილურად ათასობით იკრიბება, ალბათ, იმსახურებს იმას, რომ საყვარელმა გუნდმა, მადლიერების ნიშნად, სეზონის დამამთავრებელ მატჩში მაინც ყველაფერი გააკეთოს მოგებისთვის. ეს მოგება კი ძირითადი შემადგენლობის დიდი ნაწილის ტრიბუნებზე ჯდომით არ მოდის.

მაგრამ გარჯას ვერც იმ ფეხბურთელებს დავუკარგავთ, ვინც ამ დღეს მოედანზე იყო. თამაში არცთუ უხეირო საყურებელი გამოდგა. უშუალოდ შეხვედრის დებიუტი იყო უინტერესო, თორემ მერე და მერე ფეხბურთელები აზარტში შევიდნენ და ორივე კართან არაერთი სახიფათო მომენტები შეიქმნა. მე-10 წუთზე **სიხარულიამ** მეკარესთან პირისპირ გაიყვანა **გუგუჩია** და ამას დარტყმა რომ არ დაეგვიანა, ანგარიში ალბათ იქვე გაიხსნებოდა.

უნდა აღინიშნოს, რომ სიხარულია-გუგუჩიას ტანდემი გამორჩეულად აქტიური იყო მთელი მატჩის განმავლობაში. მასპინძელთაგან შეტევაში ყველაზე ნაყოფიერად გორელების მარცხენა ფრთა მოქმედებდა, საიდანაც **ჯიშკარიანი** ცდილობდა სოლორეიდების განხორციელებას საჯარიმოში ჩაწოდებით, სადაც გორელებს ტანმაღალი **კვარაცხელიასი** ეიმედებოდათ, თუმცა ამ უკანასკნელმა თავი ვერაფრით დაგვამახსოვრა.

მე-4 გვერდზე »

ეროვნული ბიბლიოთეკა

VII-XII ადგილები

# სტუმარი ისევ მოგებულია

«მე-3 გვერდიდან

24-ე წუთზე, ერთ-ერთ ასეთ ჩაწოდებას კვარაცხელია რომ ვერ შესწვდა, მცველთაგან უყურადღებოდ მიტოვებულ **რაჟამაშვილს** მიუგორდა ბურთი, მაგრამ... საკმაოდ კარგი ეპიზოდი გაიფლანგა. რაჟამაშვილი ბევრს მოძრაობდა. ცოტა ხანში ის **გურეშიძემაც** გაიყვანა მეკარესთან (თითქმის) პირისპირ, თუმცა სტუმართა მცველებმა იყოჩაღეს.

შესვენების შემდეგ პირველი ხიფათი ისევ სტუმრებმა შექმნეს - გუგუჩია კარში ახვევდა ბურთს, მაგრამ **შეყრილაძემ** ამ ეპიზოდშიც ივარგა. გორელებმა კი, თავის მხრივ, საჯარიმოს მისადგომებიდან დარტყმებითაც მოსინჯეს ბედი, თუმცა ამაოდ. ჩანდა, რომ თამაშს უგოლოდ არ უნდა ჩაევლო და საბოლოოდ ისევ ზუგდიდელების, კერძოდ კი შეცვლაზე შესული მათი შემტევის, **გიორგი ბულიას** მცდელობამ გამოილო შედეგი. საგოლე მომენტი **კირკიტაძის** აქტიურობით შეიქმნა. ბულიას ჯერ კარიდან ზურგით მყოფს, ქუსლით უნდოდა გატანა, თუმცა ბურთს შეყრილაძე გადაეფარა, დამატებულს კი ვერაფერი მოუხერხა - 0:1.

ზუგდიდელთა თავკაცმა **გიორგი დარასელიამ**, რომელიც ორი წლის წინათ გორში საკმაოდ წარმატებით მუშაობდა, დამსახურებულად მოუგო თავის ყოფილ კლუბს. „ზუგდიდისთვის" ეს ზედიზედ მეორე გამარჯვება იყო, თანაც ისე, რომ საკუთარ კარში ბურთი არ გაუშვია, თუმცა დაგვიანებული შედეგი სატურნირო ცხრილში მათ პოზიციას არ ცვლის - „ზუგდიდი" უმაღლესი ლიგიდან დაქვეითდა. „დილამ" კი, რომელმაც ბოლო წლებში ევროტურნირზე ღირსეულად გამოსვლას მიგვაჩვია, წლეულს ევროპაში კი არა, საქართველოს ჩემპიონატში მოგებაც მონატრა ქომაგს.

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

# რას იქცეოდა საქმეში ჩაუხედავი კაცი?

17.05. მცხეთა. მცხეთა პარკი.
100 მაყურებელი

| | |
|---|---|
| ვიტ ჯორჯია | 0 |
| სპარტაკი | 1 |

0:1 ტყემალაძე (29)

ვიტ ჯორჯია (4-5-1): შეროზია - საბაძე, გეთიაშვილი, ლ. ლონლაძე, გ. მჭედლიშვილი (46. ლიბრაძე) - წყაროზია (67. გახარია), დავლაშელიძე, მაისურაძე, სიჭინავა (58. კვირკვია), კორიფაძე - ე. ლობჟანიძე.

*სათადარიგოები:* ჩალიგავა, ჩიტიაშვილი, ხვისტანი, დემეტრაშვილი.

მწვრთნელი: ზურაბ ბერიძე

სპარტაკი (3-5-1-1): ნანიევი - ბურძენაძე, ცერცვაძე, იოსელიანი - მაქაცარია (56. თექთურმანიძე), კემუხტაშვილი, მაისაშვილი, კაკუბავა, ტყემალაძე - კაქარავა (78. გელაშვილი) - გაბაშვილი (83. კ. ხიზანეიშვილი).

*სათადარიგოები:* ნადირაძე, მგელაძე, შონია, პარუნაშვილი

მწვრთნელი: კახა კაჭარავა

გაფრთხილება: საბაძე (84), ლონლაძე (84), მაისურაძე (84); ცერცვაძე (84)

გაძევება: მჭედლიშვილი (88)

არბიტრი: ლ. კვარაცხელია

**პრაქტიკულად** არაფრისმომცემი შეხვედრის მიწურულს მოედანზე ვითარება ისე დაიძაბა, სატურნირო ცხრილში ჩაუხედავი კაცი იფიქრებდა - არიქა, ჩემპიონის ვინაობა სწორედ მცხეთაში წყდებაო. მატჩის დამთავრებას 6 წუთი აკლდა, როცა სტუმართა მცველმა **ცერცვაძემ** ფლანგზე **კვირკვია** წააქცია. მასპინძელმა ფეხბურთელებმა ჩათვალეს, რომ თამაშის წესები საჯარიმოს შიგნით დაირღვა და, შესაბამისად, პენალტი უნდა დანიშნულიყო. არბიტრმა **ლევან კვარაცხელიამ** კი „ვიტ ჯორჯიას" ოდენ ჯარიმა აკმარა.

ამით გაღიზიანებულმა „ვიტ ჯორჯიას" სამმა ფეხბურთელმა გადაწყვეტილება ხმამაღლა გააპროტესტა, რისთვისაც, „ყვითელები" მიიღეს. მატჩის ბოლო წუთზე კი **ლაშა ლონლაძემ** მეტოქე ფეხბურთელი ისე მოცელა, მძიმე ტრავმას ბედად გადაურჩა. კვარაცხელიას რეაქციამ არც ამ შემთხვევაში დააყოვნა და ლონლაძეს წითელი ბარათი აუფრიალა. ერთ წუთში, შეცვლაზე შესულ **ხიზანეიშვილს** არ გაუმართლა, თორემ ახლო მანძილიდან გაიტანდა და ანგარიშში სხვაობას უფრო თვალსაჩინოს გახდიდა.

პირველი ხიფათიც „სპარტაკმა" შექმნა, როცა **ტყემალაძემ** მარცხენა ფრთაზე **იოსელიანს** გადააწოდა, მისი ჩაწოდების შემდეგ კი **ნიკა კაჭარავამ**, ერთი შეხებით, ხელსაყრელი პოზიციიდან მიზანს ოდნავ ააცილა. სხვათა შორის, ნიკა „სპარტაკის" მწვრთნელ **კახა კაჭარავას** ვაჟი გახლავთ. ეს სეზონი მან რუსეთის პრემიერლიგის კლუბ „რუბინის" დუბლებში დაიწყო და აგერ, მცხეთაში დაამთავრა. ისე კი, თქვენ, ნიკა კაჭარავა საქართველოში არც მომდევნო სეზონს დაიწყებს და უცხოეთს მიაშურებსო...

დავუბრუნდეთ მოედანს. „სპარტაკის" შემდეგ ფხა „ვიტ ჯორჯიამაც" გამოაჩინა და **მაისურაძემ** ბურთი მეტოქის საჯარიმოში მარცხნიდან შესულ **ლობჟანიძეს** ისე შეაყოლა, გოლი რომ გასულიყო, ალალი იქნებოდა, თუმცა ამას ხელი მეკარე **ნანიევმა** შეუშალა და ბურთი კუთხურზე მოიგერია.

ამ მომენტიდან რამდენიმე წუთში ტყემალაძემ ბურთიანად ფლანგიდან ცენტრისკენ გააგრძელა გზა, ორ მეტოქესაც გასცდა და საჯარიმოს გარედან ბურთი **შეროზიასთვის** აუღებლად დაარტყა. გოლიდან ერთ წუთში სტუმრებმა ბურთი ჯარიმიდან ჩააწოდეს, კაჭარავამ კი კარგი პოზიციიდან თავით ხეირიანად ვერ დაარტყა.

ტაიმის ბოლოს, შეტევაში ჩართულმა მცველმა ცერცვაძემ სახიფათოდ დაარტყა და ვიტელები მეორე გოლისგან შეროზიამ იხსნა, ხოლო საპასუხო შეტევისას უკვე ლობჟანიძეს არ გაუმართლა - მისი დარტყმული თანაგუნდელ **წყაროზიას** მოხვდა.

შესვენების შემდეგ მასპინძლები საგრძნობლად გააქტიურდნენ. მარჯვენა ფლანგიდან **კორიფაძემ** „სპარტაკის" საჯარიმოში ჩაკიდა ბურთი, ლობჟანიძის „მაკრატელა" კი უხეირო გამოდგა. საპასუხოდ, კაჭარავა მასპინძელთა საჯარიმოში ხელსაყრელ პოზიციაზე გავიდა, მაგრამ ტანმაღალმა ფორვარდმა, კარში დარტყმის ნაცვლად მცველის მოტყუება გადაწყვიტა, რაც არ გამოუვიდა - ბურთი დაკარგა და კინაღამ მასპინძლებისგან დაისაჯა.

„ვიტ ჯორჯიას" კიდევ ერთი შანსი - **ლიბრაძის** პასის შემდეგ „სპარტაკის" საჯარიმოში ბურთი კვირკვიამ მიიღო, თუმცა მის სახიფათოდ დარტყმულს **მაისაშვილი** გადაეფარა. იქვე, კორიფაძემ სტუმართა საჯარიმოს გარედან დაარტყა, თუმცა ნანიევს ვერც მან აჯობა.

აი, სულ ეს იყო, რაც მცხეთაში მოხდა. თამაშის ბოლო კი ისეთი გამოდგა, როგორც ვთქვით - ძალიან მნიშვნელოვანი თამაშისას რომ ხდება ხოლმე, არადა, თამაში იყო, ჩვენს ჩემპიონატში ბევრად კარგებიც რომ ყოფილა...

**კობა ინასარიძე**
მცხეთა-თბილისი

ლეგიონის უქმეები

**გთავაზობთ** ლეგიონის უქმეების სეზონის ბოლო მიმოხილვას. ამ უქმეების შემდეგ სეზონი პრაქტიკულად ყველგან დასრულდა. ოფიციალურ შეხვედრებში დუბლით თავი შოთა გრიგალაშვილმა გამოიჩინა, არაოფიციალურში... კარიერადასრულებულმა ლევან კობიაშვილმა! ლევან მჭედლიძე და „ემპოლი" სერია A-ს უახლოვდებიან, ჩვენებური გუნდს ლამაზი გოლით შეეშველა.

# დუბლი ოფიციალური და არაოფიციალური

## დუბლი კარიერის დასრულების მერე

მართალია, კარიერა დაასრულა, მაგრამ გოლები ისევ გააქვს. აი, ასეთი უნიკალური ფეხბურთელია **ლევან კობიაშვილი**. „ჰერტა" ჯერ არ გასულა შვებულებაში. ამიტომაც გუნდმა ამხანაგური შეხვედრა გამართა „ვიქტორია 1914-თან" და 10:0 მოიგო. კობიმ ამ შეხვედრაში ანგარიში გახსნა და მეექვსე გოლიც მან გაიტანა. სხვათა შორის, ბერლინის „ჰერტას" ოფიციალურ ვებგვერდზე მიმდინარეობს სეზონის საუკეთესო ფეხბურთელის გამოვლენა. ამ დროისათვის ლევანი დიდი უპირატესობით უსწრებს კონკურენტებს.

## შევიდა, გაიტანა

იტალიურ სერია B-ში ორი ტურიღა რჩება გასამართი - 40 მატჩიდან 68 ქულით ქართველთა „ემპოლი" მეორე ადგილზეა და უახლოეს მდევარ „ჩეზენას" 3 ქულით უსწრებს. შეგახსენებთ, რომ მეორე ადგილი ელიტაში გადასვლის გარანტიაა, მე-3 - მე-8 ადგილები კი - პლეი ოფის. „ემპოლიმ" „ნოვარას" უმასპინძლა და 3:1 მოუგო. **ირაკლი შეყილაძე** განაცხადში არ ყოფილა, ხოლო **ლევან მჭედლიძე** 71-ე წუთზე შევიდა მოედანზე, როცა მასპინძლები 2:1-ს იგებდნენ. 8 წუთში ლევანმა შორეული დარტყმით (ბურთი ჯერ ძელს მოხვდა და ისე შევიდა კარში) ანგარიშს წერტილი დაუსვა. „პიანეტა ემპოლიმ" მისი თამაში 7 ბალით შეაფასა.



ლევან მჭედლიძეს (თეთრ მაისურში) გოლს ულოცავენ

შეგახსენებთ, რომ ქართველმა 3-თვიანი პაუზის შემდეგ 20-20 წუთი ითამაშა ჯერ „ჩეზენასთან" და ახლა „ნოვარასთან". ეს მისი მეორე გოლია სეზონში. სულ კი მეშვიდე სერია B-ში. თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ მჭედლიძე 4 სეზონია, ამ ლიგაში თამაშობს, არც ისე ბევრია. დარჩენილ შეხვედრებში „ემპოლი" „ჩიტადელას" ესტუმრება, რომელსაც გასავარდნად აქვს საქმე და ბოლოს „პესკარას" მასპინძლობს, რომელიც აბსოლუტურად უმოტივაციოა. მოკლედ, ლევანს სერია A-ში (8 თამაში 1 გოლი) დაბრუნების კარგი შანსი აქვს.

ფრანგულ ნასიონალ ლიგაში ჩემპიონატის დასრულებამდე კიდევ 1 ტური დარჩა. მაგრამ **ამირან სანაიას** „ლუზენაკისთვის" ყველაფერი კარგა ხანია, წარმატებით დასრულდა, გუნდმა გაინაღდა ლიგა 2-ის საგზური. „ლუზენაკმა" თავს რელაქსაციის უფლება მისცა, „კოლმართან" 1:3 წააგო და ამით პირველი ადგილი დაკარგა. ჩვენებური მატჩის 55-ე წუთზე შეცვალეს.

## ვერცხლის პრიზიორები

უკრაინის ჩემპიონატი, როგორც იქნა, ფინიშამდე მიფოფხდა. ქვეყანაში შექმნილმა საომარმა სიტუაციამ ფეხბურთიც არია. ბოლო ტურში „სევასტოპოლს" „ჰოვერლასთვის" უნდა ემასპინძლა, მაგრამ უჟგოროდელებმა დაპყრობილ ყირიმში წასვლა არ ისურვეს, მხარეები კი ნეიტრალურ მოედანზე ვერ შეთანხმდნენ. „სევასტოპოლმა" ამასობაში ამხანაგური მატჩი ითამაშა „ჟემჩუჟინასთან", რომელშიც **მათე ღვინიანიძეს** მონაწილეობა არ მიუღია. „ილიჩივეცის" მწვრთნელ **ნიკოლაი პოპოვსაც** არ სურდა სიმფეროპოლში გუნდის წაყვანა, თუმცა ბოლოს „ილიჩევიცმა" მაინც ითამაშა და „ტავრიას" 3:0 მოუგო. **დავით თარგამაძე** უკრაინაში შექმნილი ვითარების გამო „ილიჩევეცში" აღარ ვარჯიშობს.

ოდესის „ჩერნომორეცი" ლვოვის „კარპატის" 0:0 დაუზავდა. **თორნიკე ოქრიაშვილი** 35-ე წუთზე გამოჩნდა ოდესელთა რიგებში, ხოლო სტუმართა შორის **ბუბა დაუშვილი** არ გამოჩენილა. „დნიპრომ" დონეცკის „მეტალურგს" 3:1 მოუგო. **ჯაბა კანკავამ** 90 წუთი ითამაშა (გააფრთხილეს).

„ზორია" კიევის „დინამოს" ესტუმრა და 1:3 დამარცხდა. **ჯაბა ლიპარტია** სტუმართა რიგებში 82-ე წუთზე გამოჩნდა. ჯაბა კანკავა, **სანდრო კობახიძე** და **უჩა ლობჟანიძე** უკრაინის პირველობის ვერცხლის პრიზიორები გახდნენ. ოქრიაშვილის „ჩერნომორეცი" (მე-5 ადგილი) ევროპალიგაზე ითამაშებს.

## გრიგალაშვილმა კარი გაიჯახუნა

თურქეთში **ზურაბ ხიზანიშვილის** „ქაისერიმ" ჩემპიონატი 29 ქულით ბოლო ადგილზე დაასრულა, ქართველი მცველი დიდი ხანია, ტრავმირებულია.

მართალია, **შოთა არველაძის** „ქასიმფაშამ" ბოლო ტურში იმარჯვა, მაგრამ მოიგო კონკურენტმა „ტრაბზონმაც". ამიტომაც ქართველი მწვრთნელის გუნდი ევროთასების გარეშე დარჩა, გუნდმა მე-6 ადგილზე დაასრულა ჩემპიონატი.

ჩემპიონატი დასრულდა კვიპროსშიც. ბოლო ტურში „ერმისმა" „ომონია" 2:1 დაამარცხა და ევროპალიგაზე ითამაშებს (მე-4 ადგილი). გამარჯვებულთა რიგებში 36-ე წუთიდან ჩაება თამაშში ვეტერანი **ლევან მაღრაძე**. მე-6 ადგილზე დაასრულა ჩემპიონატი „ანორთოსისმა", რომელიც 2:2 დაუზავდა „აპოლონს". ორივე გოლი ქართველი ნახევარმცველის, **შოთა გრიგალაშვილის** ანგარიშზეა, მან პირველ ტაიმში ჯერ გაათანაბრა, შემდეგ ტაიმის მიწურულს წინ გაიყვანა გუნდი, თუმცა კვიპროსის „ბებერმა ქალბატონმა" 3 ქულა ვერ შეინარჩუნა. სხვათა შორის, ჩვენებური შესვენებაზე შეცვალეს. 27 წლის ქართველის ანგარიშზე სეზონში 8 გოლია, რაც ურიგო შედეგი არ უნდა იყოს.

დანიაში ბოლოადგილოსანმა „ორჰუსმა" ჩემპიონატი მარცხით დაასრულა, „ოლბორგთან" 0:1 დამარცხდა. დივიზიონიდან დაქვეითებული „ორჰუსის" განაცხადში მხოლოდ **დავით სხირტლაძე** იყო და იმასაც არ უთამაშია.

ფინეთის ჩემპიონატის მე-9 ტურში ტურკუს „ინტერი" შინ 0:0 დაუზავდა ვპს-ს. **ირაკლი სირბილაძემ** შეუცვლელად ითამაშა მასპინძელთა რიგებში. „ინტერს" 10 ქულა აქვს.

**ალექსანდრე ამისულაშვილის** „კრილია სოვეტოვი" ცალი ფეხით პირველ დივიზიონშია. დასარჩენ მატჩში ქართველის გუნდმა სტუმრად 0:2 წააგო „ტორპედოსთან", ჩვენებურმა 90 წუთი ითამაშა. ყველაფერი საპასუხო მატჩში გადაწყდება.

## ცხადაძე რჩება

აზერბაიჯანული პრემიერლიგა დასრულდა. ბოლო ტურს თითქმის არ ჰქონდა სატურნირო მნიშვნელობა. მანამდე კი „აპა სპორტთან" ინტერვიუში ვიცე-ჩემპიონ „ინტერის" თავკაცმა **კახა ცხადაძემ** დაადასტურა, რომ გუნდში კიდევ ერთი სეზონით რჩება. ბოლო ტურში ცხადაძის გუნდმა სტუმრად 3:1 მოუგო აზალ-ს. მასპინძლებს კვლავ არ ჰყოლიათ **ლაშა კასრაძე**, ცხადაძემ კი კარში **გიორგი ლომაია** ჩააყენა, სხვა თანამემამულეები კი განაცხადშიც კი არ შეიყვანა. საბოლოოდ „ინტერი" ჩემპიონ „ყარაბაღს" 5 ქულით ჩამორჩა.

ჩემპიონი სტუმრად „ხაზართან" 1:2 დამარცხდა და მის განაცხადში არც **ჯაბა დვალი** და არც **ნიკოლოზ გელაშვილი** არ ყოფილა. **გიორგი ჩიხრაძის** „სიმურგი" „ნეფთჩის" 0:0 დაუზავდა. ქართველმა სპეციალისტმა ზაქათალის კლუბი საბოლოოდ მე-7 ადგილზე გაიყვანა.

## უნაკლო სტარტი

დიდებული სტარტი გამოუვიდა ლატვიის ვირშლიგაში **თორნიკე თარხნიშვილის** „ვენტსპილსს" - 11 თამაშიდან 11 გამარჯვება. ბოლო ტურში ამ გუნდმა სტუმრად რიგის „დაუგავა" 4:0 გაანადგურა. თორნიკემ, რომელმაც წინა ტურში (შუა კვირაში) გოლი გაიტანა, ამჯერად 79-ე წუთამდე ითამაშა. დაუგავპილსში „დაუგავამ" 1:0 მოუგო „იურმალას". გამარჯვებულთა რიგებში გიორგი ჩიხრაძემ და გიორგი ხუმარაშვილმა 90-90 წუთი ითამაშეს, ჯემალ ჯალიაშვილი კი მატჩის მიწურულს შევიდა მოედანზე.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

საქართველოს ჩემპიონატი

# სამტრედია და ბათუმი პლეი-ოფში დაუშვეს?

**პირველი** ლიგის ორივე ჯგუფის გამარჯვებული ცნობილია. მაგრამ გუნდები გაურკვევლობაში არიან - არ იციან, ჩატარდება თუ არა დებულებით გათვალისწინებული პლეი-ოფის მატჩები. ბოლო ინფორმაციით, ეს თამაშები 22 მაისიდან უნდა დაიწყოს. ფეხბურთის ფედერაციის სამდივნოს ხელმძღვანელმა **რევაზ შენგელიამ** ინფორმაცია უარყო, ყველაფერი დღე-დღეზე გაირკვევაო.

ეს საკითხი განიხილება დღეს, დაუშვან თუ არა ულიცენზიოდ დარჩენილი ბათუმის „დინამო" და „სამტრედია" პლეი-ოფში. ბათუმელებმა ლიცენზირების ვერმიღება გააპროტესტეს და საბოლოოდ, პირობები დააკმაყოფილეს, რაც კლუბის სპორტულმა დირექტორმა **მალხაზ მახარაძემ** გვითხრა. სავარაუდოდ, პლეი-ოფში სამტრედიელებსაც დაუშვებენ - კლუბში გვითხრეს, ფედერაციამ დაგვაიმედა, შრომას წყალში არ ჩაგიყრითო.

მეორე ვარიანტია, რომ ლიგას 16 გუნდამდე გაზრდიან და პლეი-ოფი საჭირო აღარ გახდება. საბოლოო გადაწყვეტილება, სავარაუდოდ, დღეს გახდება ცნობილი.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისი. ასოციაციის თასის ფინალი

# ცხრაწლიანი ტანჯვის დასასრული

**არსენალი-ჰალი 2:2 დ.დ 1:0**

**გოლები:** 0:1 ჩესტერი (4), 0:2 კ. დევისი (8), 1:2 კასორლა (17), 2:2 კოშელნი (71), 3:2 რემსი (109)

**არსენალი:** ფაბიანსკი, სანია, მერტეზაკერი, კოშელნი, გიბსი, არტეტა, რემსი, პოდოლსკი (62. სანოგო), იოზილი (106. უილშირი), კასორლა (106. როსიცკი), ჟირუ

**ჰალი:** მაკგრეგორი, კ. დევისი, ბრუსი (67. მაკშეინი), ჩესტერი, როსენიორი (102. ბოიდი), ელ მოჰამადი, ლივერმორი, მეილერი, ჰადლსტოუნი, ქუინი (75. ალუკო), ფრაიატი

**მაყურებელი:** 89 345




„არსენალი" ნანატრ ტიტულს ზეიმობს

შაბათს „უემბლიზე" ასოციაციის თასის ფინალისტებმა საუცხოო ფეხბურთი ითამაშეს. გამარჯვებული დარჩა გუნდი, რომელიც უკეთ გამოიყურებოდა ძირითადად ფიზიკური მომზადების ხარჯზე, მეტი მომენტი შექმნა და მიუხედავად შოკისმომგვრელი დასაწყისისა, არ დაბნეულა და ბრძოლაზე ხელი არ აუღია. „მეთოფეებმა" 2005 წლის შემდეგ პირველი ტიტული მოიგეს და დანავსული სერია შეწყვიტეს. ცხრა წლის წინაც მსგავსი სიტუაცია იყო. დედაქალაქელებს ფეხბურთის ისტორიაში უძველესი ტურნირის მოსაგებად დამატებითი დრო, პლუს პენალტების სერია დასჭირდათ. ამჯერად კი გუნდს **აარონ რემსიმ** უშველა. უელსელმა ჩვეულ სიტუაციაში გამოიჩინა თავი, ბურთი ახლო მანძილიდან ერთი შეხებით გაახვია ბადეში.

რემსის გოლამდე „არსენალის" თავს დიდმა ქარბორბალამ გადაიარა. „ჰალმა" ფავორიტები სადებიუტო წუთებში ორჯერ დააშამათა. „მეთოფეებს" ასეთი დასაწყისი ცუდად აქვთ დაცდილი, რადგან ჩემპიონატში „ლივერპულთან" და „ჩელსისთან" მატჩები მისი განადგურებით დასრულდა. შესაძლოა, ყველაფერი ასეც ყოფილიყო, მე-14 წუთზე **კირან გიბსის** თავგანწირვა რომ არა. ანგარიში უკვე 0:2 იყო, ფეხბურთელმა კი მორიგი სტანდარტულის შემდეგ ბურთი თავით ცარიელი კარიდან გამოიტანა. „არსენალმა" მე-17 წუთზე გამოიხედა თვალებში. **სანტი კასორლამ** 27-28 მეტრიდან გაიტანა. „პატარა ესპანელს" ულამაზესი ჯარიმა გამოუვიდა. აქედან მოყოლებული კი თამაში „მეთოფეებისა" იყო.

**მატჩის შემდგომ**

**არსენ ვენგერი** (არსენალი): - გამარჯვების შემდეგ შეგვიძლია მშვიდად ამოვისუნთქოთ, რადგან ყველანი ვგრძნობდით, რომ ვალდებულები ვიყავით, მოგვეგო, ეს კი დამატებით ტვირთად გვაწვა. თამაშის დასაწყისი სწორედ ამიტომ ჩავაგდეთ. გულშემატკივარმა იხილა კლასიკური მაგალითი იმისა, როგორ არ უნდა დაგვეწყო ასოციაციის თასის ფინალური შეხვედრა. შოკში ვიყავი, როცა ვხედავდი, რომ მეტოქის თითოეული სტანდარტულის შემდეგ ჩვენს კართან ხიფათი იქმნებოდა. მხოლოდ დრო გვიჩვენებდა, რამდენად მძიმე ფსიქოლოგიური დარტყმა იქნებოდა ეს გუნდისთვის. „არსენალს" განსაკუთრებული მებრძოლი სული აქვს. ჩემი გუნდი არაჩვეულებრივადაა შეკრული და ვიცი, რომ ნებისმიერ სიტუაციაში ნახავს გამოსავალს. მნიშვნელოვანი იყო, რომ პირველივე ტაიმში გავიტანეთ, რადგან მეორეში მოვლენათა დაჩქარება საჭირო აღარ გახდა. თამაშის დიდი ნაწილი მაღალ დონეზე ჩავატარეთ. ასეთ ბედნიერ წამებს დიდხანს ველოდით, შესაბამისად, ემოციები უფრო ყოვლის მომცველია. დღევანდელი გამარჯვება ყველაზე მნიშვნელოვანია ჩემს კარიერაში, რადგან წინა ტრიუმფების დროს ჩვენზე ამხელა ზეწოლა არასოდეს ყოფილა. კლუბთან ჩემი ახალი კონტრაქტის დეტალები უკვე შეთანხმებულია. წასვლაზე ლაპარაკი არც ყოფილა. რაც შეეხება სამომავლო პერსპექტივებს: პრემიერლიგა ურთულესი ტურნირია. შეხედეთ პირველ ოთხეულს, მასში ვერ მოხვდნენ „მანჩესტერ იუნაიტედი", „ტოტენჰემი" და „ევერტონი", ეს გუნდები შემადგენლობის გასაძლიერებლად სერიოზულ თანხებს გაიღებენ, კიდევ უფრო მეტს დახარჯავს ჩემპიონი. მათთან ჭიდილი ძალიან რთული იქნება, მაგრამ ჩვენ ჩვენი შანსებისთვის მაინც ვიბრძოლებთ.

**სტივ ბრუსი** (ჰალი): - სხვა დროს შეიძლებოდა მოგვეგო კიდეც, მაგრამ დღეს ჩვენი თამაში არ აღმოჩნდა საკმარისი საბოლოო მიზნის მისაღწევად. გულდაწყვეტილები ვართ, რადგან ნამდვილად გვქონდა შანსი, ასოციაციის თასის ფინალში ერთ-ერთი გამორჩეული გამარჯვება გვეზეიმა. მონდომების, საბრძოლო ჟინისა და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, ჩემს ფეხბურთელებთან სასაყვედურო არაფერი მაქვს. ვამაყობ თუ არა მათით? რა თქმა უნდა. ბიჭებმა უკანასკნელი ძალები შეალიეს შეხვედრას.

მანჩესტერ სიტი

# ახალი კონტრაქტები ლიდერებს

„მანჩესტერ სიტის" მეკარე **ჯო ჰარტმა** სეზონის განმავლობაში „ქალაქელთა" სასტარტოში ადგილი ცოტა ხნით დაკარგა, თუმცა იოლად დაამტკიცა, რომ ნდობას ისევ იმსახურებდა. სეზონის დასკვნითი ნაწილი 27 წლის ფეხბურთელმა მაღალ დონეზე ჩაატარა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მან გუნდის გაჩემპიონებაში დიდი როლი ითამაშა. ჯოს საიმედოობაში წამითაც არ შეჰპარვია ეჭვი ინგლისის ნაკრების თავკაც **როი ჰოჯსონს**. ასე რომ, ჰარტი მსოფლიოს ჩემპიონატზეც ძირითადი გოლკიპერის სტატუსით მიემგზავრება. „სქაი სპორტსის" ინფორმაციით, ფეხბურთელს გარჯას „სიტიც" სათანადოდ უფასებს და მას 2016 წლამდე მოქმედი ხელშეკრულების ვადამდე გაგრძელებას სთავაზობს. ამას გარდა კლუბი უახლოეს დღეებში შესთავაზებს ახალ კონტრაქტებს **ჯეიმს მილნერს, სამირ ნასრის, ედინ ჯეკოსა** და **ალექსანდარ კოლაროვს**. მანჩესტერელთა სატრანსფერო სამიზნეებზე კი მხოლოდ იმის თქმა შეგვიძლია, რომ კლუბს „მალაგაში" მოასპარეზე **ვილი კაბალიეროს** შეძენა სურს, ვინც ანდალუსიელთა რიგებში პრიმერას ყველა თამაში თავიდან ბოლომდე ითამაშა. **მანუელ პელეგრინი** არგენტინელს სათადარიგოთა სკამზე **კოსტელ პანტილიმონის** შემცვლელად განიხილავს.



„მანჩესტერ სიტი" კონტრაქტების გაგრძელებას წამყვანი ფეხბურთელების მთელ ჯგუფთან გეგმავს

ლივერპული

# მზერა ბუნდესლიგისკენ

ინგლისური საინფორმაციო სააგენტოები აქტიურად წერენ „ლივერპულის" საზაფხულო გეგმებზე. „გარდიანის" მტკიცებით, მერსისაიდელები პარალელურად აწარმოებენ მოლაპარაკებებს **ჯერდან შაჩირის** (ბაიერნი), **რაიან ბერტრანის** (ჩელსი), **დეიან ლოვრენისა** და **ადამ ლალანას** (ორივე საუთჰემპტონი) ტრანსფერებზე.

შაჩირიმ ბუნდესლიგის მრავალგზის ჩემპიონთა რიგებში უკვე მეორე სეზონი დაასრულა, თუმცა ძირითადში ადგილის დამკვიდრება ვერ შეძლო. **პეპ გვარდიოლას** გუნდის ნახევარდაცვას თუ გადახედავთ, შეკითხვა, თუ რატომ ვერ მოახერხა 22 წლის შვეიცარიელმა ამის გაკეთება, აღარ გაგიჩნდებათ. მართალია, ჯერდანს მოთმინებისკენ მოუწოდებენ, მაგრამ ფეხბურთელს მუდმივი სათამაშო პრაქტიკა სჭირდება. ცხადია, მას ისიც უნდა ესმოდეს, რომ მიუხედავად უნივერსალიზმისა, სასტარტოში ადგილს მას არც „ლივერპულში" დაუჯავშნის ვინმე.

ლალანათი „ლივერპულის" დაინტერესებაზე უკვე ვწერდით, ასე რომ, ამ თემას აქვე ამოვწურავთ. როგორც ირკვევა, „წითლებს" „წმინდანების" კიდევ ერთი ფეხბურთელის ყიდვა აქვთ განზრახული. 24 წლის ხორვატის ტრანსფერი იმ შემთხვევაში დადგება დღის წესრიგში, თუკი გაირკვა, რომ „ენფილდიდან" წასვლა საბოლოოდ გადაწყვიტეს **დანიელ აგერმა** და **კოლო ტურემ**. ამ შემთხვევაში **ბრენდან როჯერსს** ხელში მხოლოდ **მარტინ შკრტელი, მამადუ სახო, ანდრე უისდომი** (იჯარიდან ბრუნდება), **მარტინ კელი** შერჩება. უკანასკნელმა ტრავმის გამო ბოლო სეზონი თითქმის მთლიანად გამოტოვა და მისი ნდობა ძალიან ძნელია.



საუთჰემპტონელ დეიან ლოვრენს „ლივერპულის" გაძლიერება ნამდვილად შეუძლია

ჩვენი აზრით, ზემოთ ხსენებული გვარებიდან ყველაზე ნაკლებად „ენფილდზე" ბერტრანის გამოჩენას უნდა ველოდოთ, რადგან „ლივერპულს" მარცხენა მცველის პოზიციაზე **ჯონ ფლენაგანის** გარდა **ხოსე ენრიკეც** ჰყავს, ვისაც ტრავმის გამო დიდი ხანი გაუცდა, თუმცა მისი დაბრუნება კონკურენციას კიდევ უფრო გაამძაფრებს.

„დეილი მირორი" მერსისაიდელთა სხვა მიზნებზეც წერს. გამოცემის მტკიცებით, ბრენდან როჯერსს ნახევარდაცვის ცენტრის გაძლიერება სურს და ამისთვის ორ ფეხბურთელს დაადგა თვალი - **ხავი მარტინესსა** (ბაიერნი) და **ემრე ჩანს** (ლევერკუზენი). ერთიცა და მეორეც უნივერსალი ფეხბურთელები არიან. ესპანელს საყრდენის გარდა დაცვის ცენტრშიც შეუძლია თამაში; ჩანს კი „ფარმაცევტების" რიგებში დაცვის ფლანგებზეც უთამაშია და შემტევ ნახევარმცველადაც.

დაბოლოს, გეტყვით, რომ „ლივერპულ ექოს" ინფორმაციით, „წითლები" **გლენ ჯონსონთან** კონტრაქტის გაგრძელებას არ აპირებენ. 29 წლის მარჯვენა მცველი „ლივერპულში" კონტრაქტის ვადის ამოწურვამდე (2015 წლის ზაფხული) დარჩება და თავისუფალი აგენტის სტატუსით წავა, რაც კლუბს სახელფასო ფონდის შემცირების საშუალებას მისცემს.

ამბები



ჟოზე მოურინიო

## კავანი ძალიან ძვირია

„ჩელსის" სატრანსფერო გეგმებიდან **ჟოზე მოურინიომ** პსჟ-ს ურუგვაელი თავდამსხმელი **ედინსონ კავანი** ამოიღო. პორტუგალიელის აზრით, პარიზელები 27 წლის ფეხბურთელს მეტისმეტად ძვირად აფასებენ. პორტუგალიელის სიაშია „მონაკოს" 28 წლის კოლუმბიელი შემტევი **რადამელ ფალკაო**. სულ ახლახან გაჩნდა მასში „ბაიერნის" მთავარ მწვრთნელ **პეპ გვარდიოლასთან** ნაჩხუბარი **მარიო მანჯუკიჩიც**. მიუნხენელებს „ჩელსიდან" **დავიდ ლუისის** ყიდვა სურთ. ასე რომ, მოურინიოსა და გვარდიოლას შეუძლიათ ამ შემთხვევაში მაინც გამონახონ საერთო ენა.

## ბოულდი თუ დაუნინგი?

„ბირმინგემ მეილის" ინფორმაციით, „ვესტ ბრომვიჩში" ახლადანიშნული ტექნიკური დირექტორი **ტერი ბარტონი**, ვინც აქამდე სწორედ „არსენალის" სისტემაში მუშაობდა, **პეპე მელის** ნაცვლად გუნდის მთავარ მწვრთნელად **არსენ ვენგერის** თანაშემწე **სტივ ბოულდის** დანიშვნას ლობირებს. ბოულდს აქამდე დამოუკიდებელი სამწვრთნელო პრაქტიკა არ ჰქონია. „ბრომვიჩის" პრეზიდენტ **ჯერემი პირსს** პოსტზე მელის ყოფილი ასისტენტის **კიტ დაუნინგის** დანიშვნა სურს. უკანასკნელს ფეხბურთელთა მხარდაჭერის იმედიც შეიძლება ჰქონდეს.

კლუბმა **დიეგო ლუგანოს, სტივენ რიდსა** და **ლაიამ რიჯუელს** უკვე აცნობა, რომ მათთან კონტრაქტების გაგრძელება არ იგეგმება. „ჰაუტორნსს" დატოვებენ იჯარით აყვანილი ფეხბურთელებიც: **სკოტ სინკლერი, მორგან ამალფიტანო, მატეი ვიდრა, ბიფუმა ტიევი** და **გორან პოპოვი**.

## საკადრო წმენდა სენტ მერიზე

ინგლისური პრესა „საუთჰემპტონიდან" მთავარი მწვრთნელის წასვლას დღედღეზე ელოდება. **მაურისიო პოჩეტინიო** კარიერას ალბათ „ტოტენჰემში" განაგრძობს. „წმინდანებს" ესპანელის შემცვლელი შერჩეული ჯერ არ ჰყავთ. სამაგიეროდ უკვე გარკვეულია, რომ „სენტ მერის" ტოვებენ **გული დო პრადო, ლი ბერნარდი** და **ჯონათან ფორტე**.

## კიდევ ერთი აზარი პრემიერლიგაში

„დეილი მეილის" წერს, რომ „ჩელსის" 23 წლის ვარსკვლავის **ედენ აზარის** 2 წლით უმცროსი ძმა **ტორგან აზარი** მომდევნო სეზონს „ევერტონში" გაატარებს. 21 წლის ნახევარმცველის კონტრაქტიც „ჩელსის" ეკუთვნის. ფეხბურთელმა „ზულტე ვარეგემში" იჯარით ერთი სეზონი გაატარა და ბელგიის ჟუპილერლიგაში 29 თამაშში 9 გოლითა და 14 საგოლე პასით გამოიჩინა თავი.

## ბენტი ვილადან ნიუკასლში

თითქმის გადაწყვეტილია, რომ „ნიუკასლი" „ქუინზ პარკიდან" იჯარით აყვანილ **ლოიკ რემის** ვერ შეინარჩუნებს. ჯორდებს 27 წლის ფრანგის შემცვლელი სჭირდებათ და ამ მიზნით „ასტონ ვილადან" **დარენ ბენტის** შეძენას შეეცდებიან. უკანასკნელმა სეზონი იჯარით „ფულჰემში" გაატარა, თუმცა ლონდონელებს ვერაფრით შეეწია.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

● იტალია. სერია A. XXXVIII ტური

# ფინიში 102 ქულით


ანტონიო დი ნატალემ ჰეთთრიკი შვილთან ერთად აღნიშნა

**სერია A-ს 2013/2014 წლების სეზონი უკვე ისტორიის საკუთრებაა და იტალიური საფეხბურთო სამყაროც ნელ-ნელა მთლიანად ეროვნულ ნაკრებზე და მოახლოებულ მუნდიალზე გადაერთვება. თუმცა, ჯერ მაინც მოგვიწევს განვლილი ბატალიების გახსენება და მთავარი მოვლენების გამოყოფა.**

## ისტორიული სეზონი

უკვე განვლილმა სეზონმა ბევრი საინტერესო და უხვგოლიანი მატჩით დაგვამახსოვრა თავი. შეიძლება თამამად ითქვას, რომ კალჩოს დაცვაზე ორიენტირებული იმიჯი მნიშვნელოვნად შერყეულია - ბევრი ისეთი მატჩის გახსენება შეიძლება, რომლებშიც გუნდებმა ნამდვილი გოლთაცვენა მოაწყვეს და საფეხბურთო სპექტაკლი დადგეს.

თუმცა, სეზონის მთავარი მოვლენა მაინც „იუვენტუსის“ 30-ე სკუდეტოა. ტურინულმა გრანდმა მესამე ვარსკვლავი მიითვალა და ეს უდავოდ ისტორიული მოვლენაა. მართალია, თავად „იუვენტინოებმა“ 30-ე სკუდეტო ორი წლით ადრე იზეიმეს, მაგრამ ოფიციალურად, მესამე ვარსკვლავი მათ სწორედ ამ სეზონში მიეკუთვნათ. თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, მომდევნო სეზონიდან „იუვეს“ ლოგოს სწორედ სამი ვარსკვლავი დაამშვენებს. რა უნდა მოხდეს? - „ვეკია სენიორას“ მესვეურები ჩამორთმეული სკუდეტოების დაბრუნებას ითხოვენ და სანამ მათი აზრით, სამართლიანობა არ აღდგება, შესაძლოა, ლოგოზე ორი ვარსკვლავი დატოვონ.

## რომა გაჩერდა

„იუვენტუსმა“ სეზონი მაჟორულ ნოტზე დაასრულა და საკუთარ კედლებში „კალიარი“ ბეჭებზე გააკრა. ტურინელებმა მეტოქეს სამი უპასუხო გოლი გაუტანეს და ერთი იმდენის გატანა კიდევ შეეძლოთ. **ანტონიო კონტემ** ძირითადი შემადგენლობა დააყენა და ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ მის გუნდს სეზონი ქულათა სამნიშნა რაოდენობით დაესრულებინა. დიახ, „იუვემ“ სეზონი 102 ქულით დაასრულა, ეს კი რეკორდია!

სამაგიეროდ, „რომა“ მოდუნდა ბოლო ტურებში და მიჯრით წააგო შეხვედრებში. როგორც ჩანს, **რუდი გარსიამ** ვერ განაწყო შეგირდები უმოტივაციო შეხვედრებში და ეს შედეგზეც შესაბამისად აისახა. „ჯალოროსი“ „ჯენოას“ ესტუმრა და მიუხედავად იმისა, რომ მეტოქეზე გაცილებით მეტი საგოლე მომენტი შექმნა, მინიმალური ანგარიშით დამარცხდა. „რომამ“ ჩემპიონატი მარცხით დაასრულა, მაგრამ ეს ვერ დააკნინებს დიდძალ სამუშაოს, რომელიც გარსიამ და მისმა შეგირდებმა გაწიეს და მთლიანობაში, წარმატებულ ასპარეზობას. მომდევნო სეზონში, „რომას“ ჩემპიონთა ლიგაზე მოუწევს შესაძლებლობების დამტკიცება. ნამატჩევს, რომაელთა ფრანგმა დამრიგებელმა სწორედ ამაზე გააკეთა აქცენტი:

*„უკეთესი იქნებოდა ბოლო თამაშები არ ჩაგვეგდო, მაგრამ ფეხბურთელთა სასაყვედუროდ ენა არ მომიბრუნდება. უკან ურთულესი სეზონია, წინ მუნდიალი და გამომდინარე აქედან, შეგირდებს ამაზე მეტს ვერ მოვთხოვდი. მთლიანობაში, გაწეული სამუშაოთი ძალიან კმაყოფილი ვარ, წინ კი ახალი სეზონი და ჩემპიონთა ლიგაა“.*

## დი ნატალეს ჰეთთრიკი

თავშივე აღვნიშნეთ, რომ სერია A-ს უკვე ისტორიად ქცეულმა გათამაშებამ ბევრი უხვგოლიანი და დრამატული პაექრობა გვაჩუქა. ერთ-ერთი ასეთი დაპირისპირება უდინეში შედგა, სადაც „უდინეზემ“ „სამპდორია“ მიიღო. გუნდებმა სამ-სამი გოლი გაცვალეს და მეტი სიზუსტე რომ გამოეჩინათ დამაგვირგვინებელ ფაზაში, ორ-ორჯერ მეტის გატანაც შეეძლოთ. აღსანიშნავია, რომ ჰეთთრიკი შეასრულა **ანტონიო დი ნატალემ**, რომელიც დიდი სურვილის მიუხედავად, სამუდიალე განაცხადში ვერ მოხვდა. ტოტო დილემის წინაშეა - ან მისთვის უკვე გამზადებულ ხელშეკრულებას უნდა მოაწეროს ხელი და ფეხბურთი კიდევ მინიმუმ ერთი სეზონი ითამაშოს, ან ბუცები ლურსმანზე ჩამოკიდოს. ანტონიოს თქმით, გადაწყვეტილების შევებულების დასრულების შემდეგ მიიღებს და დავიტოვოთ იმედი, რომ მას კიდევ ვიხილავთ მწვანე მინდორზე.

**ლაშა ნიკლაური**

### უდინეზე-სამპდორია 3:3

**გოლები:** 0:1 ოკაკა (10), 1:1 დი ნატალე (26), 2:1 დი ნატალე (31), 2:2 ედერი (53), 2:3 სორიანო (55), 3:3 დი ნატალე (88).

**უდინეზე (4-3-2-1):** ბრკიჩი - ვიდმერი, ბუბნიჩი (78. ლოპესი), დომიცი, გაბრიელ სილვა (18. ნალდო) - ლაძარი, პინცი, ალანი (65. ბადუ) - პერეირა, ფერნანდესი - დი ნატალე.

**სამპდორია (4-2-3-1):** ფიორილო - დე სილვესტრი, მუსტაფი, გასტალდელო, რეჯინი - კრსტიჩიჩი, პალომბო (46. რენანი) - გაბიადინი (83. ვსზოლეკი), ედერი (65. სანსონე), სორიანო - ოკაკა.

**გაფრთხილება:** დომიცი, პინცი, ლოპესი - მუსტაფი, ედერი.

**კუთხური:** 6-5; **ჯარიმა:** 14-12; **თამაშგარე:** 4-0; **კარში დარტყმა:** 15-10 (8-5); **ბურთის ფლობა:** 57%-43%.

**მაყურებელი:** 14 000

### კატანია-ატალანტა 2:1

**გოლები:** 1:0 ლოდი (65), 1:1 კონე (80), 2:1 ბერგესიო (90-პენ.).

**კატანია (4-3-3):** ფრიზონი - გომბერი, ბელუში, კაპუანო, მონძონი (88. გარუფი) - ისკო, რინაუდო, ფედატო (86. ავენი) - ლეტო (56. ლოდი), კასტრო, ბერგესიო.

**ატალანტა (4-3-2-1):** სპორტიელო - რაიმონდი, ბენალუანი, ბელინი, ბრივიო (46. კალდარა) - ჩიგარინი (65. ოლაუსონი), ბაზელი, კონე - ბრიენცა (72. ბენტანკური), მორალესი - დენისი.

**გაფრთხილება:** ისკო - ჩიგარინი, კონე.

**კუთხური:** 5-4; **ჯარიმა:** 9-7; **თამაშგარე:** 5-3; **კარში დარტყმა:** 16-14 (9-8); **ბურთის ფლობა:** 47%-53%.

**მაყურებელი:** 12 000

### ჯენოა-რომა 1:0

**გოლი:** 1:0 ფეტფატციდისი (83).

**ჯენოა (3-4-3):** პერინი - დე მაიო, ბურდისო, პორტანოვა - ვრსალკო, კაბრალი, სტურარო, მარკეზე - ჩენტურიონი (89. მოტა), კალაიო (79. კონატე), სკული (69. ფეტფატციდისი).

**რომა (4-3-3):** სკორუპსკი - იედვა, ბენატია, კასტანი, ბასტოსი - ნაინგოლანი, ფლორენცი, ტადეი - ლიაიჩი (79. ტოტი), რიჩი (59. მაძიტელი), დესტრო (78. დოდო).

**გაფრთხილება:** იედვა (რომა).

**კუთხური:** 4-5; **ჯარიმა:** 15-8; **თამაშგარე:** 1-7; **კარში დარტყმა:** 7-11 (2-5); **ბურთის ფლობა:** 40%-60%.

**მაყურებელი:** 22 000

### იუვენტუსი-კალიარი 3:0

**გოლები:** 1:0 სილვესტრი (8-საკ. კარში), 2:0 ლორენტე (15), 3:0 მარკიზიო (40).

**იუვენტუსი (3-5-2):** ბუფონი (54. რუბინიო) - კასერესი, ბონუჩი, ოგბონა - ლიხტშტაინერი, მარკიზიო, პირლო (80. პეპე), პოგბა, ასამოა - ტევესი, ლორენტე (60. ოსვალდო).

**კალიარი (4-3-1-2):** სილვესტრი - პერიკო, როსეტინი, ასტორი (46. ბასტრინი), აველარი - ტაბანელი, დესენა, კონტი - კოსუ (66. იბრაიმი) - პინილია, იბარბო (86. ლოი).

**კუთხური:** 9-2; **ჯარიმა:** 13-10; **თამაშგარე:** 6-0; **კარში დარტყმა:** 9-6 (5-2); **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**მაყურებელი:** 40 000

### მილანი-სასუოლო 2:1

**გოლები:** 1:0 მუნტარი (2), 2:0 დე იონგი (27), 2:1 ძაძა (90-პენ.).

**მილანი (4-3-2-1):** აბიატი - დე შილიო, მექსე, რამი, კონსტანტი (63. ძაკარდო) - მუნტარი (59. ელ შაარავი), მონტოლივო, დე იონგი - ტაარაბტი, კაკა (73. ბალოტელი) - პაცინი.

**სასუოლო (4-3-3):** პეგოლო - მენდესი (78. ტერანოვა), არიაუდო, კანავარო, ლონგი - ჩიბსა (73. მაზუჩი), მანიანელი, მისიროლი (46. ბიონდინი) - ძაძა, სანსონე, ბერარდი.

**გაფრთხილება:** არიაუდო (სასუოლო).

**გაძევება:** მექსე (68), დე შილიო (89) - კანავარო (86).

**კუთხური:** 7-6; **ჯარიმა:** 16-13; **თამაშგარე:** 3-3; **კარში დარტყმა:** 16-14 (9-5); **ბურთის ფლობა:** 57%-43%.

**მაყურებელი:** 45 000

### კიევო-ინტერი 2:1

**გოლები:** 0:1 ანდრეოლი (41), 1:1 ობინა (73), 2:1 ობინა (89).

**კიევო (4-3-1-2):** სკუიცი - ფრეი, ბერნარდინი, დრამე, რუბინი - რადოვანოვიჩი (62. კუპიჟი), დაინელი (72. ობინა), ბენტივოლიო, ჰეტემაი (86. კალელო) - ლაზარევიჩი, პალოსკი.

**ინტერი (3-5-2):** კარიცო - კამპანიარო (46. რანოკია), კამბიასო, ანდრეოლი - ძანეტი, კოვაჩიჩი (82. გუარინი), ალვარესი, ტაიდერი, დამბროზიო - ბოტა (85. ბონაცოლი), მილიტო.

**გაფრთხილება:** დრამე, ფრეი - ანდრეოლი.

**კუთხური:** 7-3; **ჯარიმა:** 16-14; **თამაშგარე:** 1-2; **კარში დარტყმა:** 11-7 (4-3); **ბურთის ფლობა:** 42%-58%.

**მაყურებელი:** 11 000

### ფიორენტინა-ტორინო 2:2

**გოლები:** 1:0 როსი (57-პენ.), 1:1 ლარონდო (67), 2:1 რებიჩი (79), 2:2 კურტიჩი (84).

**ფიორენტინა (4-3-1-2):** როზატი - რონკალია, გონსალო, ჰეგაზი, პასკუალი (77. რებიჩი) - აკვილანი, პისარო, ვარგასი - ბორხა ვალერო - კუადრადო (85. ბაკიჩი), როსი (62. ხოაკინი).

**ტორინო (3-5-2):** პადელი - მაქსიმოვიჩი, გლიკი, მორეტი - პანაიოტისი (64. ლარონდო), კურტიჩი, დარმიანი, ვივესი, ელ ქადური - ჩერჩი, მეჯორინი (65. ბარეტო).

**გაფრთხილება:** გონსალო, რონკალია, პისარო, ვარგასი, კუადრადო - დარმიანი, ვივესი.

**კუთხური:** 7-6; **ჯარიმა:** 13-10; **თამაშგარე:** 0-6; **კარში დარტყმა:** 11-10 (8-5); **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

**მაყურებელი:** 31 000

### ლაციო-ბოლონია 1:0

**გოლი:** 1:0 ბილია (90-პენ.).

**ლაციო (4-3-3):** ბერიშა - პერეირინია, ბიავა, დიასი, რადუ - ბილია, ლედესმა (88. მინალა), ლულიჩი - კანდრევა (59. ანდერსონი), კეიტა, კლოზე (81. ტუნკარა).

**ბოლონია (3-4-3):** სტოიანოვიჩი - სორენსენი, ნატალი (46. ანტონსონი), კერუბინი - კრესპო, პაციენცა, ჩეხი, მორლეო - ლაქსალტი (46. იბსონი), მოსკარდელი, აკვაფრესკა (76. როდრიგესი).

**გაფრთხილება:** პერეირინია, ანდერსონი - პაციენცა.

**კუთხური:** 8-2; **ჯარიმა:** 11-10; **თამაშგარე:** 3-1; **კარში დარტყმა:** 11-7 (6-1); **ბურთის ფლობა:** 53%-47%.

**მაყურებელი:** 31 000

### პარმა-ლივორნო 2:0

**გოლები:** 1:0 ამაური (62), 2:0 ამაური (80).

**პარმა (4-3-3):** მირანტე (87. პავარინი) - კასანი, პალეტა, მოლინარო, გობი - ასკუა, მარკიონი (82. გალოპა), პაროლო - კასანო, ბიაბიანი, სკელოტო (53. ამაური).

**ლივორნო (4-3-2-1):** ანანია (83. ალდეგანი) - ჩეკერინი, რინაუდო, ემერსონი, ჯემიტი - ბიაჯანტი, დუნკანი, მოსკერა - სილიგარდი (69. ბერტოლინი), პაულინიო - ბელფოდილი (61. პიჩინი).

**გაფრთხილება:** ჩეკერინი (ლივორნო).

**კუთხური:** 7-1; **ჯარიმა:** 15-7; **თამაშგარე:** 2-1; **კარში დარტყმა:** 10-6 (4-1); **ბურთის ფლობა:** 62%-38%.

**მაყურებელი:** 17 000

### ნაპოლი-ვერონა 5:1

**გოლები:** 1:0 კალეხონი (5), 2:0 საპატა (13), 3:0 საპატა (25), 4:0 მერტენსი (61), 4:1 იტურბე (66), 5:1 მერტენსი (77).

**ნაპოლი (4-2-3-1):** დობლასი - მაჯო, ენრიკე, ბრიტოსი, გულამი - ჯემაილი (59. ცუნიგა), ფრელო (78. ლაშიცკი) - კალეხონი (46. რადოშევიჩი), მერტენსი, ინსინიე - საპატა.

**ვერონა (4-3-3):** ნიკოლასი - კაჩატორე (55. თალები), მორასი, მარკესი (69. რაბუშიჩი), აგოსტინი (58. ალბერტაცი) - სალა, დონადელი, ალფრედსონი - იტურბე, მარკინიო, ტონი.

**გაფრთხილება:** კალეხონი, რადოშევიჩი - აგოსტინი.

**კუთხური:** 2-2; **ჯარიმა:** 15-11; **თამაშგარე:** 0-2; **კარში დარტყმა:** 20-8 (11-5); **ბურთის ფლობა:** 63%-37%.

**მაყურებელი:** 42 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუვენტუსი | 38 | 33 | 3 | 2 | 80-23 | 102 |
| 2. რომა | 38 | 26 | 7 | 5 | 72-24 | 85 |
| 3. ნაპოლი | 38 | 23 | 9 | 6 | 77-39 | 78 |
| 4. ფიორენტინა | 38 | 19 | 8 | 11 | 65-43 | 65 |
| 5. ინტერი | 38 | 15 | 15 | 8 | 62-29 | 60 |
| 6. პარმა | 38 | 15 | 13 | 10 | 58-46 | 58 |
| 7. ტორინო | 38 | 15 | 12 | 11 | 58-48 | 57 |
| 8. მილანი | 38 | 16 | 9 | 13 | 57-49 | 57 |
| 9. ლაციო | 38 | 15 | 11 | 12 | 54-54 | 56 |
| 10. ვერონა | 38 | 16 | 6 | 16 | 62-68 | 54 |
| 11. ატალანტა | 38 | 15 | 5 | 18 | 43-51 | 50 |
| 12. სამპდორია | 38 | 12 | 9 | 17 | 48-62 | 45 |
| 13. უდინეზე | 38 | 12 | 8 | 18 | 46-57 | 44 |
| 14. ჯენოა | 38 | 11 | 11 | 16 | 41-50 | 44 |
| 15. კალიარი | 38 | 9 | 12 | 17 | 34-53 | 39 |
| 16. კიევო | 38 | 10 | 6 | 22 | 34-54 | 36 |
| 17. სასუოლო | 38 | 9 | 7 | 22 | 43-72 | 34 |
| 18. კატანია | 38 | 8 | 8 | 22 | 34-66 | 32 |
| 19. ბოლონია | 38 | 5 | 14 | 19 | 28-58 | 29 |
| 20. ლივორნო | 38 | 6 | 7 | 25 | 39-77 | 25 |

**ბომბარდირები:** 22 - ჩირო იმობილე (ჯენოა); 20 - ლუკა ტონი (ვერონა); 19 - კარლოს ტევესი (იუვენტუსი); 17 - გონსალო იგუაინი (ნაპოლი), როდრიგო პალასიო (ინტერი), ანტონიო დი ნატალე (უდინეზე);

### სერია B. XL ტური

**ემპოლი-ნოვარა 3:1**

**გოლები:** 0:1 რიგონი (20), 1:1 ტავანო (39), 2:1 ტავანო (45), 3:1 **მჭედლიძე** (79).

**იუვე სტაბია-კროტონე 2:2**

**გოლები:** 1:0 დუკარა (18), 1:1 ბერნარდესკი (27), 2:1 კაზერტა (57), 2:2 ჯანონე (90).

**მოდენა-აველინო 1:0**

**გოლი:** 1:0 ბიანკი (49).

**პადოვა-პესკარა 2:1**

**გოლები:** 1:0 რიბეირო (36), 2:0 იმპროტა (62), 2:1 მასკარა (64).

**პალერმო-კარპი 1:2**

**გოლები:** 0:1 მბაკოგუ (7), 1:1 ბოლცონი (39), 1:2 პაშუტი (79).

**რეჯინა-ჩეზენა 1:2**

**გოლები:** 1:0 ლუჩონი (13), 1:1 კაშონე (45), 1:2 როდრიგესი (55).

**ტრაპანი-ტერნანა 2:1**

**გოლები:** 1:0 ბასო (34), 1:1 ნოული (48), 2:1 მანკოზუ (89).

**ვარეზე-ბრეშა 1:2**

**გოლები:** 1:0 ფორტე (31), 1:1 პაჩი (73), 1:2 ბუდელი (90-პენ.).

**ლანჩანო-სპეცია 2:2**

**გოლები:** 0:1 კაროცა (63), 1:1 პაგერა (72), 1:2 ლიზუძო (75), 2:2 გატო (90).

**19 მაისი**

| | |
|---|---|
| ბარი-ჩიტადელა | 21:00 |
| ლატინა-სიენა | 23:00 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პალერმო | 40 | 24 | 10 | 6 | 60-27 | 82 |
| 2. ემპოლი | 40 | 19 | 11 | 10 | 55-33 | 68 |
| 3. ჩეზენა | 40 | 17 | 14 | 9 | 44-32 | 65 |
| 4. ლატინა | 39 | 17 | 13 | 9 | 41-32 | 64 |
| 5. მოდენა | 40 | 16 | 14 | 10 | 63-41 | 62 |
| 6. კროტონე | 40 | 16 | 11 | 13 | 54-51 | 59 |
| 7. ლანჩანო | 40 | 15 | 13 | 12 | 42-43 | 58 |
| 8. სპეცია | 40 | 15 | 13 | 12 | 44-48 | 58 |
| 9. ბარი | 39 | 17 | 10 | 12 | 47-40 | 57 |
| 10. ტრაპანი | 40 | 14 | 15 | 11 | 57-51 | 57 |
| 11. აველინო | 40 | 14 | 14 | 12 | 44-43 | 56 |
| 12. სიენა | 39 | 16 | 15 | 8 | 52-39 | 55 |
| 13. კარპი | 40 | 15 | 10 | 15 | 46-47 | 55 |
| 14. ბრეშა | 40 | 13 | 14 | 13 | 51-52 | 53 |
| 15. პესკარა | 40 | 13 | 12 | 15 | 48-49 | 51 |
| 16. ტერნანა | 40 | 11 | 15 | 14 | 51-53 | 48 |
| 17. ჩიტადელა | 39 | 11 | 12 | 16 | 40-46 | 45 |
| 18. ვარეზე | 40 | 11 | 10 | 19 | 49-63 | 43 |
| 19. ნოვარა | 40 | 10 | 13 | 17 | 39-54 | 43 |
| 20. პადოვა | 40 | 9 | 11 | 20 | 43-60 | 38 |
| 21. რეჯინა | 40 | 6 | 11 | 23 | 37-65 | 26 |
| 22. იუვე სტაბია | 40 | 2 | 13 | 25 | 36-74 | 19 |

**შენიშვნა:** სიენა - 8, ბარი - 4 ქულა, რეჯინა - 3.

**ბომბარდირები:** 25 - მანკოზუ (ტრაპანი); 20 - ბაბაქარი (მოდენა), ტავანო (ემპოლი); 19 - პავოლეტი (ვარეზე), ანტენუჩი (ტერნანა).

**საკვალიფიკაციო მატჩები სერია B-ში გადასასვლელად**

კრემონეზე-სუდტიროლი 1:1, სავონა-პრო ვერჩელი 1:2, პიზა-ფროზინონე 0:0, ბენევენტო-ლეჩე 1:1.

● ბუნდესლიგა. რელეგაცია. საპასუხო მატჩი

# ჰამბურგი გადარჩა!

## ...და დარჩა ერთადერთ გუნდად, რომელიც ელიტიდან არასდროს გავარდნილა

### ფიურტი-ჰამბურგი 1:1 (0:0)

**გოლები:** 0:1 ლასოგა (14), 1:1 ფიურშტნერი (59)

**ფიურტი (4-2-2-2):** ჰესლი - ბროზინსკი (88. მუდრინსკი), მავრაი, რიოკერი, ბაბა - ფიურშტნერი, სპარფი (78. სუკალო) - შტიბერი, ვაიდანდტი - ჯურჯიჩი (72. ფიულკრუგი), აზემი.

**ჰამბურგი (4-2-3-1):** დრობნი - დიკმაიერი, ჯურუ (31. მანსიენი), ვესტერმანი, ირაჩეკი - ბადელი, არსლანი (64. რინკონი) - ჩალჰანოღლუ, ვან დერ ვაარტი (75. ტეშე), იანსენი - ლასოგა.

**მაყურებელი:** 18 000

„ჰამბურგმა“ ბეწვის ხიდზე გაიარა და მაინც გადარჩა! საკუთარ მოედანზე 0:0-ის შემდეგ **მირკო სლომკას** გუნდს ფიურტში 1:1 ეყო იმისათვის, რომ პირველ ბუნდესლიგაში დარჩენილიყო და არ დაესრულებინა ისტორია, რომლის მიხედვითაც „ჰამბურგი“ ერთადერთი გერმანული კლუბია, რომელიც ყოველთვის პირველ ბუნდესლიგაში თამაშობდა.

ამისათვის ჰამბურგელები პირველ რიგში თავდამსხმელ **პიერ-მიშელ ლასოგას** უნდა უმადლოდნენ, რადგან სწორედ ამ უკანასკნელმა გახსნა ანგარიში მე-14 წუთზე. ცნობისათვის, მან ეს გოლი კუთხურიდან ჩაწოდების შემდეგ, თავით გაიტანა და სხვათა შორის, „ჰამბურგს“ კუთხურიდან გოლი ბოლოს რვა თვის წინ ჰქონდა გატანილი.

მეორე ტაიმში „ფიურტმა“ წონასწორობა აღადგინა: **შტიბერის** ჭკვიანური პასის შემდეგ **ფიურშტნერმა** იხეირა, მაგრამ მასპინძლებმა მეტი ველარაფერი მოახერხეს, რაც მეკარე **დრობნის (ადლერი** ტრავმირებულია) დამსახურებაა, რომელმაც ორი „მკვდარი ბურთი“ აიღო.

**გოტფრიდ ლენცი**



„ჰამბურგი“ პიერ მიშელ ლასოგამ იხსნა

ესპანეთი. ლა ლიგა. XXXVIII ტური



„ატლეტიკოს" ფეხბურთელები ჩემპიონობას თასის გარეშე ზეიმობენ

# ატლეტიკო

## ტრაგედია პამპლონაში, ვალენსიას ეშველა

**მადრიდის „ატლეტიკო" ესპანეთის ჩემპიონია! დიეგო სიმეონეს გუნდმა მიზანს მაინც მიაღწია და ლა ლიგა პირველ ადგილზე დაასრულა. „როხიბლანკომ" მთელი სეზონი უმაღლეს დონეზე, ჩავარდნის გარეშე ჩაატარა და ტიტული დამსახურებულად მოიპოვა.**

უკანასკნელი შემთხვევა, როდესაც ესპანეთის ჩემპიონი არა „ბარსა" ან „რეალი", არამედ რომელიმე სხვა გუნდი გახდა, 2004 წელს დაფიქსირდა, როცა ყველას „ვალენსიამ" აჯობა. თავად „ატლეტიკო" კი ჩემპიონი 1996 წლის შემდეგ პირველად და ისტორიაში მეათედ გახდა.

„ნოუ კამპზე" გამართული გადამწყვეტი მატჩი ისეთი გამოდგა, როგორსაც ყომაგები ელოდნენ - დაძაბული, დრამატული და არც ისე სანახაობრივი. შეხვედრის დასაწყისში უპირატესობას სტუმრები დაეუფლნენ. როგორც ჩანს, **დიეგო სიმეონემ** შეგირდებს სწრაფი გოლის გატანა დაავალა, მაგრამ სანადელს „ატლეტიკოს" ფეხბურთელებმა ვერ მიაღწიეს, რაშიც დამნაშავე წამყვანი ფეხბურთელების ტრავმებიც იყო. დედაქალაქელებს ამ მხრივ ძალიან არ გაუმართლათ, რადგან პირველივე ტაიმში ჯერ **დიეგო კოშტა** დაშავდა, შემდეგ კი **არდა თურანი**. გუნდის ორივე ლიდერი შესაცვლელი გახდა და ამ შეხვედრას რომ თავი გავანებოთ, მათი ჩემპიონთა ლიგის ფინალში თამაშიც ძალიან საეჭვო გახდა.

ანგარიში მასპინძლებმა 34-ე წუთზე გახსნეს. **დანი ალვეშის** პასი საჯარიმოში **მესიმ** მკერდით მიიღო და ბურთი **ალექსის სანჩესს** დაუგდო, რომელმაც ბევრი აღარ იფიქრა და საკმაოდ მახვილი კუთხიდან უძლიერესი დარტყმით გაიტანა. გოლი ძალიან ლამაზი გამოვიდა და ის რაღაცით **დიეგო რიბასის** იმ გოლს ჰგავდა, რომელიც ბრაზილიელმა ამ გუნდების შეხვედრაში ამავე სტადიონზე და ამავე კარში, ჩემპიონთა ლიგის 1/4 ფინალში გაიტანა.

მეორე ტაიმი ისევე დაიწყო, როგორც პირველი - „ატლეტიკოს" შეტევებით. სტუმრებმა ზედიზედ რამდენიმე კუთხური მოაწოდეს, რომელთაგანაც ერთ-ერთს შედეგი მოჰყვა - **გაბის** ჩაწოდებულს **დიეგო გოდინი** გამოეხმაურა და ურუგვაელმა სეზონში თავისი მე-4 და უმნიშვნელოვანესი გოლი გაიტანა.

ამის შემდეგ, ფაქტობრივად შეხვედრის ბოლომდე, ბურთს და სათამაშო უპირატესობას კვლავ „ბარსა" დაეუფლა, თუმცა **ხერარდო მარტინოს** შეგირდებს რეალური მომენტების შექმნა უჭირდათ. მიუხედავად ამისა, ერთ ეპიზოდში „ატლეტიკოს" დაცვა შეცდა, რასაც ლიონელ მესის გოლი მოჰყვა, მაგრამ თამაშგარე მდგომარეობის გამო არბიტრებმა გოლი არ ჩათვალეს. სწორედ ეს იყო თამაშის ყველაზე სკანდალური ეპიზოდი, რადგან მსაჯები აშკარად შეცდნენ. საქმე იმაშია, რომ მესის ბურთი არა თანაგუნდელისგან, არამედ **ხუანფრანისგან** მიუვიდა, შესაბამისად, თამაშგარე მდგომარეობა არ უნდა დაფიქსირებულიყო.

ვინ იცის, **მატეო ლაოსის** ბრიგადის ეს შეცდომა რომ არა, შესაძლოა ჩემპიონი „ბარსელონა" გამხდარიყო, მაგრამ ფაქტია, რომ „ატლეტიკომ" ტიტული უფრო დაიმსახურა. მადრიდელებმა შედარებით შეზღუდული რესურსით, მათზე გაცილებით კარგად დაკომპლექტებულ და ფინანსურად ძლიერ გრანდებს აჯობეს და საკუთარი გულშემატკივრები უზომოდ გაახარეს.

საფინალო სასტვენის შემდეგ, „ატლეტიკოს" ფეხბურთელებს გამარჯვება „ბარსელონას" გულშემატკივრებმაც აპლოდისმენტებით მიულოცეს, რაც ძალიან კარგი სანახავი იყო. აღსანიშნავია, რომ მადრიდელებს საჩემპიონო თასი არ მიუღიათ, რადგან ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ანხელ მარია ვილიარმა** გადაწყვიტა, რომ თამაშის წინ შვებულებაში (!) გასულიყო. აი, ასეთი ქვეყანაა ესპანეთი...

საბოლოოდ, „ატლეტიკო" პირველ ადგილზე გავიდა, „ბარსელონამ" ჩემპიონატი მეორე პოზიციაზე დაასრულა, „რეალი" კი ფინიშის ხაზთან მესამე მივიდა.

### ცვლილებები ვალენსიაში

სეზონი გამარჯვებით დაასრულა „ვალენსიამ", რომელმაც „სელტას" **სოფიან ფეგულის** და **პაბლო პიატის** გოლებით 2:1 მოუგო, მაგრამ ამაზე მნიშვნელოვანი მოხდა ის, რომ გუნდი გაიყიდა. „ღამურების" აქციათა 70 პროცენტი სინგაპურელმა მილიარდერმა **პიტერ ლინმა** შეიძინა, რომელიც ამ ზაფხულში ტრანსფერებისთვის 60 მილიონი ევროს დახარჯვას აპირებს. გარდა ამისა, ლიმი კლუბის ქომაგებს ვალების ბოლომდე დაფარვას და ახალი არენის (ნოუ მესტალია) მშენებლობის დასრულებას ჰპირდება.

ამ ყველაფერზე უფრო დაწვრილებით მომდევნო ნომრებში ვისაუბრებთ.

### ბეტისი, ვალიადოლიდი, ოსასუნა

სწორედ ამ ტრიომ დატოვა პრიმერა-დივიზიონი. „ბეტისი" ბედი დიდი ხნის წინ იყო გადაწყვეტილი, დანარჩენი ორი გუნდის ვინაობა კი ბოლო ტურში უნდა გარკვეულიყო. ერთ-ერთი უიღბლო „ვალიადოლიდი"-„გრანადას" დაპირისპირებაში გამოვლინდებოდა და იყო შანსი, რომ ამ მატჩის მონაწილე ორივე კლუბი გავარდნილიყო. „ხეტაფეს" და „ალმერიას" გადასარჩენად ქულაც ჰყოფნიდათ, „ოსასუნას" კი აუცილებლად უნდა მოეგო და იმედი ჰქონოდა, რომ კონკურენტების მატჩები მისთვის სასურველი ანგარიშებით დასრულდებოდა.

„ალმერიამ" და „ხეტაფემ" დასახულ მიზანს მიაღწიეს. პირველმა ბილბაოს „ატლეტიკთან" 0:0 ითამაშა, მადრიდულმა კლუბმა კი დედაქალაქურ დერბიში **ჩიპრიან მარიკას** დუბლის წყალობით იმარჯვა.

„ოსასუნას" და „ბეტისის" შეხვედრაში ანგარიში მე-12 წუთზე გაიხსნა და თამაშიც ნახევარი საათით შეწყდა. **ორიოლ რიერას** გოლის შემდეგ, კარს უკან მყოფმა გულშემატკივრებმა საყვარელი გუნდის წარმატება ისე აღნიშნეს, რომ ტრიბუნის დამცავმა ბარიერმა ვერ გაუძლო და ჩამოინგრა. შედეგად, 30-მდე ადამიანი დაშავდა, აქედან 6 საავადმყოფოში გადაიყვანეს.

თამაშის განახლების შემდეგ მასპინძლებმა მეორე გოლიც გაიტანეს, სევილიელებმა კი მხოლოდ სხვაობის შემცირება შეძლეს და მატჩიც 2:1 დასრულდა. მიუხედავად გამარჯვებისა, ეს სამი ქულა „ოსასუნას" არ ეყო, რადგან პარალელურად, ვალიადოლიდში „გრანადამ" იმარჯვა და 41 ქულა მოაგროვა. შეხვედრის ერთადერთი გოლი **სტეფან მიტროვიჩმა** საკუთარ კარში გაიტანა და „ვალიადოლიდი" სეგუნდა დივიზიონში გაისტუმრა.

გვერდი მოამზადა
**ტატო ბაციკაძემ**

**პორტუგალია. თასის ფინალი.**

**ბენფიკა-რიო ავე 1:0**

გოლი: 1:0 გაიტანი (20)

**მალაგა-ლევანტე 1:0**

**გოლი:** 1:0 პორტილიო (60)

**მალაგა (4-2-3-1):** ვ. კაბალიერო - ელიზეუ, ი. კამაჩო, ველიგტონი, ანტუნეში - სერხი დარდერი, პ. პერესი (82. კასადო) - სამუ (70. პავლოვსკი), პორტილიო, ამრაბატი - რესკალდანი (77. ხუანმი)

**ლევანტე (4-3-2-1):** კ. ნავასი - ნაგორე, დ. ნავარო, ხუანფრანი, ვინტრა - პ. დიოპი, მ. სისოკო, სერჟიო პინტუ (65. სუმეტრა) - პედრო რიოსი (69. ელ ჟარი), ვიქტორი - ბარალი (46. ანხელი)

**გამოუყენებელი პენალტი:** კასადო (90. მალაგა)

**გაფრთხილება:** - პ. დიოპი, დ. ნავარო

**გაძევება:** პ. დიოპი (80. ლევანტე)

**კუთხური:** 10-0; **ჯარიმა:** 12-16; **თამაშგარე:** 5-2; **კარში დარტყმა:** 25-2 (11-0); **ბურთის ფლობა:** 60%-40%

**მაყურებელი:** 19 526

**რეალი-ესპანიოლი 3:1**

**გოლები:** 1:0 ბეილი (64), 2:0 მორატა (86), 2:1 პიცი (90), 3:1 მორატა (90+1)

**რეალი (4-3-3):** კასილიასი - დანიელ კარვახალი (46. არბელოა), ვარანი, სერხიო რამოსი, მარსელო - ხედირა (63. მოდრიჩი), ილიარამენდი, ისკო - ბეილი, ბენზემა (67. მორატა), დი მარია

**ესპანიოლი (4-2-3-1):** კასილია - ხავი ლოპესი, ე. მორენო, კოლოტო, ხუან ფუენტესი - ვიქტორ სანჩესი (66. ალექსი), დავიდ ლოპესი - სტუანი, აბრაჰამი (63. ჯ. კორდობა), სიმაო (69. პიცი) - სერხიო გარსია

**გაფრთხილება:** არავინ

**კუთხური:** 8-7; **ჯარიმა:** 9-8; **თამაშგარე:** 3-2; **კარში დარტყმა:** 17-13 (7-2); **ბურთის ფლობა:** 62%-38%

**მაყურებელი:** 51 653

**ბარსელონა-ატლეტიკო 1:1**

**გოლები:** 1:0 ა. სანჩესი (34), 1:1 გოდინი (49)

**ბარსელონა (4-3-3):** პინტო - დანი ალვეში, პიკე, მასკერანო, ალბა - ბუსკეტსი (57. ა. სონგი), ფაბრეგასი (77. ჩავი), ინიესტა - ა. სანჩესი, მესი, პედრო (62. ნეიმარი)

**ატლეტიკო (4-4-2):** კურტუა - ხუანფრანი, მირანდა, გოდინი, ფილიპე ლუიში - კოკე, გაბი, ტიაგო, არდა თურანი (23. რაულ გარსია) - ვილია, დიეგო კოშტა (16. ადრიანი - 72. ხ. სოსა)

**გაფრთხილება:** პიკე, მესი, ბუსკეტსი, ა. სონგი, მასკერანო - გოდინი, ტიაგო, ფილიპე ლუიში, რაულ გარსია

**კუთხური:** 4-8; **ჯარიმა:** 11-14; **თამაშგარე:** 1-0; **კარში დარტყმა:** 11-12 (4-3); **ბურთის ფლობა:** 64%-36%

**მაყურებელი:** 96 973

**ვალენსია-სელტა 2:1**

**გოლები:** 0:1 ინიგო ლოპესი (5), 1:1 ფეგული (41), 2:1 პ. პიატი (55)

**ვალენსია (4-2-3-1):** დიეგო ალვეში - ჟოაო პერეირა, სენდეროსი, მატიო, ხუან ბერნატი - დანი პარეხო, მიჩელი - ფეგული (90. ვინისიუს არაუჟო), ჟონასი (84. ბარაგანი), პ. პიატი - ე. ვარგასი (66. პაკო ალკასერი)

**სელტა (4-3-2-1):** სერხიო ალვარესი - ჯონი კასტრო, ინიგო ლოპესი (76. დავიდ კოსტასი), ფონტასი, აურტენეჩე - ალექს ლოპესი (57. კრონ-დელი), ბორხა ოუბინია, მადინდა - ფ. ორელიანა, ნოლიტო - სანტი მინა (60. ბერმეხო)

**გაფრთხილება:** ჟოაო პერეირა - აურტენეჩე, ალექს ლოპესი, ნოლიტო

**კუთხური:** 9-2; **ჯარიმა:** 11-13; **თამაშგარე:** 2-1; **კარში დარტყმა:** 14-9 (7-4); **ბურთის ფლობა:** 46%-54%

**მაყურებელი:** 25 860

**სოსიედადი-ვილიარეალი 1:2**

**გოლები:** 0:1 ჯოვანი დოს სანტოსი (26), 0:2 ი. უჩე (69), 1:2 ველა (90)

**სოსიედადი (4-2-3-1):** ბრავო - კ. მარტინესი (76. გ. კასტრო), ანსოტეგი, ი. მარტინესი, ხოსე ანხელი - ბერგარა, რუბენ პარდო (46. სურუტუსა) - ველა, კანალესი, გრიზმანი - აგირეჩე (46. გრანერო)

**ვილიარეალი (4-4-2):** ხუან კარლოსი - მარიო, მუსაჩიო, გაბრიელ პაულისტა, იოკიჩი - მოისესი, ტრიგეროსი, ბრუნო (51. პინა), ხ. აკინო (56. ხაუმე კოსტა) - ი. უჩე, ჯოვანი დოს სანტოსი (80. ხ. პერეირა)

**გაფრთხილება:** ბერგარა, გრანერო - იოკიჩი, მუსაჩიო, ხაუმე კოსტა

**კუთხური:** 6-2; **ჯარიმა:** 13-18; **თამაშგარე:** 1-1; **კარში დარტყმა:** 13-15 (3-5); **ბურთის ფლობა:** 55%-45%

**მაყურებელი:** 21 140

**ვალეკანო-ხეტაფე 1:2**

**გოლები:** 0:1 მარიკა (43), 1:1 ტრაშორასი (67), 1:2 მარიკა (90-პენ)

**ვალეკანო (4-2-3-1):** რუბენი - ტიტო (46. სება ფერნანდესი), ზე კასტრო, გალეანო, რაცი - რაულ ბაენა (46. რუბენ როჩინა), ტრაშორასი - ა. პერეა (66. ა. ბანგურა), ბუენო, იაგო ფალკე - ლარივეი

**ხეტაფე (4-2-3-1):** ჟულიო სეზარი - ვალერა, ლისანდრო ლოპესი, ალექსისი, რაფა - ლასენი, ხუან როდრიგესი (21. ბორხა) - პედრო ლეონი (84. სამირი), პ. სარაბია, ლაფიტა (66. მოსკერა) - მარიკა

**გაფრთხილება:** გალეანო, ტრაშორასი, რუბენი - ლასენი, ლისანდრო ლოპესი, რაფა, ალექსისი, ვალერა, მოსკერა, პედრო ლეონი

**კუთხური:** 4-6; **ჯარიმა:** 11-25; **თამაშგარე:** 3-2; **კარში დარტყმა:** 16-15 (4-4); **ბურთის ფლობა:** 70%-30%

**მაყურებელი:** 12 000

**ალმერია-ბილბაო 0:0**

**ალმერია (4-3-2-1):** ესტებანი - რაფიტა, ტრუხილიო, ტორსილიერი, დუბარბიერი - ვერსა, ფრან ველესი (5. აზიზი), კორონა (79. სორიანო) - ალექს ვიდალი, ოსკარ დიასი (72. როდრი) - ზონგო

**ბილბაო (4-3-2-1):** იაგო - დე მარკოსი (68. ირაოლა), ლაპორტი (68. სან ხოსე), ეჩეიტა, ბალენსიაგა - ერიკ მორანი, ბენიატი, მიკელ რიკო (59. ანდერ ერერა) - სუსაეტა, მუნიაინი - გილიერმო

**გაფრთხილება:** აზიზი - ერიკ მორანი, ბენიატი, ბალენსიაგა, ლაპორტი, ანდერ ერერა

**კუთხური:** 7-4; **ჯარიმა:** 13-12; **თამაშგარე:** 3-4; **კარში დარტყმა:** 10-13 (1-1); **ბურთის ფლობა:** 31%-69%

**მაყურებელი:** 13 453

**ვალიადოლიდი-გრანადა 0:1**

**გოლი:** 0:1 ს. მიტროვიჩი (44-საკ. კარში)

**ვალიადოლიდი (4-2-3-1):** ხაიმე - რუკავინა, ხესუს რუედა, ს. მიტროვიჩი, პენია - ა. რუბიო (86. ბარახა), ვიქტორ პერესი - დ. ლარსონი (53. ოსორიო), ოსკარი, ხეფრენი (53. მანუჩო) - ხავი გერა

**გრანადა (4-3-2-1):** რობერტო - ნიომი, ტიაგო ილორი, მაინსი, ანგულო - ფრან რიკო, იტურა, რესიო - პიტი (68. ფულკიე), ბრაჰიმი (86. კოეფი) - ელ-არაბი (80. იგალო)

**გაფრთხილება:** ოსკარი - პიტი, რობერტო

**კუთხური:** 7-5; **ჯარიმა:** 12-10; **თამაშგარე:** 1-1; **კარში დარტყმა:** 10-6 (4-3); **ბურთის ფლობა:** 59%-41%

**მაყურებელი:** 25 311

**ოსასუნა-ბეტისი 2:1**

**გოლები:** 1:0 ორიოლ რიერა (12), 2:0 ხ. აკუნია (22), 2:1 ჩიკა (71)

**ოსასუნა (4-4-2):** ანდრეს ფერნანდესი - მარკ ბერტრანი, არიბასი, ფლანიო, ჟოან ორიოლი (72. დამია) - სეხუდო (59. დე ლას კუევასი), პუნიალი, ლოე, რობერტო ტორესი (70. ნინო) - ხ. აკუნია, ორიოლ რიერა

**ბეტისი (5-4-1):** ადანი - ხუანფრანი, პაულაო, ხ. ფიგერასი, პერკისი (12. ლ. რეიესი), ჩიკა - მაბვატი (66. ნოსა იგიებორი), მატილია (56. კაკაბელოსი), ა. ნდიაიე, სალვა სევილია - რუბენ კასტრო

**გაფრთხილება:** პუნიალი - .

**კუთხური:** 5-7; **ჯარიმა:** 7-10; **თამაშგარე:** 3-1; **კარში დარტყმა:** 14-16 (3-8); **ბურთის ფლობა:** 47%-53%

**მაყურებელი:** 19 398

**სევილია-ელჩე 3:1**

**გოლები:** 1:0 იბორა (16), 2:0 ხაირო სამპერიო (61), 3:0 იბორა (72), 3:1 ბოაკი (90)

**სევილია (4-2-3-1):** ხავი ვარასი - დ. ფიგეირაში, კოკე, ფასიო (82. ისრაელ პუერტო), ა. მორენო (87. მოისესი) - კოტანი, იბორა - ხ. რეიესი (73. რაკიტიჩი), ტროხოვსკი, ხაირო სამპერიო - კარლოს ფერნანდესი

**ელჩე (4-2-3-1):** მანუ ერერა - დ. სუარესი, ლომბანი, ს. პელეგრინი, ედუ ალბაკარი - რივერა, მანტეკონი - ხავი ფლორესი (74. ბოაკი), ხავი მარკესი (65. გარი როდრიგესი), ფიდელი (82. სამუ მარტინესი) - კრისტიან ერერა

**გაფრთხილება:** კოტანი, იბორა - .

**კუთხური:** 6-5; **ჯარიმა:** 10-11; **თამაშგარე:** 2-1; **კარში დარტყმა:** 15-14 (5-4); **ბურთის ფლობა:** 49%-51%

**მაყურებელი:** 34 268

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ატლეტიკო | 38 | 28 | 6 | 4 | 77-26 | 90 |
| 2. ბარსელონა | 38 | 27 | 6 | 5 | 100-33 | 87 |
| 3. რეალი | 38 | 27 | 6 | 5 | 104-38 | 87 |
| 4. ბილბაო | 38 | 20 | 10 | 8 | 66-39 | 70 |
| 5. სევილია | 38 | 18 | 9 | 11 | 69-52 | 63 |
| 6. ვილიარეალი | 38 | 17 | 8 | 13 | 60-44 | 59 |
| 7. სოსიედადი | 38 | 16 | 11 | 11 | 62-55 | 59 |
| 8. ვალენსია | 38 | 13 | 10 | 15 | 51-53 | 49 |
| 9. სელტა | 38 | 14 | 7 | 17 | 49-54 | 49 |
| 10. ლევანტე | 38 | 12 | 12 | 14 | 35-43 | 48 |
| 11. მალაგა | 38 | 12 | 9 | 17 | 39-46 | 45 |
| 12. ვალეკანო | 38 | 13 | 4 | 21 | 46-80 | 43 |
| 13. ხეტაფე | 38 | 11 | 9 | 18 | 35-54 | 42 |
| 14. ესპანიოლი | 38 | 11 | 9 | 18 | 41-51 | 42 |
| 15. გრანადა | 38 | 12 | 5 | 21 | 32-56 | 41 |
| 16. ელჩე | 38 | 9 | 13 | 16 | 30-50 | 40 |
| 17. ალმერია | 38 | 11 | 7 | 20 | 43-71 | 40 |
| 18. ოსასუნა | 38 | 10 | 9 | 19 | 32-62 | 39 |
| 19. ვალიადოლიდი | 38 | 7 | 15 | 16 | 38-60 | 36 |
| 20. ბეტისი | 38 | 6 | 7 | 25 | 36-78 | 25 |

**ბომბარდირები:** 31 - კრიშტიანო რონალდო (რეალი); 28 - ლიონელ მესი (ბარსელონა); 27 - დიეგო კოშტა (ატლეტიკო); 19 - ალექსის სანჩესი (ბარსელონა); 17 - ქარიმ ბენზემა (რეალი); 16 - არიც ადურისი (ბილბაო), ანტუან გრიზმანი (სოსიედადი), კარლოს ველა (სოსიედადი)

**სეგუნდა დივიზიონი**

**XXXIX ტური**

**მალიორკა-ხაენი 0:0**

**სარაგოსა-საბადელი 2:2**

**გოლები:** 1:0 როხერ მარტი (22), 2:0 როხერ მარტი (25), 2:1 სურდო (64), 2:2 ტანაბე (75)

**მირანდესი-სპორტინგი 1:1**

**გოლები:** 0:1 კარლოს კარმონა (15), 1:1 ივან მალონი (90)

**ერკულესი-ალკორკონი 1:2**

**გოლები:** 1:0 ხ. პორტილიო (65), 1:1 პაუ სენდროსი (68), 1:2 ვერდესი (71)

**ტენერიფე-კორდობა 0:1**

**გოლი:** 0:1 ლოპეს სილვა (17)

**ბარსელონა B-მურსია 4:0**

**გოლები:** 1:0 ელ ჰადადი (12), 2:0 დონგუ (16), 3:0 ედუ ბედია (26-პენ), 4:0 ა. ტრაორე (64)

**დეპორტივო-ეიბარი 1:1**

**გოლები:** 1:0 იფრანი (17), 1:1 ხოტა პელეტეირო (62)

**ლუგო-ალავესი 0:1**

**გოლი:** 0:1 გუსმანი (6)

**უელვა-ჟირონა 1:0**

**გოლი:** 1:0 ა. ნონგი (1)

**რეალი B-ლას პალმასი 3:2**

**გოლები:** 0:1 ხორხე პულიდო (2-საკ. კარში), 1:1 ვილიან ჟოზე (12), 2:1 ხოსე როდრიგესი (27), 3:1 ლუკას ვასკესი (39), 3:2 ბენხა (69)

**პონფერადინა-ნუმანსია 0:1**

**გოლი:** 0:1 სერხი ენრიჩი (68)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დეპორტივო | 39 | 18 | 12 | 9 | 45-31 | 66 |
| 2. ეიბარი | 39 | 17 | 13 | 9 | 46-27 | 64 |
| 3. ბარსელონა B | 39 | 18 | 6 | 15 | 54-42 | 60 |
| 4. ლას პალმასი | 39 | 17 | 9 | 13 | 46-43 | 60 |
| 5. მურსია | 39 | 14 | 16 | 9 | 52-43 | 58 |
| 6. სპორტინგი | 39 | 14 | 15 | 10 | 58-50 | 57 |
| 7. კორდობა | 39 | 15 | 11 | 13 | 43-42 | 56 |
| 8. უელვა | 39 | 15 | 11 | 13 | 49-50 | 56 |
| 9. საბადელი | 39 | 16 | 7 | 16 | 50-57 | 55 |
| 10. ტენერიფე | 39 | 15 | 9 | 15 | 46-44 | 54 |
| 11. ალკორკონი | 39 | 14 | 11 | 14 | 40-36 | 53 |
| 12. სარაგოსა | 39 | 13 | 12 | 14 | 47-50 | 51 |
| 13. მირანდესი | 39 | 13 | 11 | 15 | 39-52 | 50 |
| 14. ლუგო | 39 | 13 | 11 | 15 | 39-46 | 50 |
| 15. ნუმანსია | 39 | 10 | 20 | 9 | 38-36 | 50 |
| 16. პონფერადინა | 39 | 12 | 12 | 15 | 42-44 | 48 |
| 17. ხაენი | 39 | 12 | 12 | 15 | 41-44 | 48 |
| 18. რეალი B | 39 | 12 | 10 | 17 | 47-52 | 46 |
| 19. მალიორკა | 39 | 11 | 13 | 15 | 43-56 | 46 |
| 20. ალავესი | 39 | 11 | 12 | 16 | 51-53 | 45 |
| 21. ჟირონა | 39 | 10 | 14 | 15 | 46-47 | 44 |
| 22. ერკულესი | 39 | 10 | 11 | 18 | 42-59 | 41 |

**ბომბარდირები:** 24 - ვიგერა (ალავესი); 22 - შჩეპოვიჩი (სპორტინგი); 21 - კიკე (მურსია); 18 - სურდო (საბადელი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამბები



ნავა ლოთარ მათეუსი საბერძნეთში?

## ბერძნებს ლოთარი უნდათ!

ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, საბერძნეთის ფეხბურთის ფედერაცია ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის თანამდებობაზე ლეგენდარულ გერმანელს, **ლოთარ მათეუსს** ეპატიჟება. როგორც იცით, საბერძნეთის ნაკრებს ამჟამად **ფერნანდო სანტუში** წვრთნის და გუნდს მსოფლიოს ჩემპიონატზე სწორედ ეს უკანასკნელი წაიყვანს. მათეუსის დანიშვნა კი ბერძნებს მუნდიალის შემდეგ სურთ.

*„მე მგონია, რომ ჩვენ ისევ გერმანელი სპეციალისტი უნდა მოვიწვიოთ და ამ პოსტზე ლოთარ მათეუსს ვხედავ,"* - ეს საბერძნეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმის წევრის, **ვასილის ხაციაპოსტოლუს** სიტყვებია. აღსანიშნავია, რომ თავის დროზე სწორედ ეს უკანასკნელი იყო **ოტო რეჰაგელის** დანიშვნის ინიციატორი, რომელმაც საბერძნეთის ნაკრებს 2004 წელს ევროპის ჩემპიონატი მოაგებინა. მათეუსთან ერთად, საბერძნეთის ნაკრების თავკაცის თანამდებობაზე იტალიელი **მარკო ტარდელი** და ესპანელი **ხუანდე რამოსიც** განიხილებიან.



ვალენტინ შტოკერი

## ჰერტას ვალენტინი

შვეიცარიის ნაკრებისა და „ბაზელის" 25 წლის ვარსკვლავი **ვალენტინ შტოკერი** კარიერას ბერლინის „ჰერტაში" გააგრძელებს. როგორც გაირკვა, შვეიცარიელმა ნახევარმცველმა „შტუტგარტს" უარი შეუთვალა და გადაწყვეტილება „ჰერტას" სასარგებლოდ მიიღო - ბერლინელები „ბაზელს" 5 მილიონ ევროს გადაუხდიან და შტოკერს კონტრაქტს 2018 წლამდე გაუფორმებენ.

**გოტფრიდ ლენცი**

თალიზი
თმის გადანერგვის ცენტრი
talizi



15 წელი
თქვენთან ერთად
www.talizi.ge



uropro.ge
უხერხული პრობლემების მარტივი გადაწყვეტა!
ბუასილის კვანძების მოცილება უსისხლოდ
ოპერაციის, ტკივილისა და ნარკოზის გარეშე.
უახლესი მეთოდების გამოყენებით
არ საჭიროებს სტაციონარში ყოფნას და რეაბილიტაციის ხანგრძლივ პერიოდს.
სექსუალური დარღვევებისა და პროსტატიტის მკურნალობის უნიკალური მეთოდები
თანამედროვე ლაზეროთერაპიული აპარატურის გამოყენებით.
ექიმი ვიტალი ბერიშვილი
ნეოკლინიკა | ბახტრიონის ქ. 10
570 444 509
+995 599 70 00 40
v.berishvili@uropro.ge
www.uropro.ge




მილიონ ლარიანი ბილეთი!

მოახლოებული საფეხბურთო მსოფლიო ჩემპიონატის აღსანიშნავად adjarabet.com ახორციელებს უპრეცედენტო აქციას - 'მილიონ ლარიანი ბილეთი'. აქცია თავაზობს არნახულ პრიზს – 1,000,000 (ერთი მილიონი) ლარს მას, ვინც 2014 წლის საფეხბურთო მსოფლიო ჩემპიონატის ყველა თამაშის შედეგს გამოიცნობს! იმ შემთხვევაში, თუ ყველა მატჩის შედეგის გამოცნობას ვერავინ შეძლებს, გარანტირებულ 100.000 (ასი ათასი) ლარს მოიგებს ის მოთამაშე, რომელიც ყველაზე მეტი მატჩის შედეგს გამოიცნობს.

აქციაში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა: გახსნათ ანგარიში adjarabet.com -ზე (ან გამოიყენოთ არსებული ანგარიში) შეავსოთ თქვენი"მილიონ ლარიანი ბილეთი" და დაელოდოთ მილიონის ან ასიათასი ლარის მოგებას! (გათამაშების სრული წესები შეგიძლიათ იხილოთ აჭარაბეთის საიტზე: www.adjarabet.com)

R

● გერმანიის თასი. ფინალი

# მიუნხენი ზეიმობს, დორტმუნდი ჩივის

## იურგენ კლოპი: მსაჯმა გოლი მოგვპარა!

ბერლინი. „ოლიმპიაშტადიონი“

**დორტმუნდი–ბაიერნი 0:0 (დ.დ. 0:2)**

**გოლები:** 0:1 რობენი (107), 0:2 თ. მიულერი (120+3)

**დორტმუნდი (4-3-3):** ვაიდენფელერი - პიშჩეკი, სოკრატისი, ჰუმელსი, შმელცერი - იოიჩი (83. ობამეიანგი), ნ. შაჰინი, გროსკროიტცი (110. ი. ჰოფმანი) - მხითარიანი (60. კირხი), როისი, ლევანდოვსკი.

**ბაიერნი (3-4-2-1):** ნოიერი - ჟ. ბოატენგი, ხავი მარტინესი, დანტე - ჰოიბერგი (102. ვან ბუიტენი), ლამი (31. რიბერი/109. პისარო), ტ. კროოსი, რაფინია - თ. მიულერი, გიოტცე - რობენი.

**გაფრთხილება:** კროოსი, ჰოიბერგი, ჟ. ბოატენგი, ვან ბუიტენი, რობენი

**მაყურებელი:** 76 197




**გერმანიის თასიც წითელია! „დოიჩე პოკალის“ რიგით 71-ე ფინალი მიუნხენის „ბაიერნმა“ მოიგო და თასს მეჩვიდმეტედ დაეუფლა. ამავდროულად, რეკორდმაისტერმა დუბლიც შეასრულა (ჩემპიონობა და თასი) - ეს გახლავთ მე-10 დუბლი „ბაიერნის“ ისტორიაში.**

ბერლინის „ოლიმპიაშტადიონზე“ ფინალის გმირი **არიენ რობენი** გახდა - ჰოლანდიელმა, რომელიც ბავარიელთა თავკაცმა **ხოსეპ გვარდიოლამ** ამჯერად, უჩვეულო პოზიციაზე, ცენტრფორვარდად ათამაშა (ყოველ შემთხვევაში, რობენი ძირითადად შუაში და ყველაზე წინ მოქმედებდა), დორტმუნდის „ბორუსია“ კიდევ ერთხელ განგმირა. გაგახსენებთ: შარშან, ჩემპიონთა ლიგის ფინალშიც სწორედ რობენმა დაამწუხრა დორტმუნდელები. ამჯერად კი, ჰოლანდიელმა 107-ე წუთზე გახსნა ანგარიში და გაიტანა გოლი, რომელმაც რეკორდმაისტერს გერმანიის თასი ჩააბარა.

*„ხომ ვამბობდი, ძალიან მაგარი თამაში გამოვა-მეთქი? ბოატენგისგან სწორედ ისეთ ჩაწოდებას ველოდი, როგორიც გააკეთა და მაშინვე მივხვდი, რომ ბურთი ჩემამდე მოაღწევდა. ასეთ დროს კონცენტრაცია უმთავრესია, თორემ ბურთს ტრიბუნაზე გაუშვებ. ბედნიერი ვარ, რომ მომენტი გამოვიყენე!“* - განაცხადა რობენმა მატჩის შემდეგ.

დუბლი ჰეთთრიკის შემდეგ - მიუნხენელებს ჩემპიონთა ლიგაში განცდილი კრახით გამოწვეული ტკივილი დაუამდათ. ბედნიერი იყო თავად გვარდიოლაც: *„რეალთან“ წაგების შემდეგ, ჩვენი მიზანი სწორედ დუბლის შესრულება იყო. „ბაიერნში“ პირველი სეზონი ჩემთვის რთული გამოვიდა. შარშანდელი ტრიუმფის შემდეგ ასეთი გუნდის ჩაბარება ადვილი მისია არავისთვის იქნებოდა. ჩემპიონობის განაღდებამდე ყველაფერი კარგად იყო, მერე ცოტა ავირიეთ, ახლა კი თასიც მოვიგეთ და ბედნიერი ვარ,“* - აღნიშნა პეპმა.

გერმანიის თასის ფინალი მწვრთნელების ტაქტიკური ომითაც გამოირჩა. გვარდიოლა გუნდს მთელი კვირის განმავლობაში დახურულ კარს მიღმა ავარჯიშებდა და შაბათს გავიგეთ, თუ რას უმალავდა პეპი თავის დორტმუნდელ ვიზავის, **იურგენ კლოპს:** „ბაიერნმა“ თამაში სამი მცველით (3-4-3) დაიწყო - ყველაზე უკან **ბოატენგი, მარტინესი** და დანტე იდგნენ. მაგრამ, როცა „დორტმუნდი“ უტევდა, ბავარიელები თავს 5 მცველით იცავდნენ. თუმცა ნახევარი საათის შემდეგ პეპი იძულებული გახდა, სქემა შეეცვალა, რადგან **ფილიპ ლამი** დაშავდა და მის ნაცვლად თამაშში **რიბერი** ჩართო. მთავარი სიახლე კი, როგორც ზემოთაც ვთქვით, პეპმა წინა ხაზზე შემოგვთავაზა: რობენი ცენტრფორვარდის პოზიციაზე თამაშობდა.



### კლოპი: მსაჯი უკვე შვებულებაში იყო!

იმ დროს, როცა ბავარიელები დუბლს ზეიმობდნენ, დორტმუნდელები და, განსაკუთრებით მათი თავკაცი კლოპი აბსოლუტურად ფრუსტრირებული გახლდათ. არა მარტო წაგების, არამედ, პირველ რიგში იმის გამო, რომ მსაჯმა **ფლორიან მაიერმა** „ბორუსიას“ გოლი არ ჩაუთვალა.

საბედისწერო ეპიზოდი 64-ე წუთზე დაფიქსირდა: **ნური შაჰინის** ჯარიმის შემდეგ **რობერტ ლევანდოვსკიმ** ბურთს მიმართულება შეუცვალა, **მატს ჰუმელსმა** კი დროულად დაჰკრა თავი და ბურთი კარიდან დანტემ გამოიტანა. გამეორებებზე ჩანს, რომ ბურთმა კარის ხაზი გადაკვეთა! ასისტენტმა **ვილენბორგმა** უჩვენა, რომ ბურთი კარში იყო, მაგრამ მაიერმა გუნდებს თამაში გააგრძელებინა!

*„რატომ არ იდგნენ დამატებითი მსაჯები კარების უკან? ეს ხომ გერმანიის თასის ფინალია - „დორტმუნდი“ „ბაიერნის“ წინააღმდეგ. რატომ გაუშვეს შვებულებაში ეგ მსაჯები? ახლა, მხოლოდ პრესკონფერენციაზე შევიტყვე, რომ თურმე ლაინსმენს გოლი ჩაუთვლია და მთავარმა მსაჯმა მაინც არ ჩათვალა. ეს ხუმრობაა? მაიერმა ჩათვალა, რომ ლაინსმენზე უკეთ დაინახა ყველაფერი? თუმცა ბურთმა კარის ხაზი რომ გადაკვეთა, ეს მთავარ მსაჯსაც ნებისმიერ შემთხვევაში უნდა დაენახა. მას მერე, რაც „დორტმუნდში“ ვმუშაობ, ფეარ პლეის რეიტინგში ყოველთვის პირველ, მეორე, მესამე ან მეოთხე ადგილზე ვართ ხოლმე და ისე გვექცევიან, თითქოს უკანასკნელები ვიყოთ და ამას ვიმსახურებდეთ,“* - წუხდა კლოპი.

აქვე ვთქვათ, რომ ფილიპ ლამის ტრავმა სერიოზული არ ჩანს. „ბაიერნისა“ და გერმანიის ნაკრების კაპიტანს ექიმები სრულ დიაგნოზს დღეს-ხვალ დაუსვამენ, კვირას კი თავად ლამმაც თქვა, ისე ჩანს, ყველაფერი კარგადააო. ასე რომ, გერმანიის ნაკრების გულშემატკივრებს სანერვიულო არაფერი აქვთ.

**გოტფრიდ ლენცი**



არიენ რობენი

მსოფლიო ბრენდები!
ყველაზე დიდი ოპტიკური ქსელი!

Ray-Ban GENUINE SINCE 1937
PRADA
miu miu
GIORGIO ARMANI
DOLCE & GABBANA
BVLGARI
CHANEL
Chopard
George Piralli




კომპლექსური ოპტიკური მომსახურეობა!

- მხედველობის დიაგნოსტიკა თანამედროვე სტანდარტების აპარატურით
- სათვალის შერჩევა პროფესიონალი კონსულტანტების დახმარებით
- ოპტიკური სათვალის დამზადება ადგილზე, მაღალტექნოლოგიური დანადგარებით
- კონტაქტური ლინზების ყველაზე დიდი არჩევანი: Cooper Vision, Johnson&Johnson, Alcon
- სპეციალური ბავშვთა ოპტიკური და მზის სათვალეების განყოფილება
- საუკეთესო ოპტიკური ლინზები

რონიკო R Roniko

შენი სასურველი სათვალე უპროცენტო განვადებით - დღეში მხოლოდ 2 ლარად!

## ინგლისი

### II ლიგა. პლეი ოფი

1/2 ფინალი. II მატჩები

ფლიტვუდი-იორკი 0:0 (1:0)
საუთენდი-ბარტონი 2:2 (0:1)

### კონფერენსი

პლეი ოფი. ფინალი

კემბრიჯი-გეიტსჰედი 2:1

## ინგლისის თასი

### ფინალი

არსენალი-ჰალი 3:2 დ.დ.

## გერმანია

### ბუნდესლიგა

პლეი ოფი. II მატჩი

ფიურთი-ჰამბურგი 1:1 (0:0)

### რეგიონალლიგა (ბაიერნი)

XXXVII ტური

აუგსბურგი II-ბაიერნი II 2:0
ნიურნბერგი II-ინგოლშტადტი II 1:1
მიუნხენი II-ვიქტორია (ა) 5:0
როზენჰაიმი-შვაინფურტი 2:1
მემინგენი-რაინი 0:3
ილერტისენი-ზელიგენპორტენი 2:1
ჰაიმშტეტენი-ბაიერნ ჰოფი 3:2
შალდინგი-ბუხბახი 5:2
ვიურცბურგერი-აინტრახტი (ბ) 2:2

### რეგიონალლიგა (ჩრ)

XXXIII ტური

გოსლარერი-ვერდერი II 1:3
ჰანოვერი II-ვოლფსბურგი II 0:1
სტ. პაული II-ჰაველსე 2:4
აინტრახტი (ნ)-ვიქტორია 3:0
ჰამბურგი II-კლოპენბურგი 0:2
აიხედი-ბრაუნშვაიგი II 1:0
ოლდენბურგი-მეპენი 0:1
რედენი-ფლენსბურგი 1:1
ნოიმუნსტერი-ვილჰელმსჰაფენი 0:2

### რეგიონალლიგა (ჩ-ა)

XXIX ტური

ბაბელსბერგი-ჰერტა II 1:0
ბერლინერი-პლაუენი 1:1
კარლ ცაისი-მოისელვიცი 2:1
ცვიკაუ-ჰაკერი 4:0
გერმანია-ნოიშტრელიცი 2:3
ლოკომოტივი-მაგდებურგი 2:1
უნიონი II-რატენოვი 0:2
აუერბახი-ვიქტორია 3:0

### რეგიონალლიგა (დას)

XXXVII ტური

ალემანია-ვატენშაიდი 3:0
ბოხუმი II-ესენი 0:1
გლადბახი II-ლოტე 2:2
ფორტუნა II-შალკე II 0:0
ლევერკუზენი II-ფორტუნა (კ) 3:1
ობერჰაუზენი-ფელბერტი 3:1
ვიდენბრიუკი-ფერლი 3:1
ზიგენი-კიოლნი II 3:1
ვიქტორია-ლიპშტადტი 2:1

### რეგიონალლიგა (ს-დ)

XXXIII ტური

აინტრახტი II-პფულენდორფი 2:2
ფრაიბურგი II-ნოიკარელცი 3:0
კასელი-ცვაიბრიუკენი 2:1
ჰომბურგი-ტრირი 2:0
ოფენბახი-კაიზერი II 4:3
მაინცი II-კობლენცი 2:0
მანჰაიმი-ბაუნატალი 3:0
ზონენჰოფი-ვორმატია 6:5
ულმი-ჰოფენჰაიმი II 1:4

## გერმანიის თასი

### ფინალი

ბაიერნი-დორტმუნდი 2:0 დ.დ.

## საფრანგეთი

### II დივიზიონი

XXXVIII ტური

ანჟერი-ისტრი 1:0
ოსერი-ნანსი 0:0
ბრესტი-შატორუ 3:0
კა ბასტია-ლანსი 0:2
კრეტეი-ნიმი 1:1
დიჟონი-კაენი 2:2
ლავალი-მეცი 0:0
ჰავრი-არლი 2:1
ტური-კლერმონი 3:0
ტრუა-ნიორი 4:1

### ნასიონალი

XXXIII ტური

პონ დე ბარი-გფკო აიაჩო 0:3
ორლეანი-ბულონი 3:1
ბურჟი-ლუკონი 0:2
კარკეფუ-ამიენი 1:2
კოლმარი-ლუზენაკი 3:1
დუნკერკი-ვანი 4:1
ლე პუარი-პარიზი 1:0
რედ სტარი-ფრეჟუსი 0:0
კოლომიერი-სტრასბური 2:1

## ლატვია

XI ტური

დაუგავა-იურმალა 1:0
დაუგავა რიგა-ვენტსპილსი 0:4
ბფკ დაუგავა-მეტა 1:1
სპარტაკსი-იელგავა გადაიდო

## ჰოლანდია

### ევროპის ლიგა. პლეი ოფი

ფინალი. II მატჩი

გრონინგენი-ალკმაარი 3:0 (0:0)

### გასავარდნი ზონა

პლეი ოფი. II მატჩები

ვაალვეიკი-ექსელსიორი 2:2 (0:2)
დორდრეხტი-სპარტა 3:1 (2:2)

## ბელგია

### პლეი ოფი I

X ტური

ანდერლეხტი-ლოკერენი 3:1
ბრიუგე-ვარეგემი 2:0
სტანდარდი-გენკი 1:0

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ანდერლეხტი | 10 | 7 | 1 | 2 | 17:6 | 51 |
| 2. სტანდარდი | 10 | 4 | 3 | 3 | 14:11 | 49 |
| 3. ბრიუგე | 10 | 5 | 1 | 4 | 16:11 | 48 |
| 4. ვარეგემი | 10 | 4 | 2 | 4 | 16:15 | 41 |
| 5. ლოკერენი | 10 | 2 | 2 | 6 | 14:25 | 34 |
| 6. გენკი | 10 | 2 | 3 | 5 | 10:19 | 32 |

### პლეი ოფი II

ფინალი

ოსტენდე-კორტრიიკი 2:2 პენ. 7:6

### გასავარდნი ზონა

პლეი ოფი

ეუპენი-სტ. ტრუიდენი 2:2
მუსკრონი-ჰევერლე 1:0

## პორტუგალიის თასი

### ფინალი

ბენფიკა-რიო ავე 1:0

## შოტლანდია

პლეი ოფი. II მატჩი

ჰემილტონი-ფალკირკი 1:0 (1:1)

### ჩემპიონშიპი

პლეი ოფი. II მატჩი

დანფერმლაინი-კოუდენბითი 0:3 (1:1)

### I ლიგა

პლეი ოფი. II მატჩი

ისტ ფაიფი-სტირლინგი 0:2 (2:1)

## შოტლანდიის თასი

### ფინალი

სტ. ჯონსტონი-დანდი იუნ 2:0

## ავსტრიის თასი

### ფინალი

ზალცბურგი-სტ. პოლტენი 4:2

## კვიპროსი

### საჩემპიონო ზონა

X ტური

ერმისი-ომონია 2:1
აელ-აპოელ გადაიდო
ანორთოსისი-აპოლონი 2:2

### გასავარდნი ზონა

X ტური

აეკ-დოქსა 6:1
არისი-ნეა სალამისი 1:2
ეთნიკოსი-აე კუკლიონი 5:0

## დანია

XXXIII ტური

ოლბორგი-აგფ ორჰუსი 1:0
ესბერგი-ვიბორგი 0:0
კოპენჰაგენი-ოდენსე 3:2
ნორდშიელანდი-ბრონდბიუ 2:2
რანდერსი-ვესტშიელანდი 1:1
სონდერიისკი-მიდტიულანდი 3:1

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ოლბორგი | 33 | 18 | 8 | 7 | 60:38 | 62 |
| 2. კოპენჰაგენი | 33 | 15 | 11 | 7 | 54:38 | 56 |
| 3. მიდტიულანდ | 33 | 16 | 7 | 10 | 61:38 | 55 |
| 4. ბრონდბიუ | 33 | 13 | 13 | 7 | 47:38 | 52 |
| 5. ესბერგი | 33 | 13 | 9 | 11 | 47:38 | 48 |
| 6. ნორდსიელანდ | 33 | 13 | 7 | 13 | 38:44 | 46 |
| 7. რანდერსი | 33 | 9 | 14 | 10 | 41:45 | 41 |
| 8. ოდენსე | 33 | 10 | 10 | 13 | 47:46 | 40 |
| 9. ვესტსიელანდ | 33 | 8 | 14 | 11 | 31:42 | 38 |
| 10. სონდერიისკი | 33 | 10 | 8 | 15 | 41:53 | 38 |
| 11. აგფ ორჰუსი | 33 | 9 | 5 | 19 | 38:60 | 32 |
| 12. ვიბორგი | 33 | 6 | 10 | 17 | 38:63 | 28 |

### II დივიზიონი

XXVIII ტური

ფრედერისია-ჰობრო 0:3; მარიენლის-ტი-კიოგე 2:0; ვეილე-ჰორსენსი 1:1; ჰვიდოვრე-სილკებორგი 3:3; ბრონსჰოი-ვენდსისელი 1:0; ლუნგბიუ-აკადემისკი 2:0.

## არგენტინა

XIX ტური

ოლ ბოისი-ბელგრანო 0:0
როსარიო-არგ. ხუნიორსი 3:2
არსენალი-ატ. რაფაელა 1:2
კოლონი-ოლიმპო 2:1
გოდოი-რასინგი 2:1
ხიმნასია-ბოკა 0:1
რივერი-კილმესი 5:0
ტიგრე-ესტუდიანტესი 2:1
ლანუსი-ნიუელსი გვ. დასრულდა
სან ლორენსო-ველესი დღეს

## ფინეთი

IX ტური

ჰიკ-მიუპა 4:0
ინტერი-ვაასა 0:0
ლაჰტი-როვანიემი 1:0
იარო-ტურკუ 2:0
კუოპიო-ჰონკა 2:0
სეინაიოკი-მარიეჰამნი 3:0

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჰიკ | 9 | 6 | 1 | 2 | 15:7 | 19 |
| 2. მიუპა | 9 | 5 | 2 | 2 | 17:15 | 17 |
| 3. იარო | 9 | 5 | 1 | 3 | 15:10 | 16 |
| 4. ლაჰტი | 8 | 3 | 3 | 2 | 9:6 | 12 |
| 5. ვაასა | 8 | 3 | 3 | 2 | 8:5 | 12 |
| 6. ჰონკა | 9 | 3 | 3 | 3 | 12:12 | 12 |
| 7. ინტერი | 8 | 2 | 4 | 2 | 8:8 | 10 |
| 8. მარიეჰამნი | 8 | 3 | 1 | 4 | 8:13 | 10 |
| 9. სეინაიოკი | 7 | 2 | 3 | 2 | 8:6 | 9 |
| 10. კუოპიო | 8 | 2 | 2 | 4 | 7:13 | 8 |
| 11. როვანიემი | 9 | 2 | 1 | 6 | 4:9 | 7 |
| 12. ტურკუ | 8 | 2 | 0 | 6 | 4:11 | 6 |

### II დივიზიონი

IV ტური

ჰიფკ-პკ 35 1:1; ჰაკა-ვიიკინგიტი 5:0; ილვესი-იიპო 2:0; იუვიასკიულა-ჯაზი 1:0; ოულუ-კტპ 4:4.

## საბერძნეთი

### პლეი ოფი

ატრომიტოსი-ასტერასი 3:1
პაოკ-პანათინაიკოსი 1:0

## ისლანდია

IV ტური

ჰაფნარი-ვესტმანაეიარი 1:0
ტორი-სტიარნანი 3:4
ბრეიდაბლიკი-ფიოლნირი 2:2
კეფლავიკი-რეიკიავიკი 0:1
ვიკინგური-ფილკირი დღეს

## ირლანდია

XIII ტური

კორკი-დერი 2:0
დროგედა-ბოჰემიანი 1:0
ლიმერიკი-დანდალკი 1:2
უნივერსიტი-სტ. პატსი 1:2
შემროკი-ეთლონი 1:0
სლიგო-ბრეი 3:0

### II დივიზიონი

XI ტური

გალვეი-ფინ ჰარპსი 1:1; შელბურნი-შემროკი B 0:0; უექსფორდი-უოტერფორდი 1:3; ლონგფორდი-კობ რამბლერსი 2:0.

## ნორვეგია

IX ტური

ოლესუნდი-სოგნდალი 2:2
ბრანი-ბოდო გლიმტი 1:2
ჰაუგესუნდი-ოდ გრენლანდი 1:2
ლილესტრიომი-მოლდე 1:2
როზენბორგი-სტაბეკი 1:3
სტარტი-ვოლერენგა 2:2
სტრიომსგოდსეტი-სარპსბორგი 4:1
ვიკინგი-სანდნესი 2:2

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მოლდე | 9 | 7 | 1 | 1 | 21:7 | 22 |
| 2. სტრიომსგოდ | 9 | 6 | 2 | 1 | 19:10 | 20 |
| 3. ვიკინგი | 9 | 4 | 5 | 0 | 13:7 | 17 |
| 4. ვოლერენგა | 9 | 4 | 3 | 2 | 16:10 | 15 |
| 5. როზენბორგი | 9 | 4 | 3 | 2 | 17:13 | 15 |
| 6. სტაბეკი | 9 | 5 | 0 | 4 | 15:14 | 15 |
| 7. ლილესტრიომ | 9 | 4 | 2 | 3 | 12:8 | 14 |
| 8. ოდ გრენლან | 9 | 4 | 2 | 3 | 11:11 | 14 |
| 9. ბოდო გლიმტი | 9 | 3 | 2 | 4 | 14:16 | 11 |
| 10. სარპსბორგი | 9 | 3 | 2 | 4 | 14:17 | 11 |
| 11. სტარტი | 9 | 2 | 3 | 4 | 12:16 | 9 |
| 12. სოგნდალი | 9 | 2 | 2 | 5 | 12:18 | 8 |
| 13. ბრანი | 9 | 2 | 2 | 5 | 10:17 | 8 |
| 14. ოლესუნდი | 9 | 1 | 4 | 4 | 8:12 | 7 |
| 15. სანდნესი | 9 | 1 | 3 | 5 | 9:19 | 6 |
| 16. ჰაუგესუნდი | 9 | 1 | 2 | 6 | 9:17 | 5 |

### II დივიზიონი

VIII ტური

ალტა-სტრომენი 0:2; სანდეფიორდი-ტრომსდალენი 2:1; ფრედრიკსტადი-ნესტ სოტრა 0:0; ჰამ კამი-მიონდალენი 1:2; ჰიოდი-ჰიონეფოსი 0:0; კრისტიანსუნდი-რანჰეიმი 0:3; ტრომსიო-ბაერუმი 5:2; ულ კისა-ბრინი 1:0.

## შვედეთი

### II დივიზიონი

VIII ტური

ლანდსკრონა-გაისი 2:1
იუსლავარნა-ასირისკა 0:0
ვარნამო-სუნდსვალი 1:0
სირიუსი-იონჩოპინგი 0:1
დეგერფორსი-ოსტერსუნდი 2:2
სირიანსკა-ჰამარბიუ 2:4
ლიუნგსკილე-ანგელჰოლმი დღეს
ვარბერგსი-ოსტერსი დღეს

## შვედეთის თასი

### ფინალი

ჰელსინგბორგი-ელფსბორგი 0:1

## მოლდოვა

XXXIII ტური

დაჩია-შერიფი 2:3
მილსამი-ოლიმპია 1:0
ვერისი-დინამო 3:1
სპერანცა-აკადემია 1:5
ტირასპოლი-ზიმბრუ 2:1

## შვეიცარია

XXXVI ტური

ბაზელი-ლოზანა 4:2
ციურიხი-არაუ 2:2
ლუცერნი-თუნი 3:0
სიონი-გრასჰოპერსი 3:1
იანგ ბოიზი-სტ. გალენი 2:0

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაზელი | 36 | 19 | 15 | 2 | 70:34 | 72 |
| 2. გრასჰოპერსი | 36 | 19 | 8 | 9 | 67:43 | 65 |
| 3. იანგ ბოიზი | 36 | 17 | 8 | 11 | 59:50 | 59 |
| 4. ლუცერნი | 36 | 15 | 6 | 15 | 48:54 | 51 |
| 5. ციურიხი | 36 | 14 | 8 | 14 | 51:52 | 50 |
| 6. თუნი | 36 | 13 | 9 | 14 | 57:53 | 48 |
| 7. სტ. გალენი | 36 | 11 | 12 | 13 | 37:47 | 45 |
| 8. სიონი | 36 | 12 | 7 | 17 | 38:45 | 43 |
| 9. არაუ | 36 | 12 | 6 | 18 | 55:71 | 42 |
| 10. ლოზანა | 36 | 7 | 3 | 26 | 38:71 | 24 |

### ჩელენჯლიგა

XXXVI ტური

ბილი-ვინტერტური 2:2; ვილი-კიასო 3:0; ლუგანო-ვადუცი 3:2; ვოლენი-სერვეტი 5:0; შაფჰაუზენი-ლოკარნო 2:1.

## თურქეთი

### II დივიზიონი

პლეი ოფი. ფინალი

მერსინი-სამსუნი 2:0

## უელსი

### ევროპის ლიგა

პლეი ოფი. ფინალი

ბანგორი-რილი 2:0

## ბელარუსი

VIII ტური

დნეპრი-ბელშინა 0:0
ნაფტანი-ბრესტი 1:1
ტორპედო-სლუცკი 4:1

## ბულგარეთი

XL ტური

ცსკა-ლოკომოტივი (პ) 1:1
ლიტექსი-ლევსკი 0:1
ბეროე-ნეფტოხიმიკი 3:0
სლავია-პირინი 2:0
ლოკომოტივი (ს)-ლიუბიმეცი 1:2
ლუდოგორეცი-ჩერნო მორე 3:1

## ხორვატია

XXXVI ტური

სპლიტი-ლოკომოტივა 1:1
ოსიეკი-დრაგოვოლიაცი 1:1
რიეკა-სლავენი 2:0
ზადარი-ისტრა 1:0
დინამო-ჰაიდუკი შეწყდა

## ჩეხეთი

### II დივიზიონი

XXVII ტური

უსტი-ვლაშიმი 1:2
ჟიჟკოვი-ზლინი 0:1
ფრიდეკი-მოსტი გადაიდო
ბუდეიოვიცე-კარვინა 4:0
ტაბორსკო-ტრშინეცი 4:0
ჰრადეცი-ბოჰემიანსი 4:1
სლოვანი-პარდუბიცე 2:1
სოკოლოვი-ლოკო 2:1

## ჩეხეთის თასი

### ფინალი

სპარტა-პლზენი 1:1 პენ. 8:7

## ესტონეთის თასი

### ფინალი

ლევადია-ტარტუ 4:0

## უნგრეთი

XXIX ტური

ჰონვედი-მტკ 0:2
დიოშდიორი-პეჩი 3:0
პაკში-ლომბარდი 4:0
უიპეშტი-კეჩკემეტი 6:1
კაპოშვარი-დიორი 0:5
პალადაში-ფერენცვაროში 0:1
მეზოკოვეშდი-ვიდეოტონი 1:1

## ისრაელი

XXXVI ტური

ჰაპოელი (ბ-შ)-მაკაბი (პ) 1:1
ჰაპოელი (თ-ა)-ირონი (კ-შ) 4:2
მაკაბი (თ-ა)-ბნეი საქნინი 4:1

## ლიტვის თასი

### ფინალი

ჟალგირისი-ბანგა 2:1

## ბრაზილია

V ტური

კრუზეირო-კორიტიბა 3:2
ატ. პარანაენსე-ჩაპეკოენსე 1:1
კორინთიანსი-ფიგეირენსე 0:1
ფლამენგო-სან პაულუ 0:2
გრემიო-ფლუმინენსე 1:0
კრისიუმა-ინტერი გვ. დასრულდა
სანტოსი-ატ. მინეირო გვ. დასრულდა
ვიტორია-პალმეირასი გვ. დასრულდა

## მაკედონია

XXXIII ტური

ბრეგალნიცა-ვარდარი 0:0
გორნო-გოსტივარი 1:1
ტურნოვო-რაბოტნიჩკი 1:0
მაკედონია-მეტალურგი 1:3
ნაპრედოკი-რენოვა 0:0
შკენდია-პელისტერი 4:0

## ჩერნოგორია

XXXI ტური

ბუდუჩნოსტი-მოგრენი 0:2
სელიკი-სუტიესკა 0:0
ლოვჩენი-დეჩიჩი 4:2
მორნარი-გრბალი 0:1
პეტროვაცი-მლადოსტი 1:2
ზეტა-რუდარი 1:0

## პოლონეთი

### საჩემპიონო ზონა

XXXIV ტური

ლეხია-ლეხი 2:1
პოგონი-ზავიშა 1:2
გურნიკი-ლეგია 2:3
რუხი-ვისლა დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლეგია | 34 | 24 | 3 | 7 | 71:32 | 44 |
| 2. ლეხი | 34 | 18 | 8 | 8 | 64:38 | 36 |
| 3. რუხი | 33 | 15 | 9 | 9 | 43:41 | 29 |
| 4. ლეხია | 34 | 12 | 11 | 11 | 42:39 | 27 |
| 5. ვისლა | 33 | 13 | 9 | 11 | 43:38 | 26 |
| 6. გურნიკი | 34 | 12 | 10 | 12 | 49:53 | 25 |
| 7. პოგონი | 34 | 11 | 15 | 8 | 50:49 | 25 |
| 8. ზავიშა | 34 | 12 | 9 | 13 | 47:45 | 24 |

### გასავარდნი ზონა

IV ტური

ვიძევი-იაგელონია 1:1
შლიონსკი-პოდბესკიძე 0:0
კორონა-პიასტი 0:1
ზაგლემბე-კრაკოვია 1:2

## რუმინეთი

XXXIII ტური

დინამო-საჯეატა 4:1
ბრაშოვი-უნივერსიტატეა 0:0
ოცელული-ვიიტორული 4:1
ასტრა-პოლი ტიმიშოარა 5:1
ჩახლაული-ვასლუი 2:0
კონკორდია-ბოტოშანი 1:1
პეტროლული-სტიაუა 0:0

## რუსეთი

### პლეი ოფი

უფა-ტომი 5:1
ტორპედო-კრილია 2:0

## სლოვაკეთი

XXXI ტური

ნიტრა-ტრნავა 3:0
კოშიცე-დ. სტრედა 2:1
რუჟომბეროკი-მიიავა 5:0
ჟილინა-ტრენჩინი 0:1
მორავცე-შენიცა 2:1
ბისტრიცა-სლოვანი 1:2

## სლოვენია

XXXV ტური

რუდარი-კრკა 4:2
ზავრჩი-კოპერი 1:2
დომჟალე-ოლიმპია 1:2
გორიცა-მარიბორი 1:2
ტრიგლავი-პუბლიკუმი 0:1

## უკრაინა

XXX ტური

ტავრია-ილიჩოვეცი 0:3
შახტარი-ვოლინი 2:0
ჩერნომორეცი-კარპატი 0:0
დნიპრო-მეტალურგი (დ) 3:1
დინამო-ზორია 3:1
მეტალისტი-ვორსკლა 1:0

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შახტარი | 28 | 21 | 2 | 5 | 62:23 | 65 |
| 2. დნიპრო | 28 | 18 | 5 | 5 | 56:28 | 59 |
| 3. მეტალისტი | 28 | 16 | 9 | 3 | 54:29 | 57 |
| 4. დინამო | 28 | 16 | 5 | 7 | 55:33 | 53 |
| 5. ჩერნომორეცი | 28 | 12 | 10 | 6 | 30:22 | 46 |
| 6. მეტალურ (დ) | 28 | 12 | 7 | 9 | 45:42 | 43 |
| 7. ზორია | 28 | 11 | 9 | 8 | 35:30 | 42 |
| 8. ვორსკლა | 28 | 10 | 10 | 8 | 36:38 | 40 |
| 9. ილიჩოვეცი | 28 | 10 | 4 | 14 | 27:33 | 34 |
| 10. კარპატი | 28 | 7 | 11 | 10 | 33:39 | 32 |
| 11. სევასტოპოლი | 27 | 9 | 5 | 13 | 29:43 | 32 |
| 12. ვოლინი | 28 | 7 | 6 | 15 | 25:51 | 27 |
| 13. გოვერლა | 27 | 7 | 5 | 15 | 26:36 | 26 |
| 14. მეტალურ (ზ) | 28 | 2 | 6 | 20 | 19:54 | 12 |
| 15. ტავრია | 28 | 2 | 4 | 22 | 15:46 | 10 |

## აფრიკის თასი 2015

### შესარჩევი

მალავი-ჩადი 2:0
სან ტომე-ბენინი 0:0
ნამიბია-კონგო 1:0
მავრიტანია-ეკ. გვინეა 1:0
მადაგასკარი-უგანდა 2:1
მოზამბიკი-ს. სუდანი 5:0
კენია-კომოროსი 1:0
სვაზილენდი-სიერა ლეონე 1:1
ტანზანია-ზიმბაბვე 1:0
ბურუნდი-ბოტსვანა 0:0
ლიბია-რუანდა 0:0
ც. აფრიკა-გვინეა ბისაუ 0:0
ლიბერია-ლესოტო 1:0

## აზერბაიჯანი

XXXVI ტური

აზალ-ინტერი 1:3
ქაბალა-სუმგაითი 3:1
ხაზარი-ყარაბახი 2:1
რავანი-ბაქო 2:3
შიმურქი-ნეფთჩი 0:0

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ყარაბახი | 36 | 21 | 9 | 6 | 66:21 | 72 |
| 2. ინტერი | 36 | 20 | 7 | 9 | 60:37 | 67 |
| 3. ქაბალა | 36 | 18 | 7 | 11 | 48:36 | 61 |
| 4. ნეფთჩი | 36 | 17 | 9 | 10 | 48:42 | 60 |
| 5. ბაქო | 36 | 16 | 9 | 11 | 53:43 | 57 |
| 6. ხაზარი | 36 | 12 | 13 | 11 | 44:49 | 49 |
| 7. შიმურქი | 36 | 11 | 13 | 12 | 35:28 | 46 |
| 8. აზალ | 36 | 6 | 13 | 17 | 29:49 | 31 |
| 9. სუმგაითი | 36 | 5 | 10 | 21 | 27:61 | 25 |
| 10. რავანი | 36 | 4 | 10 | 22 | 22:66 | 22 |

## ბოლივია

XXI ტური

ხორხე ვილსტერმანი-ბლუმინგი 4:2
სან ხოსე-სტრონგესტი 7:2
უნივერსიტარიო-რეალ პოტოსი 1:0
გუარიბა-ბოლივარი გვ. დასრულდა
ნ. პოტოსი-სპორტ ბოის გვ. დასრულდა
ორიენტე-აურორა გვ. დასრულდა

## პარაგვაი

XV ტური

გუარანი-ლუკენიო 1:0
ოლიმპია-რუბიო ნუ 3:0
ხენერალ დიასი-3 დე ფებრერო 2:3
ლიბერტადი-დეპ. კაპიატა 0:0
დე ამერიკა-12 ოქტუბრე გვ. დასრულდა
ნასიონალი-ს. პორტენიო გვ. დასრულდა

## ურუგვაი

XIV ტური

ხუვენტუდი-მირამარი 2:2
რასინგი-რენტისტასი 1:0
ფენიქსი-ნასიონალი 1:4
რივერ პლეიტი-დეფენსორი 3:1
პენიაროლი-სერო ლარგო 3:1
დანუბიო-სუდ ამერიკა 3:3
ელ ტანკე-მონტევიდეო 0:1
ლივერპული-სერო 2:3

## გვატემალა

### პლეი ოფი

კომუნიკასიონესი-მუნისიპალი 1:0

## აშშ

XI ტური

ტორონტო-ნიუ იორკი 2:0
დი სი იუნაიტედი-მონრეალი 1:1
ფილადელფია-ნიუ ინგლენდი 3:5
დალასი-ჩივასი 1:1
ჰიუსტონი-ლოს ანჯელესი 1:0
სოლტ ლეიკი-კოლორადო 2:1
სიეტლი-სან ხოსე 1:0
პორტლენდი-კოლამბუსი 3:3
ჩიკაგო-კანზას სიტი 2:1

## ჩინეთი

XII ტური

ჰარბინი-შან. შენუა 3:3
ლიაონინგი-ჰენანი 1:0
ტიანჯინი-ჩანგჩუნი 2:1
გუიჯოუ-გუანგჯოუ RF 2:1
შან. შენსინი-ბეიჯინგი 2:1
შანდონგი-შან. ისტ აზია 3:3
ჰანგჟოუ-გუანგჯოუ 1:4
ძიანგსუ-დალიანი 1:0

## იაპონია

XIV ტური

კოფუ-კაშივა 3:0
შიმიცუ-კობე 1:1
ურავა-სერეზო 1:0
ნიიგატა-ნაგოია 1:1
საგან ტოსუ-ომიია 1:1
ტოკიო-გამბა ოსაკა 3:0
კაშიმა-ტოკუშიმა 1:0
ვეგალტა-ჰიროშიმა 1:0
კავასაკი-იოკოჰამა 0:3

## კორეა

### გადადებული მატჩი

სეული-სონგნამი 1:0

## სინგაპური

XII ტური

გეილანგი-უორიორსი 0:1
ტანიონგი-ჰარიმაუ 1:2
ჰოუმ იუნაიტედი-ტამპინესი 2:2

## ამხანაგური მატჩი

ჰოლანდია-ეკვადორი 1:1
ირანი-ბელარუსი 0:0

## ევრო 2014

### UNDER 17

1/2 ფინალი

პორტუგალია-ინგლისი 0:2
ჰოლანდია-შოტლანდია 5:0

ეროვნული ბიბლიოთეკა

საფრანგეთი. ლიგა 1. XXXVIII ტური




ჩემპიონთა რიგებში ზლატან იბრაჰიმოვიჩი (წინა პლანზე) ლიგის საუკეთესო ფეხბურთელიც გახდა და ბომბარდირიც

# ლანდრო და რომა დაგვემშვიდობნენ

## ბედნიერი ევიანი და სევდიანი სოშო

ბოლო ტურის ცენტრალური შეხვედრა „სოშო“-“ევიანი“ გახლდათ, სადაც „აიაჩოსა“ და „ვალანსიენთან“ ერთად, მესამე გავარდნილი გუნდის ვინაობა უნდა გარკვეულიყო. მონბელიარელებს საკუთარი გულშემატკივრების სრული მხარდაჭერა ჰქონდათ, მაგრამ „ოგუსტ-ბონალიზე“ ყველაფერი თავიდანვე სტუმრების სასიკეთოდ განვითარდა, რომლებმაც ტაიმი 2:0 მოიგეს. **ერვი რენარმა** ცვლილებები გააკეთა და შეტევა მაქსიმალურად გააძლიერა, მაგრამ... ევიანელებმა ეს პრინციპული შეხვედრა უშუალო კონკურენტს მოუგეს. შეხვედრის გმირად დანიელი **დანიელ ვასი** იქცა, რომელმაც დუბლი გაახერხა. შეგახსენებთ, რომ „სოშო“ ის გუნდია, რომელსაც საფრანგეთის ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში ყველაზე მეტი (57) სეზონი აქვს ჩატარებული.

გასარკვევი გახლდათ მესამეადგილოსნის ბედიც. ამ პოზიციას ერთმანეთს „სენტ ეტიენი“ და „ლილი“ ეცილებოდნენ. „მწვანეებმა“ „აიაჩოს“ ძალიან ადვილად მოუგეს, „სენტ ეტიენის“ 3 გოლიდან 2 გუნდის კაპიტნის, **ლოიკ პერენისა** იყო. ხოლო ორი საგოლე პასის ავტორმა **მაქს გრადელმა** პენალტი ვერ გამოიყენა. კორსიკელებმა კი ერთი ის შეძლეს, რომ **ისა ბარაჯიმ** 92-ე წუთზე პრესტიჟის გოლი გაიტანა და ასე გამოამშვიდობა „აიაჩო“ ლიგა 1-ს.

„ლილს“ მხოლოდ მოგება აძლევდა ხელს, მაგრამ „ლორიანთან“, რომელსაც 7-მატჩიანი წაუგებელი სერია ჰქონდა, **რენე ჟირარის** ბიჭებს წესით იოლი თამაში არ ელოდათ, მდგომარეობა უფრო დამძიმდა მას მერე, რაც **ჟერემი ალიადირმა** მასპინძლები წინ გაიყვანა. თუმცა ლილელებს მშველელად **ნოლან რუ** და **სალომონ კალუ** მოევლინათ. რუმ ჯერ კალუს გაატანინა, მერე კი თავად შეაგდო მეორე ტაიმის დებიუტში. კალუმ თავი მეორედაც გამოიჩინა, ბოლოს კი ლორიანელებმა ავტოგოლი მიითვალეს. ასე რომ, **კრისტიან გურკუფის** გაცილება შთამბეჭდავი არ გამოვიდა. სამი პერიოდის ჯამში, გურკუფი თითქმის 24 წელი იყო „ლორიანის“ მთავარი მწვრთნელი.

**ანდრე აიუს** ერთადერთი გოლით „მარსელმა“ კი მოუგო „გენგამს“, მაგრამ ეს საკმარისი არ გამოდგა ევროპალიგის საგზურის მოსაპოვებლად, რადგან თავისი თამაში მოიგო „ლიონმაც“. **რემი გარდის** გუნდს გამარჯვებისთვის **ბაკარი კონეს** დებიუტშივე გატანილი ბურთი ეყო. „მარსელზე“ ისიც ვთქვათ, რომ **ჟოზე ანიგომ** მთავარი მწვრთნელის პოსტზე ბოლო მატჩი ჩაატარა, გუნდს ოფიციალურად **მარსელო ბიელსა** ჩაიბარებს.

ერთმანეთს მშვიდობიანათ დაშორდნენ „მონაკო“ და „ბორდო“. ჟირონდელები „ლუი მეორეზე“ იგებდნენ **გიიომ ოაროს** გოლით, მაგრამ **ლუკას ოკამპოსმა** წონასწორობის აღდგენა შეძლო. კარიერაში ბოლო მატჩს ატარებდა 39 წლის **ფლავიო რომა**, რომელიც **კლაუდიო რანიერიმ** ძირითად შემადგენლობაში დააყენა.

„პარი სენ-ჟერმენმა“ გაილაღა და სეზონი „მონპელიეს“ განადგურებით დაასრულა. 4 გოლიდან ერთი **ზლატან იბრაჰიმოვიჩისა** გახლდათ. მან ბომბარდირთა დავაში 26 გოლით იმარჯვა.

„ბასტიას“ ვეტერანმა მეკარე **მიკაელ ლანდრომ** კარიერა დაასრულა. ორმაგად სიმბოლურია ის, რომ მისი კარიერა ლიგა 1-ში 1996 წელს, კორსიკაზე „ბასტიასთან“ შეხვედრაში დაიწყო, როცა იგი სწორედ „ნანტის“ კარს იცავდა, ის მატჩიც 0:0 დასრულდა და თანაც მან პენალტი მოიგერია. შეგახსენებთ, რომ ლანდრო **დიდიე დეშამის** გადაწყვეტილებით, მესამე მეკარის სტატუსით მსოფლიოს ჩემპიონატზე მიემგზავრება. მიმდინარე სეზონში ლანდრო ლიგა 1-ის რეკორდსმენი გახდა მატჩების რაოდენობის მხრივ (608).

**ლორიანი–ლილი 1:4**

**გოლები:** 1:0 ალიადირი (22), 1:1 კალუ (32), 1:2 რუ (53), 1:3 კალუ (65), 1:4 ბურილონი (92-ს.კ-ში)

**ბასტია–ნანტი 0:0**

**მარსელი–გენგამი 1:0**

**გოლი:** 1:0 ა. აიუ (51)
**მარსელი (4-2-3-1):** მანდანდა (23. სამბა) - ჯა ჯეჯე, ნკულუ, დიავარა, მორელი - რომაო, შეირუ - ტოვენი (73. პაიე), ა. აიუ, ვალბუენა (80. იმბულა) - ჟინიაკი

**მონაკო–ბორდო 1:1**

**გოლები:** 0:1 ოარო (15), 1:1 ოკამპოსი (69)
**მონაკო (4-4-2):** რომა (44. რომერო) - რაჯი (61. ვოლფი), რ. კარვალიო, აბდენური, ეჩიეჯილე - დირარი (69. ოკამპოსი), პი, ობადი, ფერეირა კარასკო - ბერბატოვი, ჟერმენი

**ნიცა–ლიონი 0:1**

**გოლი:** 0:1 ბ. კონე (6)
**ლიონი (4-3-3):** ენტონი ლოპეში - ზეფანი, ბ. კონე, უმტიტი, ბედიმო - გონალონი, მვუემბა, გრენიე (81. ფეკირი) - მალბრანკი, ლაკასეტი (57. ბრიანი), გომისი

**პსჟ–მონპელიე 4:0**

**გოლები:** 1:0 ლავეცი (2), 2:0 იბრაჰიმოვიჩი (20), 3:0 ლუკასი (49), 4:0 რაბიო (88)
**პსჟ (4-3-3):** დუშეზი - ჟალე, ალექსი, მარკინიოსი, დინი - ტიაგო მოტა (62. მატუიდი), პასტორე, რაბიო - ლუკასი, ლავეცი (63. კომანი), იბრაჰიმოვიჩი (62. მენეზი)

**რეიმსი–რენი 1:3**

**გოლები:** 0:1 დუკურიუ (34), 0:2 ტოივონენი (53), 0:3 ნტეპი (59), 1:3 დიეგო (82)

**სტ. ეტიენი–აიაჩო 3:1**

**გოლები:** 1:0 პერენი (19), 2:0 ერდინჩი (35), 3:0 პერენი (77), 3:1 ბარაჯი (90+2)

**სოშო–ევიანი 0:3**

**გოლები:** 0:1 ვასი (9), 0:2 ანგულა (42), 0:3 ვასი (72)

**ტულუზი–ვალანსიენი 3:1**

**გოლები:** 1:0 ბენ იედერი (30), 2:0 ბენ იედერი (45-პენ.), 2:1 ლე ტალეკი (87), 3:1 ბენ იედერი (90+1)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პსჟ | 38 | 27 | 8 | 3 | 84-23 | 89 |
| 2. მონაკო | 38 | 23 | 11 | 4 | 63-31 | 80 |
| 3. ლილი | 38 | 20 | 11 | 7 | 46-26 | 71 |
| 4. სტ. ეტიენი | 38 | 20 | 9 | 9 | 56-34 | 69 |
| 5. ლიონი | 38 | 17 | 10 | 11 | 56-44 | 61 |
| 6. მარსელი | 38 | 16 | 12 | 10 | 53-40 | 60 |
| 7. ბორდო | 38 | 13 | 14 | 11 | 49-43 | 53 |
| 8. ლორიანი | 38 | 13 | 10 | 15 | 48-53 | 49 |
| 9. ტულუზი | 38 | 12 | 13 | 13 | 46-53 | 49 |
| 10. ბასტია | 38 | 13 | 10 | 15 | 42-56 | 49 |
| 11. რეიმსი | 38 | 12 | 12 | 14 | 44-52 | 48 |
| 12. რენი | 38 | 11 | 13 | 14 | 47-45 | 46 |
| 13. ნანტი | 38 | 12 | 10 | 16 | 38-43 | 46 |
| 14. ევიანი | 38 | 11 | 11 | 16 | 39-51 | 44 |
| 15. მონპელიე | 38 | 8 | 18 | 12 | 45-53 | 42 |
| 16. გენგამი | 38 | 11 | 9 | 18 | 34-42 | 42 |
| 17. ნიცა | 38 | 12 | 6 | 20 | 30-44 | 42 |
| 18. სოშო | 38 | 10 | 10 | 18 | 37-61 | 40 |
| 19. ვალანსიენი | 38 | 7 | 8 | 23 | 37-65 | 29 |
| 20. აიაჩო | 38 | 4 | 11 | 23 | 37-72 | 23 |

**ბომბარდირები:** 26 - ზლატან იბრაჰიმოვიჩი (პსჟ); 16 - ვენსან აბუბაქარი (ლორიანი), ედინსონ კავანი (პსჟ) ანდრე-პიერ ჟინიაკი (მარსელი), ვისამ ბენ იედერი (ტულუზი); 15 - ალექსანდრ ლაკასეტი (ლიონი), სალომონ კალუ (ლილი)

**გიორგი კაკაბაძე**

ძიუდო. ჭაბუკთა ტურნირი

# ჭაბუკთა პოლონური მარში

ქართველმა ჭაბუკმა ძიუდოისტებმა დიდი წარმატებით იასპარეზეს პოლონურ ბიელსკა ბიალაში ამ უქმეებზე დასრულებულ თანატოლთა ევროპის თასზე, სადაც 7 მედალი მოიპოვეს - 4 ოქრო, 1 ვერცხლი და 2 ბრინჯაო. საერთო გუნდურ ჩათვლაში ჩვენები მხოლოდ რუსებს ჩამორჩნენ, რომლებმაც გოგოების მედლების ხარჯზე გაგვისწრეს, აი, ბიჭებში კი დიდი სხვაობით ჩამოიტოვეს ყველა (აქ რუსებმა მხოლოდ ერთი ბრინჯაო დაიმსახურეს). ჩემპიონები **თემურ ნოზაძე** (50), **ჯამბულ ქურდიანი** (60), **გიგა გიგაური** (73) და **გიორგი გველესიანი** (90) გახდნენ, **ვანო ხუბაშვილმა** ვერცხლი (50) მოიპოვა, მესამეზე კი **რობინზონ ბეგლარიშვილი** (55) და **ბექა უდესიანი** (66) გავიდნენ.

ეს ტურნირი ერთი კვირის წინ გამართულ ბერლინის ანალოგიურ შეჯიბრებაზე შეუდარებლად ძლიერი იყო და ასეთი გლობალური წარმატება მით უფრო გასახარია. თან ვერ ვიტყვით, რომ ახლა უფრო ძლიერი გუნდი გვყავდა წაყვანილი – მართალია, ამჯერად რამდენიმე ლიდერი დაგვემატა, მაგრამ ფავორიტები არც მაშინ გვაკლდა. თან რაოდენობრივად გერმანიაში უფრო მეტნი გამოდიოდნენ, ახლა კი ერთი წონა გამოვტოვეთ კიდეც - +90-ში მონაწილე არ გვყავდა. მისასალმებელია, რომ ბერლინის ფინალისტებმა ახლაც იმარჯვეს – გველესიანი კვლავაც ჩემპიონი გახდა, გიგაურმა კი მაშინდელი ვერცხლი ახლა ოქროზე გადაცვალა. გერმანული შედეგის გამეორება შეეძლო **დავით იმერლიშვილს** (81), ვინაიდან ბრინჯაოსთვის იჭიდავა, მაგრამ წააგო და ამჯერად მეხუთეზე დარჩა. საინტერესოა, რომ პოლონეთში 10-კაციანი გუნდით გამოვდიოდით და ერთის გარდა, ყველამ იჭიდავა მედლისთვის.

ბიელსკა ბიალაში ჩვენები განსაკუთრებით კარგად შაბათს გამოვიდნენ, როცა ოთხივე წონაში მედალი მოიპოვეს, ორში სულაც ფინალში იჭიდავეს, ამ ყველაფრის გვირგვინი კი ქართული ფინალი იყო. ერთი სიტყვით, ამ ტურნირიდან დასანანი მხოლოდ გოგოების ნაკრების წარუმატებლობა იყო.

ეტყობა, ჩვენს ეროვნულ ნაკრებში 90 კილოგრამს ტალანტები და წარმატებები დაებედა – ახლო წარსულში ხომ ოლიმპიური და მსოფლიოს ჩემპიონები, **ზურაბ ზვიადაური** და **ირაკლი ცირეკიძე** გვყავდა, ახლა მსოფლიოს ვერცხლის მედალოსანი, ევროპის ორგზის ჩემპიონი **ვალერი ლიპარტელიანი** და ერთ-ერთი ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავი **ბექა ლვინიაშვილი** გამოდიან, ამასობაში კი ჭაბუკებიდან გველესიანი მოდის ძლევამოსილად. სხვათა შორის, ამბობენ, რომ ის ლიპარტელიანის ნათესავია და დაკვირვებული თვალი მათ ჭიდაობაში საერთოსაც ნახავს. დიდი შანსია, ასაკთან ერთად (ჯერ 17 წლისაა) გველესიანს წონაც მოემატოს და ეროვნულში 100-ში მოგვევლინოს, მაგრამ სადღეისოდ სადაცაა, იქ იპყრობს ყურადღებას კარგი ჭიდაობით. მას მედლები წინა წლებშიც ჰქონდა, მაგრამ წლეულს აშკარად მოუმატა – ბერლინის შემდეგ პოლონეთშიც დამაჯერებლად იმარჯვა. იქ მან ოთხი შეხვედრა გამართა და ყველა იპონით მოიგო – ხორვატ **იერე ბოკურინა ზივკოვიჩთან**, ჩერნოგორიელ **მილიჯა დარმანოვიჩთან**, ნახევარფინალში მასპინძელ **იაკუბ ოზიმეკთან** და ფინალში აზერბაიჯანელ **მუსა შაკარალიევთან**. წლეულს გველესიანმა მხოლოდ ერთი ტურნირი დატოვა უმედლოდ – ანტალიის ევროთასი, თუმცა ბრინჯაოსთვის იქაც იასპარეზა. ვფიქრობთ, გერმანულ-პოლონური წარმატების შემდეგ მან საბოლოოდ გაინაღდა ევროპის ჩემპიონატზე წასვლა. მით უფრო, მისი კონკურენტი, ევროპის შარშანდელი მესამე პრიზიორი **დავით რამაზაშვილი** წლეულს ვერაა ფორმაში და ახლაც უმედლოდ დარჩა, მეხუთეზე გავიდა. მან ტურნირი მოგებით კი დაიწყო – მასპინძელ **მილოშ გრჟეგორჟეკთან** იპონით დაიმსახურა, მაგრამ მერე ჰოლანდიელ **სიმეონ ცატარინასთან** ასევე წმინდად წააგო იმის მიუხედავად, რომ იუკოთი იგებდა. დამამშვიდებელში ჩვენებურმა უნგრელ **რიხარდ ვაზულიკს** ვაზარით, გერმანელ **ვიქტორ დრილერს** კი წმინდად მოუგო, მაგრამ ბრინჯაოსთვის შეხვედრაში გველესიანის მიერ ძლეულ ზემოხსენებულ პოლონელ ოზიმეკთან გაფრთხილებებით მოხსნეს... აქ მსაჯს შეიძლება, მიედავო გარკვეულ შენიშვნებზე, მაგრამ ფაქტია – რამაზაშვილი უმედლოდ დარჩა.

ვფიქრობთ, ქართული ფინალი ამ ტურნირზე ჩვენთვის გამორჩეული ამბავია. საინტერესოა, ამ წონაში ქართულ-აზერბაიჯანული ნახევარფინალები გაიმართა და ორივე ჩვენი უპირატესობით დასრულდა. ფინალამდე ჩვენებურები დამაჯერებლად მივიდნენ, მაგრამ ორიოდე მიზეზის გამო ნოზაძეს მაინც გამოვარჩევთ – ერთით მეტი შეხვედრა ჩაატარა და თან ორი იპონიც გამოურია. საინტერესოა, რომ წმინდა მოგებებით დაიწყო და დაასრულა ტურნირი - თავიდან ბელარუსი **ილია ზაიცაუ** დასცა ბექებზე, ფინალში კი ხუბაშვილს აჯობა ამგვარად. წინასწარ შეხვედრებში ნოზაძეს ყველაზე მეტად ყაზახ **ჟანბოლატ ომართან** გაუჭირდა მეორე წრეში – 4 იუკო კი აართვა, მაგრამ ორივემ 3-3 გაფრთხილება მიიღო და შეიძლება ითქვას, ბეწვის ხიდზეც გაიარეს. საკმაოდ გაუჭირდა ნახევარფინალშიც აზერბაიჯანელ **კარამატ ჰუსეინოვთანაც**, ვისაც მხოლოდ იუკოთი მოუგო, უნგრელ **დანიელ მონორის** კი იოლად სძლია – ვაზარ-იუკოთი. ხუბაშვილმა ბელგიელი **ვილიამ ჰალე** და ფრანგი **ვენსან სორგიატი** ვაზარზე დააგდო, ნახევარფინალში კი აზერბაიჯანელ **მეჰდი ასკაროვს** გაფრთხილებით აჯობა.

გიგა გიგაური ამ ნაკრებში არც ისე გამოცდილია, თუმცა ზედიზედ მეორედ გავიდა პრესტიჟული ტურნირის ფინალში. ის ნახევარფინალამდე სწრაფად მივიდა, ვადამდელი გამარჯვებებით, მის ფანდებს კი ჩეხი **მატიას მელიჩარი**, ჰოლანდიელი **იესპერ სმინკი** და ფრანგი **გილიამ რიბო** ემსხვერპლნენ. დიდად არც ნახევარფინალში გასჭირვებია აზერბაიჯანელ **სამირ აგაევთან**, ვისაც ვაზარით აჯობა, პირველი ნამდვილი ბრძოლა კი ფინალში გადახდა გერმანელ **ტიმ გრამკოვთან** – ჩვენებურმა აქაც ვაზარი მიითვალა, მაგრამ სამი გაფრთხილებაც მიიღო და ცოტას გადარჩა, არ მოხსნეს.

ქურდიანიც წლეულს დამკვიდრდა ძირითად შემადგენლობაში და ანტალიაში მესამეზე გავიდა, ახლა კი ოქროთი ბრუნდება სამშობლოში. საინტერესოა, რომ ეს წონა ყველაზე ხალხმრავალი იყო – 54 (!) მონაწილე გამოდიოდა. ჩვენებურმა საჩემპიონოდ 6 შეხვედრა გამართა და ამათგან პირველი ორი პაექრობა ერთნაირი ანგარიშით – ვაზარ-იუკოთი მოიგო, შესაბამისად, ბელარუს **ულადძისლაუ სურაუსთან** და პოლონელ **ცეზარი ჩორზევსკისთან**, თუმცა ორივე შემთხვევაში 3-3 გაფრთხილებაც ჰქონდა. ბრიტანელ **ნოელ მაკდონალდსთან** დასრულებამდე 49 წამით ადრე ჩვენებურმა პირველი იპონი მიითვალა, გერმანელი **მაიკ დიტრიხი** მეტად უსუსური ჩანდა მის წინააღმდეგ – ქურდიანმა 2 იუკო და თითო ვაზარ-იპონი გაუკეთა. ნახევარფინალში საკმაოდ გამოცდილსა და ჭაბუკებში ევროპის პრიზიორ აზერბაიჯანელ **რუფატ ტაგიზადას** იუკო აართვა, ფინალში კი უკრაინელ **ჰევორხ მანუკიანი** დააიპონა.

უდესიანი ანტალიაშიც მესამე იყო და ახლაც ბრინჯაო მოიპოვა. ბეგლარიშვილი მსოფლიოს შარშანდელი ფინალისტი და ევროპის მესამე პრიზიორია, თუმცა მაშინ ქვედა წონაში გამოდიოდა. ეს გორელი ბიჭი ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულადაა მიჩნეული თავის ასაკში და სასიამოვნოა, რომ ახალ წონაში ადაპტაცია წარმატებით გაიარა. ოღონდ, სავარაუდოდ, მას კვლავ დაუდგება წონის შეცვლის პრობლემა. მით უფრო, ჯერ მხოლოდ 16 წლისაა. ასაკის მიუხედავად, პოლონეთში მან სამივე წინასწარი შეხვედრა სუფთად მოიგო და ნახევარფინალში დამარცხდა აზერბაიჯანელთა მომავალ ვიცე-ჩემპიონ **ელნურ აბასოვთან**, ბრინჯაო კი მოლდოველ **ნიკოლაი ფოკასთან** პაექრობაში მოიპოვა. ერთადერთი ჩვენებური, ვინც ნაადრევად გამოვარდა, **სიმონ მამარდაშვილია** (73).




თემურ ნოზაძე (თეთრ კიმონოში)

სამწუხაროდ, პოლონეთში რამდენადაც წარმატებით იჭიდავეს ჩვენმა ბიჭებმა, იმდენად სუსტად გამოვიდნენ გოგოები. იმათგან ყველაზე უკეთ სალომე მჭედლიშვილი (70) გამოვიდა – პირველი შეხვედრა კი დათმო ბულგარელ **ბორიანა ბორისოვასთან**, მაგრამ დამამშვიდებელში, ვიდრე ბელგიელ **გაბრიელა ვილემსთან** წააგებდა, ორი შეხვედრა მოიგო – პოლონელ **ნატალია პეკალას** იპონით აჯობა, ჰოლანდიელი **ტესლა ვან დენ ბერგი** კი გაფრთხილებებით მოახსნევინა და საბოლოოდ მეშვიდეზე დარჩა. ჩვენი გუნდის სხვა წევრები – **ნატალია ყიფშიძე** (44), **მზია ბებოშვილი, სალომე მარგიანი** (ორივე - 52), **ეთერ ლიპარტელიანი** (57) და **ხატია ჯანაშვილი** (63) პირველივე შეხვედრებში დამარცხდნენ.

**ირაკლი თავაძე**

სამბო. ევროპის ჩემპიონატი

# სამბისტთა გაზრდილი სპექტრი

ბუქარესტში დასრულებულ სამბისტთა ევროპის ჩემპიონატში წარმატებით გამოვიდა საქართველოს დელეგაცია, რომელმაც 12 მედალი მოიპოვა. სასიამოვნოა, რომ ამჯერად მედალოსანთა სპექტრი გაიზარდა – ჯილდოებს აქამდე თუ ვაჟებისგან ვილებდით, ამჯერად მათ რიცხვში ქალებიც ჩაებნენ, პირველად გამოჩნდნენ პრიზიორები საბრძოლო სამბოში.



დავით ლორიაშვილი

ცხადია, ყველაზე წარმატებით მაინც სპორტულ სამბოში გამოვედით ვაჟებში, რაც სულაც არაა გასაკვირი – აქ 3 ოქრო, 1 ვერცხლი და 2 ბრინჯაო მოვინადავლეთ. კონტინენტის ჩემპიონები **ვახტანგ ჩიდრაშვილი** (57), **ლევან ნახუცრიშვილი** (68) და **დავით ლორიაშვილი** (100) გახდნენ, **ბესარიონ ბერულავა** (74) და **ნიკოლოზ კუცია** (82) მეორეზე გავიდნენ, **ზურაბ ოდოშაშვილი** (62) და **ნოდარ მეტრეველი** (+100) - მესამეზე. ჩიდრაშვილმა ფინალში აზერბაიჯანელი **ისლამ გასიმოვი** დაამარცხა, ნახუცრიშვილმა ბელარუს **ალექსანდრე კოკშას** აჯობა, თუმცა ყველაზე ხმაურიანი გამარჯვება ლორიაშვილმა მოიპოვა, ვინც მეტად ტიტულოვანი რუსი **დმიტრი მინაკოვი** დაჯაბნა. კუციამ გადამწყვეტი ბრძოლა რუს **ალექსეი ხარიტონოვთან** დათმო.

ქალთა მონაგარი 3 ჯილდოა – 2 ვერცხლი და 1 ბრინჯაო. მათგან ყველაზე უკეთ **ნინო ოძელაშვილმა** (72) და **თეა სუხიტაშვილმა** (68) იასპარეზეს – ფინალში გავიდნენ. სამწუხაროდ, იქ ორივე დამარცხდა, შესაბამისად, რუს **ოლესია ვოლკოვასთან** და უკრაინელ **ნადია გერასიმენკოსთან** და ვერცხლის მედლებს დასჯერდა. მესამეზე მძიმეწონოსანი **ირინა ლეონიძე** (+80) გავიდა.

საბრძოლო სამბოში ჩვენი მონაგარი 2 ვერცხლია, რომელიც **დავით ჩოჩიშვილმა** (82) და **ნოდარ კუდუხაშვილმა** (90) ირგუნეს. ოქროსკენ მიმავალი გზა ორივეს რუსმა ფალავანმა გადაუღობა - ჩოჩიშვილი რუს **მურად კერიმოვთან** დამარცხდა, კუდუხაშვილი – **ვიაჩესლავ ვასილევსკისთან**.

**ირაკლი თავაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველი თურქეთში

# მარკოიშვილი, მარკოიშვილი, მარკოიშვილი!



„გალათასარაიმ" „ბეშიქთაშთან" თურქეთის ჩემპიონატის მეოთხედფინალი საშინაო მარცხით გახსნა. განმეორებით მატჩში სტუმრად წაგება კი ჩემპიონობაზე ოცნებასთან გამომშვიდობებას ნიშნავდა. „გალას" „ბეშიქთაშის" არენაზე კიდევ უფრო გაუჭირდა, მაგრამ მხსნელად **მანუჩარ მარკოიშვილი** მოევლინა. ბოლო წუთების მოვლენებს ქვედა აბზაცში გაგაცნობთ და თავად მიხვდებით, რომ არაფერს ვაჭარბებთ.

საფინალო სირენამდე 2:20 წუთი რჩებოდა, „ბეშიქთაში" კი 60:59-ს იგებდა. სწორედ ამ დროს **კარლოს აროიოს** პასით მარკოიშვილმა სამქულიანი ჩააგდო და თანაგუნდელები 62:60 დააწინაურა. როგორც წესი, ასეთი გადამწყვეტი შეხვედრების ბოლო წუთები ქულაუხვობით არ გამოირჩევა, რადგან ემოციები საოცრად მატულობს და გუნდებისთვის მთავარ პრიორიტეტად დაცვა იქცევა ხოლმე. ჰოდა, მანუს სამქულიანიდან ორმა წუთმა ისე გაიარა, მხოლოდ მასპინძლებმა მოახერხეს 2 ქულის ჩაგდება და ანგარიში გათანაბრდა - 62:62.

მატჩის დასრულებამდე 20 წამით ადრე „გალას" შეტევა კვლავ კარლოს აროიომ წამოიწყო და ფარქვეშ შესული **ზორან ერცეგი** მოძებნა, რომელსაც მთელი „ბეშიქთაში" თავს დაატყდა და სერბმაც ისეთი გადაწყვეტილება მიიღო, სერბულ საკალათბურთო სკოლას რომ შეჰფერის - მარცხენა კიდეზე, სამქულიან რკალთან თავისუფალ პოზიციაში მყოფი მანუჩარი მოძებნა და მანუს ისღა დარჩენოდა, საკუთარი კლასი კიდევ ერთხელ გამოემჟღავნებინა. ასეთ სიტუაციაში ევროლიგის დონის კალათბურთელები იშვიათად ცდებიან. ქართველმა უკანახაზელმაც სირენამდე 10 წამით ადრე სამქულიანი ზუსტად სტყორცნა და თურქ კომენტატორს ერთ წინადადებაში სამჯერ გაამეორებინა საკუთარი გვარი - მარკოიშვილი, მარკოიშვილი, მარკოიშვილი!

„გალათასარაიმ" დარჩენილ წამებში უპირატესობა შეინარჩუნა, 66:64 იმარჯვა და სერიაში ანგარიში გაათანაბრა.

მანუს საბოლოო მონაგარი ასეთი იყო: 15 წუთი, 8 ქულა (5-დან 2 სამქულიანი, 2-დან 2 საჯარიმო), 2 მოხსნა, 1 ჩაჭრა. ერთადერთი გალათასარაელი, რომელიც 10 ქულას ასცდა **მენსა-ბონსუ** იყო - 17 ჩააგდო.

სერიის (ორ მოგებამდეა) მესამე, გადამწყვეტი მატჩი 20 მაისს „გალათასარაის" მოედანზე გაიმართება.

სუპერლიგა 2013-14. 1/2 ფინალი

# ქუთაისის განახლებული საკალათბურთო ისტორია



| 17 მაისი. თბილისი | |
|---|---|
| სპორტის სასახლე | |
| არმია-ქუთაისი | 81:91 |

22:19, 21:30, 20:18, 18:24

**არმია:** ბაბუნაშვილი (5ქ), ბაბიაშვილი (9ქ, 7მ), ბოისა (13ქ, 3პ), ბერიშვილი (3ქ), კვიმსაძე, ჯგერენაია (6ქ), წივწივაძე (7ქ, 6პ), შარაბიძე (16ქ, 10მ), ფარლალავა (22ქ, 5მ, 4პ, 3ჩ).

**ქუთაისი:** ფაშაევი (9ქ, 8პ), გრძელიძე (4ქ), დიდია (5ქ, 5მ), ცეკვავა (22ქ, 6პ, 4ჩ), დ. ბარბაქაძე (16ქ, 5მ), ლომინაშვილი (2ქ), გ. ბარბაქაძე (11ქ, 4პ), ა. დვალიშვილი (22ქ, 17მ, 4ჩ, 2დ).

**მსაჯები:** მ. კუპატაძე, ი. ბერიშვილი, ზ. მაჩალაძე.

„არმია" თუ „ქუთაისი"? „ქუთაისი" თუ „არმია"? ორივე ნახევარფინალისტი იმსახურებდა ფინალში გასვლას, არა მხოლოდ სეზონის მიხედვით, ნახევარფინალური სერიის გათვალისწინებითაც. დასანანია, რომ ქართულ ტელესივრცეში მეხუთე, გადამწყვეტი მატჩის პირდაპირი რეპორტაჟი არ განხორციელდა და შეხვედრა მხოლოდ სპორტის სასახლეში მისულებმა ვიხილეთ.

„არმია"-"ქუთაისის" დაპირისპირების შემდეგ „ატლეტიკოსა" და „ბარსელონას" საფეხბურთო, საჩემპიონო შეხვედრას მივადევნე თვალი და გამოგიტყდებით, აზარტულობით თუ ემოციურობით ქართული შეხვედრა სჯობდა. კალათბურთი ხომ სპორტის ის სახეობაა, „ბარსელონას" კლასის მოთამაშეები რომც არ თამაშობდნენ, სანახაობამ მაყურებელი შეიძლება ბოლომდე თამაშში ჩაითრიოს.

საკმარისია „არმია"-"ქუთაისის" მატჩის რეკლამირება, უშუალოდ პერი-

PLAYOFFS
კალათბურთი
თბილისის სპორტის სასახლე
20, 21 მაისი
დინამო VS ქუთაისი 18:00

პეტიებზეც დაწერეთო, - შეიძლება თქვას თბილისურ-ბარსელონური პარალელით ღიმილმოგვრილმა მავანმა. დავუჯეროთ...

## 13:0 გაქცევა, 14:0 გამოქცევა

სერია სამ მოგებამდე გრძელდებოდა და მეხუთე შეხვედრის წინ ანგარიში 2:2 იყო. ეს თავისთავად მიგვანიშნებს იმაზე, რომ ერთმანეთის წინაშე თანაბარი ძალის მეტოქეები იდგნენ. გუნდები თითქოს აიწონა-დაიწონაზე ისხდნენო, მთელი 4 შეხვედრის განმავლობაში ერთ მონაკვეთს არმიელები იგებდნენ, მეორეს - ქუთაისელები და ა.შ. ჰოდა, საფინალო სირენა რომელი გუნდის ალმავლობასაც მიუსწრებდა, ის იმარჯვებდა.

ტრადიცია არც მეხუთე შეხვედრაში დაირღვა. თავად განსაჯეთ: პირველი ტაიმი „არმიამ" მოიგო, მეორე - „ქუთაისმა", მესამე - „არმიამ", მეოთხე...

მეოთხე პერიოდი ისე დაიწყო, ტრიბუნაზე შეკრებილ „ქუთაისის" მრავალრიცხოვან, ხმაურიან გულშემატკივარს ერთ მომენტში შესაძლოა იმედგაცრუებაც დაეუფლა - **კოტე ტულუშის** არმიელ შეგირდებს ყველაფერი კარგად გამოსდიოდათ, განსაკუთრებით დაცვაში ყოჩაღობდნენ, 13:0 გაიქცნენ და 74:67 დაწინაურდნენ. ეს მაშინ, როცა საფინალო სირენამდე ექვსი წუთი რჩებოდა.

6 წუთით ადრე 7-ქულიანი სხვაობა თამაშის მოგებას რომ არ ნიშნავს, ეს ყველამ კარგად იცის, მაგრამ მეოთხე რაუნდის დასწაყისში არ ჩანდა გზა, ქუთათურები არმიელთა კალათს როგორ უნდა მიახლოვებოდნენ. აი, სწორედ ამ დროს იფეთქა „ქუთაისმა", რომელსაც მსგავსი გამონათებები უკვე მერამდენე წელია ახასიათებს: გუნდი სწრაფი თამაშით ან იოლად პოულობს სივრცეს მეტოქის ფარქვეშ, ან პერიმეტრიდან სტყორცნის დაუფიქრებლად და ზუსტად. ეს განსაკუთრებით მაშინ ჩანს მკაფიოდ, როცა „ქუთაისის" ცაზე წაგების სუნი დატრიალდება. ვერ ვიტყვით, რომ 67:74 ჩამორჩენის შემდეგ ერთმა ქუთათურმა აიღო თავზე თამაში და იმან მოიგო, გუნდურად, ხან ერთი აგდებდა სამქულიანს, ხან მეორე, მესამე, ხან ფარქვეშიდან ითვლიდნენ ქულებს და 14:0 სპურტი მოაწყვეს, რის შემდეგაც 87:78 დაწინაურდნენ. ...თამაშიც აქ მორჩა და ნახევარფინალური სერიაც.

## საიმედო შეცვლა

ზონური დაცვა, სამწამიანი ზონის სიმტკიცე და კიდევ უამრავი ნიუანსი შეიძლება ჩამოვთვალოთ, რამაც იმერელთა ხუთმატჩიან პროცესში გამარჯვება განაპირობა, მაგრამ ერთი ყველაზე მთავარი დეტალი არ უნდა გამოგვრჩეს: გუნდში აღმოჩნდა საიმისო რესურსი, რომ დისკვალიფიცირებული წამყვანი გამთამაშებელი **ზაურ ფაშაევი** ღირსეულად შეეცვალათ (**ლევან გრძელიძემ** მართლაც გამოცდილი პლეიმეიქერივით იასპარეზა); **აკაკი დვალიშვილს** თამაში ჩვეულად რომ ვერ წაუვიდა (პირველ შეხვედრაში), მისმა შემცვლელმა **ავთო ლომინაშვილმა** 18 ქულა ჩააგდო; **დავით ბარბაქაძემ** თავისებურად რომ ვერ ჩააგდო, მისი წილი ქულებიც მისმა ძმამ გიგიმ მოაგროვა და - პირიქით; **რევაზ დიდია** თვალისმომჭრელი სტატისტიკით არ გამოირჩეოდა, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში არაერთი სამქულიანი ჩააგდო და გუნდისთვის ყოველ მატჩში თანაბრად სასარგებლო იყო; მეტოქე **ლაშა ფარლალავასთან** ერთად, ერთადერთი ქუთაისელი, რომელიც ხუთ მატჩში 14 ქულაზე ქვემოთ არ ჩამოსულა, **ლევან ცეკვავა** იყო, რომელმაც თუნდაც ამ ნახევარფინალებისას გააკეთა განაცხადი საქართველოს ნაკრების გაფართოებულ სიაში მოხვედრაზე.

## აკაკის ხე

თუ ხუთმატჩიან პროცესში წლების განმავლობაში შეწყობილი ქუთათურები ერთმანეთს თავიდან ბოლომდე კარგად ეხმარებოდნენ, მეხუთე შეხვედრაში გადამწყვეტი სიტყვა მაინც გამოცდილებმა თქვეს. ორმატჩიანი დისკვალიფიკაციის შემდეგ დაბრუნებულმა ფაშაევმა 9 ქულას 8 პასი მიამატა, ცეკვავამ 22 ქულა და 6 პასი მიითვალა, დავით ბარბაქაძემ - 16 ქულა ჩააგდო, გიგი ბარბაქაძემ - 11, ხოლო ცენტრმა აკაკი დვალიშვილმა - 22 ქულა და 17 მოხსნა.

დვალიშვილი „აკაკის ხესავით" აღმართულიყო საკუთარ ფართან და სამწამიან ზონაში მეტოქეებს არ უშვებდა, ხოლო შეტევისას დავინახეთ, რომ ბევრს შრომობს საშუალო დისტანციიდან ტყორცნებზე. იგი საქართველოს ნაკრებში ორი წლის წინათ იყო გამოძახებული, რის შემდეგაც საკმაოდ მოლონიერდა... თუმცა ამ მიმოხილვაში ნაკრებზე ლაპარაკი საკმარისია, ამ თემას ცალკე პუბლიკაცია სჭირდება, მით უმეტეს, რომ არმიელებშიც ვხედავთ სანაკრებო კანდიდატებს, მეოთხედფინალში გამოვარდნილ „სოხუმშიც", ფინალისტ „დინამოში" ხომ...

დიახ, ფინალურ სერიაში „ქუთაისი" „დინამოს" „დაეჭიდება". საწყისი ორი მატჩი თბილისში 20 და 21 მაისს გაიმართება. რეკლამაში ნუ ჩამომართმევთ, მაგრამ ნამდვილად არ ინანებთ, ფინალურ სერიას თუ დაესწრებით.

## ნამატჩევს

**კოტე ტულუში** („არმიას" მწვრთნელი):

- საინტერესო თამაში იყო. თითოეულ ქულას ხუთივე შეხვედრაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, გადამწყვეტ მომენტში დღეს „ქუთაისს" უფრო გაუმართლა. ჩვენ კი საჭირო შანსი ვერ გამოვიყენეთ და დავმარცხდით კიდეც. სერიის 5 თამაში არ განსხვავდებოდა ერთმანეთისგან, ყველა მატჩი დაძაბული იყო, ორივე გუნდმა მაქსიმუმი გაიღო, შეცდომებიც იყო. ვეცდებით მე-3 ადგილისთვის ვიბრძოლოთ, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია. „ბათუმი" ძალიან ძლიერი გუნდია და ვფიქრობ, საინტერესო თამაში გველის.

**მედეა მხეიძე** („ქუთაისის" მწვრთნელი):

- მივულოცავ ჩემს გუნდს ამ დიდ წარმატებას. მადლობას ვეტყვი ყველა გულშემატკივარს, რომელიც დღეს მოგვეხმარა. დაძაბული და საინტერესო შეხვედრა გამოვიდა, ბოლო წუთამდე არავინ იცოდა, რით დამთავრდებოდა თამაში. მინდა ჩემი გუნდის მოთამაშეებს დიდი მადლობა ვუთხრა, მაქსიმუმი გაიღეს, რომ ამ შედეგისთვის მიეღწიათ. „არმიას" კი წარმატებებს ვუსურვებ.

**ანატოლი ბოისა** („არმია"):

- ძალიან დაძაბული თამაში გამოდგა, ყველაფერს მაყურებელი შეაფასებს. სამწუხაროდ, ბოლო 2 წუთში ისეთი შეცდომები დავუშვით, რამაც ჩვენი წარუმატებლობა განაპირობა.

**გოგა ცეკვავა** („ქუთაისი"):

- დიდი მადლობა ჩვენს გულშემატკივარს, რომელმაც ქუთაისშიც გაავსო დარბაზი და თბილისშიც ძალიან დაგვეხმარა. მადლობას ვეტყვი ჩვენს ბიჭებს, მთელი სეზონი ვვარჯიშობდით და ამისთვის ვიბრძოდით. „დინამოს" არანაკლებ ბრძოლას გავუმართავთ. დიდი მადლობა „არმიას" შესანიშნავი სერიისთვის.

## ქომაგი და ემოცია

„არმიასაც" უხვად ჰყავდა გულშემატკივარი, მაგრამ ქუთათურთა ქომაგი მიმდინარე სეზონში დინამოელ ფანებთან ერთად მართლაც გამორჩეულია. ყოველ ჩაგდებულ ქულას კალათბურთელები გულშემატკივრებს უძღვნიდნენ, რაც მოედანსა და ტრიბუნების მჭიდრო კავშირზე მიუთითებდა.

მატჩისას იყო ბევრი ინციდენტი, ქომაგებიც ცდილობდნენ მეტოქეების მწყობრიდან გამოყვანას, გაწევ-გამოწევაც ვნახეთ, მაგრამ საბოლოოდ ყველაფერი მშვიდობიანაც დასრულდა.

გაიხარა იმ ქალაქის მწვანეში გამოწყობილმა გულშემატკივარმა, რომელსაც ორი ოლიმპიური ჩემპიონი ჰყავს გამოზრდილი. ქვეყნის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ კი იმერელთა დედაქალაქი საკალათბურთო მექა ველარ იყო. თავად განსაჯეთ: „ქუთაისმა" ისტორიაში პირველად სწორედ წლეულს მოახერხა საქართველოს ჩემპიონატის ფინალში გასვლა.

გვერდი მოამზადა
ვაჟა სიმონიშვილმა



ქუთაისელთა კალათს ზვიად ბაბიაშვილი უტევს

ეროვნული ბიბლიოთეკა

● საქართველოს ჩემპიონატი


ბურთით გიგა გაგოშვილი

# არმია შესანიშნავი იყო

| არმია-ლოკომოტივი | 48:17 |
| --- | --- |

**არმია** (15-9) კობახიძე, ტუჩაშვილი, ჩხიკვაძე, გაგოშვილი (გაბროშვილი 44), შკინინი, ნინიძე, ლვინჯილია (ჯინაშვილი 44). (1-8) კაკოვინი (ქორიძე 41), მამუკაშვილი (მეკოკიშვილი 41), ზაქაშვილი (გურგენიძე 41), დ. ჩიტიძე (ხარებავა 68), ცხადაძე, დარასელია, ჟღენტი (სურგულაძე 19), თავართქილაძე.

**7ლ:** თავართქილაძე (2), შკინინი, ჩიტიძე, ჩხიკვაძე, ტუჩაშვილი, გაბროშვილი. 5გ,ს: კობახიძე.

**სინბინი:** ქორიძე.

**ლოკომოტივი** (15-9) ნიკლაური, ბინაძე, ქავთარაძე (ფ.გასვიანი 41), კავთიძე, თ. ჩიტიძე, ჭინჭარაული (ჟამუტაშვილი 60), ზაბახიძე (კლიმიაშვილი 67). (1-8) დ. გასვიანი (ზარიძე 37), გენებაშვილი (კვანტიძე 37), მაღალდაძე (ელოშვილი 53), ხოუაშვილი (ტალახაძე 55), გეგია, ფოფხაძე, თავბერიძე (ახვლედიანი 60), ბერიშვილი.

**2ლ:** ზაბახიძე, ჟამუტაშვილი. 2გ: ნიკლაური. ა: ჭინჭარაული.

**მსაჯი:** მაიკ ბერი (ირლანდია)

საქართველოს ჩემპიონატის ფინალისტთა ვინაობა გარკვეულია. ქვეყნის მოქმედ ჩემპიონს თბილისის „ლელოს" ტიტულის დაცვა „არმიასთან" ბრძოლაში მოუწევს. არმიელებმა წინასწარ ფინალში საქართველოს ჩემპიონატის მრავალგზის გამარჯვებულ თბილისის „ლოკომოტივს" დამაჯერებლად მოუგეს 48:17 და დიდ ფინალში გაალწიეს.

ცხადია, „არმიას" ასეთი დიდი უპირატესობით გამარჯვებას არავინ ელოდა. **ნიკო ჭავჭავაძის** შეგირდებმა მეტოქე ყველა კომპონენტში დაჯაბნეს. სისწრაფე, შერკინება, დერეფანი, მრავალფაზიანი კომბინაციები - „არმია" შესანიშნავი იყო. თავად განსაჯეთ, მე-15 წუთისთვის არმიელები უკვე 19:0 იგებდნენ. ასეთი დონის მატჩში ეს ძალიან დიდი უპირატესობაა და თამამად შეიძლება ითქვას, რომ „არმიამ" მატჩის ბედი სწორედ საწყის 15 წუთში გადაწყვიტა.

„ლოკომოტივმა", როგორც ჩანს, გასავარდნ ფინალში ბოლნისის „ყოჩებთან" მატჩში თავისი მაქსიმუმი გამოავლინა. ეს რკინიგზელთა საუკეთესო მატჩი იყო მიმდინარე სეზონში და ორჯერ ზედიზედ შესაძლებლობების ზღვარზე ითამაშო, ძალიან ძნელია. „ლოკომოტივი" მეტოქესთან შედარებით მძიმედ, გადაღლილად გამოიყურებოდა და პირველ ტაიმში, ფაქტობრივად, უბრძოლველად დანებდა.

თამაში ის იყო დაიწყო, რომ „არმიამ" პირველივე იერიში შედეგიანი განახორციელა. მარცხენა ფრთაზე **გიორგი შკინინმა** თითქმის ლელომდე მიაღწია, თუმცა რკინიგზელებმა მისი შეჩერება შეძლეს. მერე შეტევა მარჯვნივ, გრძელ ფრთაზე გაგრძელდა, სადაც არმიელები რიცხვობრივ უმრავლესობაში აღმოჩნდნენ და გუნდის კაპიტანმა **ლაშა თავართქილაძემ** პირველი ლელო გაიტანა. ფულბეკმა **ბახვა კობახიძემ** ხელსაყრელი პოზიციიდან ვერ გარდასახა - 5:0.

ხაზგასმით აღსანიშნავია არმიელთა გამოცდილი გარემარბის გიორგი შკინინის შესანიშნავი თამაში. მომდევნო ლელო მის ანგარიშზეა, მესამე კი მისი გარღვევისა და დროული გადაცემის შედეგად მეორეხაზელმა **დავით ჩიტიძემ** გაიტანა. ცხადია, ყოველივე ამაში არმიელთა მთელი გუნდი იღებდა მონაწილეობას და, თამამად შეიძლება ითქვას, რომ მათ იმ დღეს ჩემპიონატში საუკეთესო თამაში აჩვენეს. შკინინისა და ჩიტიძის ლელოები კობახიძემ გარდასახა და „არმია" 19:0 დაწინაურდა.

„ლოკომოტივი" საკმაოდ პასიურად გამოიყურებოდა. აღსანიშნავია, რომ რკინიგზელებმა მეტოქის 22-მეტრიანი ზონის ხაზი პირველად 35-ე წუთზე გადაკვეთეს. თუმცა, ის იერიში უშედეგოდ დასრულდა. იქამდე კი მე-17 წუთზე „ლოკომოტივის" მგეზავმა **გოდერძი ჭინჭარაულმა** 35 მეტრიდან არეკნი დაჰკრა და გაიტანა - 3:17.

სულ ეს იყო, **თემურ ბენდიაშვილის** სამწყსოს პირველ ნახევარში სახეირო მეტი არაფერი გაუკეთებია. „არმია" კი თავიდან აღებულ გეზს მიჰყვებოდა და 26-ე წუთზე მორიგი იერიშისას დაცვის ხაზი შუამარბმა **ირაკლი ჩხიკვაძემ** გაჭრა. კობახიძემ გარდასახა - 26:3. მანვე სამიოდ წუთში 45 მეტრიდან საჯარიმოც გაიტანა - 29:3. ასე დასრულდა პირველი ტაიმი.

შესვენების შემდეგ თამაში ორი წუთის განახლებული იყო, როცა „არმიას" გარემარბმა **ალექსანდრე ტუჩაშვილმა** გაინავარდა. ის ბურთს მოედნის ცენტრთან ახლოს დაეუფლა და ლელომდე თითქმის 50 მეტრი ირბინა. კობახიძეს არც ამ ლელოს გარდასახვა გასჭირვებია - 36:3.

ცხადია, ეს უკვე გამარჯვება იყო. ალბათ, სწორედ ამიტომ არმიელები ოდნავ მოდუნდნენ. 53-ე წუთზე, როცა მოედანზე რიცხობრივ უმცირესობაში იმყოფებოდნენ, მათ „ლოკომოტივს" ლელოს გატანის საშუალება მისცეს. რკინიგზელებმა მეტოქის ჩათვლის მოედნიდან 10 მეტრში დერეფანი მახვილგონივრულად გაითამაშეს. მესამეხაზელმა **გივი ბერიშვილმა** დაცვის ხაზი გაჭრა და სალელოვედ ცხრა ნომერ **ალექსანდრე ზაბახიძეს** გადააწოდა. ფულბეკმა **ბექა ნიკლაურმა** გარდასახა - 10:36.

„არმია" ამან თითქოს კიდევ უფრო გაალიზიანა. ათ წუთში არმიელებმა მრავალფაზიანი შეტევა განახორციელეს და მარცხენა ფრთაზე სამი ერთის წინააღმდეგ დარჩნენ. მორიგი ლელო მესამეხაზელმა ლაშა თავართქილაძემ მიითვალა. კობახიძემ ვერ გარდასახა - 41:10.

ხუთ წუთში არმიელებმა კურიოზული ლელო გაიტანეს. „ლოკომოტივი" მეტოქის ჩათვლის მოედნის მისადგომებთან დიდხანს უტევდა. ხან მარცხნიდან სცადა არმიელთა წინააღმდეგობის დაძლევა, ხან მარჯვნიდან. გადამწყვეტ მომენტში, როცა ლელო უკვე გარდაუვალი იყო, ბოლო გადაცემა შეცვლაზე შესულმა შუამარბმა **ვანო გაბროშვილმა** ჩაჭრა და რკინიგზელთა ლელომდე 90 მეტრი ირბინა. კობახიძემ გარდასახა - 48:10.

მატჩის მიწურულს „ლოკომოტივის" ძალისხმევა **დავით ჟამუტაშვილმა** ლელოთი დასრულდა. 22-მეტრიან ზონაში შესულმა ბურთი ფეხით გადაიკიდა, ჩათვლის მოედანში ყველას დაასწრო და ანგარიშში სხვაობა შეამცირა. ნიკლაურმა გარდასახა - 17:48.

| ფინალი |
| --- |
| 24 მაისი |
| ლელო-არმია |

● ტესტები

# დავით ზირაქაშვილი ბარბაროსებში

**„ბარბაროსები" 1 ივნისს ლონდონში, „თვიქნემზე" ინგლისის ნაკრებს დაუპირისპირდებიან. გუნდს ამ მატჩისთვის „ვორსტერის" თავკაცი დინ რაიანი მოამზადებს, რომელმაც „ბარბაროსების" ერთი ნაწილის ვინაობა გაამცხადა. გუნდის დანარჩენ წევრებს კი ის მიმდინარე კვირის განმავლობაში დაასახელებს.**

აღსანიშნავია, რომ წლეულს „ბარბაროსებში" სათამაშოდ მიიწვიეს საქართველოს ნაკრებისა და ფრანგული „კლერმონის" შერკინების ბურჯი **დავით ზირაქაშვილი.** შეგახსენებთ, რომ აქამდე „ბარბაროსების" შემადგენლობაში ოთხ ქართველ მორაგბეს უთამაშია. ესენი არიან: **მამუკა გორგოძე** (მონპელიე), **დავით ქუბრიაშვილი** (სტად ფრანსე), **გოდერძი შველიძე** (ბრივი) და **დავით კაჭარავა** (ენისეი).

წლეულს „ბარბაროსები" საკმაოდ შთამბეჭდავ შემადგენლობას მოუყრის თავს. შერკინებაში გამოცდილი ახალზელანდიელი **ენდრიუ ჰორი** (გლოსტერი), არგენტინის ნაკრების კაპიტანი **ხუან მარტინ ლეგუსამონი** (ლიონი) და სამოელი **ჯო ტეკორი** (ტულუზი) ითამაშებენ.

უკანა ხაზი კიდევ უფრო მრისხანედ გამოიყურება. ახალზელანდიელები **ჰოსე გაერი** (ტულუზი), **ბრუკ ჯეიმზი** (კლერმონი), **ჯო როკოთოკო** (ბაიონი), **სიტივენი სივივატუ** (კლემონი) და ავსტრალიელი **ჯეიმზ ოკონორი** (ლონდონ აირიში) ნებისმიერი დონის გუნდს ურთულეს პრობლემებს შეუქმნიან.

*„ძალიან იშვიათად ხდება, რომ ასეთი მაღალი დონის მოთამაშეებთან მუშაობის საშუალება გეძლევა. უსაზღვროდ მოხარული ვარ, რომ გამიმართლა და ამ უნიჭიერეს მორაგბეებთან მომიწევს ურთიერთობა"* - თქვა **დინ რაიანმა.**

| ბარბაროსები |
| --- |

**შერკინება:** ენდრიუ ჰორი (გლოსტერი, ახალი ზელანდია), ხუან მარტინ ლეგუსამონი (ლიონი, არგენტინა), სონა ტაუმალოლო (პერპინიანი, ტონგა), ჯო ტეკორი (ტულუზი, სამოა), დავით ზირაქაშვილი (კლერმონი, საქართველო).

**უკანა ხაზი:** ჰოსე გეარი (ტულუზი, ახალი ზელანდია), ბრუკ ჯეიმზი (კლერმონი), ჯეიმზ ოკონორი (ლონდონ აირიში, ავსტრალია), ჯო როკოთოკო (ბაიონი, ახალი ზელანდია), ბენსონ სტენლი (კლერმონი, ახალი ზელანდია), სიტივენი სივივატუ (კლერმონი, ახალი ზელანდია).

● ლეგიონერები

# ტულონი დუბლისთვის იბრძვის

**საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ, პირველ დივიზიონში ფინალისტების ვინაობა გაირკვა. 31 მაისს „სტად დე ფრანსზე" ერთმანეთს მოქმედი ჩემპიონი, ანტონ ფეიქრიშვილის „კასტრი" და „ჰაინეკენის თასის" ამჟამინდელი მფლობელი ლევან ჩილაჩავასა და კონსტანტინე მიქაუტაძის „ტულონი" დაუპირისპირდება.**

„ტულონის" მეტოქე ნახევარფინალში **დავით ხინჩაგიშვილის** „მეტრო რასინგი" იყო. თამაში, მოლოდინისამებრ, უაღრესად დაძაბული გამოდგა. ტულონელებმა პირველ ნახევარში მხოლოდ ერთქულიანი უპირატესობის მოპოვება შეძლეს - 7:6.

შესვენების შემდეგ საქმეში ინგლისელი მგეზავი **ჯონი ვილკინსონი** ჩაერთო, რომელმაც ორი საჯარიმო და ერთი არეკნი გაიტანა. პარიზელებმა კი მონაგარს ვერაფერი შესძინეს და ფინალისკენ გზა „ტულონს" დაუთმეს.

ჩილაჩავა განაცხადში არ იყო, ხინჩაგიშვილი ტრავმირებულია, მიქაუტაძეს ოთხკვირიანი დისკვალიფიკაცია მისცეს. საბედნიეროდ, მას სასჯელი 31 მაისს უმთავრდება და ფინალში თამაშის უფლება აქვს. იქამდე, ტულონელები „ჰაინეკენის თასის" ფინალში კარდიფის „მილენიუმზე" ითამაშებენ.

როგორც უკვე ვთქვით, „ტულონის" მეტოქე ფინალში შარშანდელი ჩემპიონი „კასტრი" იქნება, რომელმაც ნახევარფინალში **მამუკა გორგოძისა** და **მიხეილ ნარიაშვილის** „მონპელიე" დაამარცხა - 22:19. აღსანიშნავია, რომ მატჩის ძირითადი დრო ფრედ 19:19 დასრულდა. არბიტრმა ორი ათწუთიანი დამატებითი ტაიმი დანიშნა, რომელშიც თავი 35 წლის ფიჯელმა შუამარბმა **სერემაია ბაიმ** გამოიჩინა. მან პირველი დამატებითი ტაიმის მიწურულს არეკნი გაიტანა და „კასტრს" გამარჯვება მოუტანა.

გორგოძე ძირითად შემადგენლობაში იყო და 49-ე წუთზე შეცვალეს. მან „მონპელიეს" კვარტით ბოლო მატჩი გამართა და მომავალი სეზონიდან „ტულონის" ღირსებას დაიცავს. ძირითად შემადგენლობაში ითამაშა ნარიაშვილმაც, რომელიც 73-ე წუთზე შეცვალეს, ფეიქრიშვილი განაცხადში არ იყო.

| I დივიზიონი | |
| --- | --- |
| ნახევარფინალი | |
| მონპელიე-კასტრი | 19:22 |
| ტულონი-მეტრო რასინგი | 16:6 |
| ფინალი | |
| ტულონი-კასტრი | |

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**


მამუკა გორგოძე კასტრელების მარწუხებში

ჩოგბურთი

# მუჯირის დუბლი ბაქოში


ანა მუჯირი

აზერბაიჯანის დედაქალაქში 16-წლამდელ ჩოგბურთელთა მე-2 ტურნირის ნახევარფინალში, როგორც გაუწყეთ, წინა ასპარეზობის გამარჯვებულმა **ნიკოლოზ დავლიანიძემ** (იგი მეორე ნომრად იყო განთესილი) ნიკიტა პარფიონოვს (რუსეთი) აჯობა 5:7, 6:2, 6:3 და ფინალში გავიდა, სადაც ასპარეზობის რეიტინგფავორიტ ანატოლი რაინინს (უკრაინა) დაუპირისპირდა. ქართველმა ჩოგბურთელმა ეს შეხვედრა ორ სეტში იოლად მოიგო - 6:2, 6:2 და ბაქოში მეორედ ავიდა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე.

ამ ასაკის ვაჟთა წყვილთა ფინალში ირაკლი მეტრეველმა და ანატოლი რაინინმა რუსები - პაველ კარპუშკინი და ნიკიტა პარფიონოვი დაჯაბნეს - 6:4, 6:2.

16-წლამდელ გოგონათა მეოთხედფინალური ორთაბრძოლების შემდეგ ნათელი გახდა, რომ მთავარ პრიზს ქართველი ჩოგბურთელი დაეუფლებოდა, რადგან საუკეთესო ოთხეულში მხოლოდ ჩვენებურები გავიდნენ. ნახევარფინალში **ანა მუჯირმა მედეა პეტრიაშვილი** დაამარცხა, 7:6, 6:2, ხოლო **მარიამ დალაქიშვილმა ნინო მემიშიშს** სძლია - 6:1, 6:4. დაძაბული ფინალური პაექრობის პირველი ხელი დალაქიშვილმა მოიგო 6:2, მაგრამ მომდევნო ორ სეტში მუჯირმა იმარჯვა - 6:4, 6:3 და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზეც ის ავიდა. ანა მუჯირმა წყვილებშიც იზეიმა გამარჯვება - ყაზახ ჟიბეკ კულამბაიევთან შეამხანაგებული ტურნირის რეიტინგფავორიტად მიიჩნეოდა და ანამაც თავის მეწყვილესთან ერთად იმედები გაამართლა - მარიამ დალაქიშვილისა და ნინო მემიშიშის ტანდემს ორ სეტში დააყრევინა ფარ-ხმალი - 7:6, 6:2 და მეორე მთავარი პრიზიც დაიმსახურა.

14-წლამდელ ქართველ ჩოგბურთელთაგან მიზანთან ახლოს იყო **ანა მაკალათია**, რომელსაც ანა სოლოვიევასთან (რუსეთი) ერთად განთესვით მე-4 ნომერი ჰქონდა. ნახევარფინალში ქართულ-რუსულმა დუეტმა ლანა კენჭიაშვილისა (საქართველო) და ქსენია მიხაილოვას (რუსეთი) ტანდემი ჩამოიშორა გზიდან - 4:6, 7:5 10:5. ფინალში მაკალათიამ და სოლოვიევამ ყაზახებს - დანელ აშიროვას და ჟამილა ტაიტელის აჯობეს - 4:6, 6:3, 10:8 და პირველი ადგილი დაიკავეს.

ამდენად, ბაქოს საერთაშორისო ტურნირზე ქართველმა ჩოგბურთელებმა ხუთი პირველი და ორი მეორე პრიზი მოიპოვეს.

ვაჟა **დანელია**

სუმო. ნაცუ ბაშო. 11-25 მაისი

# ზედიზედ სამი მარცხი

ზაფხულისბაშოზე მეტად არასტაბილურად ასპარეზობს **თეიმურაზ ჯუღელი (გაგამარუ)**. ჩვენებურმა სტარტზე ორი ორთაბრძოლა დათმო, შემდეგ კი ზედიზედ სამჯერ იმარჯვა. ამის მერე ისევ წარუმატებელი სერია დაიწყო, რომელიც სამი დღეა, გრძელდება. გაგამარუს 3-5 ბალანსი აქვს.

მაკუშიტას დივიზიონის მე-7 დღეს **ლევან გორგაძემ (ტოჩინოშინი)** იორიკირის ილეთით დაამარცხა **კიზენრიუ** და ამით უკვე დაიბევა დადებითი ბალანსი - 4-0 დღეს ის **დევაჰაიატეს** ხვდება.

**VII დღე**

(მნიშვნელოვანი ბრძოლები): ჰაკუჰო-კიოკუტენჰო (იორიკირი), ჰარუმაფუჯი-ენდო (ცუკიოტოში), ჩიოოტორი-კაკურიუ (ოშიდაში), კისენოსატო-ჩიოტაირიუ (ოშიდაში), სადანოუმი-**გაგამარუ** (იორიკირი)

**VIII დღე**

(მნიშვნელოვანი ბრძოლები): ჰარუმაფუჯი-ჩიოოტორი (იორიტაოში), კაკურიუ-ტაკარაფუჯი (უვატენაგე), ჰაკუჰო-იოშიკაძე (ოშიდაში), ტაკეკაძე-კოტოშოგიკუ (სუკუინაგე), ჩიომარუ-**გაგამარუ** (უვატენაგე)

**სატურნირო მდგომარეობა**

**8-0**: ჰაკუჰო (იოკოძუნა)
**7-1**: კისენოსატო (ოძეკი), იკიოი (მაეგაშირა 5)... **3-5**: გაგამარუ (მ 14)

**IX დღე**

(მნიშვნელოვანი წყვილები): კაკურიუ-ტოჩიოძანი, ჰაკუჰო-ენდო, ჰარუმაფუჯი-შოჰოზანი, კისენოსატო-იოშიკაძე, **გაგამარუ**-აზუმარიუ.

ნიკოლოზ **ნეფარიძე**

თარიღი

**19-25 მაისი**

19. 1969. დაიბადა **დუდუ დადიანი** - კალათბურთი. დაიღუპა 2002 წელს
19. 1950. დაიბადა **გურამ ბიგანიშვილი** - აფროსნობა
20. 1923. დაიბადა **მარიამ უთმელიძე** - ალპინიზმი
22. 1940. დაიბადა **ვალერი ლომაძე** - კალათბურთი
23. 1940. დაიბადა **ლევან მოსეშვილი** - კალათბურთი
24. 1955. დაიბადა **თემურ ხუბულური** - ძიუდო
24. 1962. დაიბადა **გიორგი თენაძე** - ძიუდო
24. 1987. დაიბადა **რაულ ცირეკიძე** - ძალოსნობა
25. 1896. დაიბადა **სიმონ ჯაფარიძე** - მთამსვლელი. დაიღუპა 1929 წელს

## მილოცვა

„ლელოს“ რედაქცია დაბადებიდან 80 წლის საიუბილეო თარიღს ულოცავს ტრამპლინიდან თხილამურებით ხტომაში ოთხი ოლიმპიური თამაშების მონაწილეს, სსრ კავშირის ექვსგზის ჩემპიონს, ხალხთა სპარტაკიადის ჩემპიონს, სსრკ თასის სამგზის მფლობელს ლეგენდარულ **კობა წაქაძეს.**

■ ■ ■

იუბილარისადმი მიძღვნილ ვრცელ პუბლიკაციას ხვალინდელ ნომერში შემოგთავაზებთ.



კალათბურთი

# ევროპის ახალი მმართველი


თურგაი დემირელი

კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციის ევროპულ განყოფილებას - FIBA-ევროპას ახალი ხელმძღვანელი ჰყავს. ეს პოსტი მიანდეს თურქეთის კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტ **თურგაი დემირელს**. 57 წლის ფუნქციონერი FIBA-ევროპას 2018 წლამდე უხელმძღვანელებს. არჩევნებში დემირელის მთავარი კონკურენტი მაკედონიელი **დანიელ დიმევსკი** იყო.

*„ეს დიდი პატივია ჩემთვის და მინდა ევროპის ყველა იმ ქვეყანას გადავუხადო მადლობა, რომელმაც მხარი დამიჭირა,* - განაცხადა FIBA-ევროპის ახალმა პრეზიდენტმა. - *ჩემი მიზანია - ევროპის ფედერაციის 51 წევრის მხარდაჭერით კონტინენტზე კალათბურთი უფრო მეტად განვითარებად სპორტის სახეობად ვაქციო, უფრო გავაძლიერო საკლუბო ტურნირები და გავზარდო ვარსკვლავების ახალი თაობა. გარდა ამისა, ძლიერი FIBA-ევროპა უფრო მეტად დაეხმარება ეროვნულ ფედერაციებს“.*

შეგახსენებთ, რომ FIBA-ევროპის წინა პრეზიდენტი იყო ისლანდიელი **ოლაფურ რაფნსონი**, რომელიც შარშან გარდაიცვალა.

გია **თვალაბეიშვილი**

ამბები

## ბრუკლინი დერონს იშორებს?

„ბრუკლინ ნეტსის“ ხელმძღვანელობის აზრით, გუნდის წამყვანი გამთამაშებლის **დერონ უილიამსის** თამაში არ შეესაბამება იმ ხელფასს, რომელსაც 29 წლის კალათბურთელი იღებს. გარდა ამისა, სამწვრთნელო შტაბს ბევრ თავის ტკივილს უჩენს დერონის გაუთავებელი ტრავმები - ამ მიზეზით პლეიმეიკერმა გასულ სეზონში 20 მატჩზე მეტი გამოტოვა.

ამიტომაც, „ბრუკლინის“ ხელმძღვანელობა მზად არის ზაფხულში განიხილოს უილიამსის გაცვლის ვარიანტები. კალათბურთელის მოქმედი კონტრაქტი 2017 წლის ზაფხულამდეა ძალაში. მომდევნო სამი სეზონის განმავლობაში დერონი 62 მილიონ დოლარს გამოიმუშავებს.

## საფრანგეთი პარკერის გარეშე

საფრანგეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ვენსან კოლემ** მსოფლიოს მომავალი ჩემპიონატისთვის 24-კაციანი გაფართოებული შემადგენლობა დაასახელა და მოულოდნელად, სიაში არ აღმოჩნდა გუნდის ლიდერი, „სან ანტონიო სპურსის“ გამთამაშებელი **ტონი პარკერი**. ჯერჯერობით ცნობილი არ არის ამ გადაწყვეტილების მიზეზი.

24-კაციან სიაში NBA-ის შვიდ ლეგიონერს ვხედავთ: მცველებს - **ნანდო დე კოლოსა** („ტორონტო“) და **ევან ფურნიეს** („დენვერი“), ფორვარდებს - **ნიკოლა ბატუმსა** („პორტლენდი“) და **ბორის დიაოს** („სან ანტონიო“), ცენტრებს - **ალექსის აჟინკას** („ნიუ ორლეანი“), **რუდი გობერსა** („იუტა“) და **კევინ სერაფინს** („ვაშინგტონი“).

## ოთხთა ფინალი მადრიდს მისცეს

2015 წელს ევროლიგის „ოთხთა ფინალი“ 15-17 მაისს მადრიდში გაიმართება. ბოლოს ესპანეთის დედაქალაქმა ევროპის რანგით პირველი საკლუბო ტურნირის დასკვნით ნაწილს 2008 წელს უმასპინძლა.

*„წელს ბევრი კანდიდატი იყო, მაგრამ მადრიდში დაბრუნება გადავწყვიტეთ, რადგან ის ყველანაირ მოთხოვნას აკმაყოფილებს. მადრიდის ცენტრში ძალიან დიდი არენაა. ეს არის საკალათბურთო ქალაქი სპორტის ამ სახეობის უამრავი გულშემატკივარით. ესპანეთი ჩვენი ერთ-ერთი სტრატეგიული ბაზარია“,* - განაცხადა ევროლიგის პრეზიდენტმა **ხორდი ბარტომეუმ.**

## გრიფინს მსოფლიოზე უნდა

„ლოს ანჯელეს კლიპერსის“ ფორვარდი **ბლეიკ გრიფინი** წელს მსოფლიოს ჩემპიონატზე აპირებს თამაშს.

*„ჩემს გეგმებში შედის ესპანეთში თამაში. მოუთმენლად ველი NBA-ის სხვა დიადი მოთამაშეების მხარდამხარ გამოსვლასა და მწვრთნელ მაიკ კრჟიჟევსკისთან თანამშრომლობას. ეს კარიერულ წინსვლაში აუცილებლად დამეხმარება“,* - განაცხადა გრიფინმა.

გია **თვალაბეიშვილი**

NBA პლეი ოფი

**აღმოსავლეთი**

**ვაშინგტონი-ინდიანა 80:93**

**23:29, 17:23, 23:19, 17:22**

ვ: გორტატი (19+6 მოხსნა), ბილი (16), ნენე (15+6 მოხსნა), უოლი (12+9 პასი+5 მოხსნა), არიზა (6+7 მოხსნა), გუდენი (4), მილერი (4), უებსტერი (4), ჰარინგტონი (0+5 მოხსნა).

ი: უესტი (29+6 მოხსნა), სტივენსონი (17+8 პასი+5 დაფარება), ჯორჯი (12+5 მოხსნა), ჰიბერტი (11+7 მოხსნა+3 დაფარება), ჰოლი (11+6 მოხსნა), მაინმი (5), სკოლა (4), უოტსონი (4).

**სერია**: 2-4

**დასავლეთი**

**კლიპერსი-ოკლაჰომა 98:104**

**30:16, 20:26, 22:30, 26:32**

კ: პოლი (25+11 პასი+7 მოხსნა), გრიფინი (22+8 პასი+8 მოხსნა), რედიკი (16), ბარნსი (9), ჯორდანი (9+15 მოხსნა), დევისი (6), კოლისონი (6), კროუფორდი (4), გრეინჯერი (1).

ო: დურანტი (39+16 მოხსნა+5 პასი), უესტბრუკი (19+12 პასი), ჯექსონი (14), ადამსი (10+11 მოხსნა), ფიშერი (7), იბაკა (6), სეფოლოშა (5), კოლისონი (4).

**სერია**: 2-4

**1/2 ფინალი. კალენდარი**

**აღმოსავლეთი**

**ინდიანა-მაიამი**

18 მაისი. ინდიანა-მაიამი
20 მაისი. ინდიანა-მაიამი
24 მაისი. მაიამი-ინდიანა
26 მაისი. მაიამი-ინდიანა
28 მაისი. ინდიანა-მაიამი
30 მაისი. მაიამი-ინდიანა
1 ივნისი. ინდიანა-მაიამი

**დასავლეთი**

**სან ანტონიო-ოკლაჰომა**

19 მაისი. სან ანტონიო-ოკლაჰომა
21 მაისი. სან ანტონიო-ოკლაჰომა
25 მაისი. ოკლაჰომა-სან ანტონიო
27 მაისი. ოკლაჰომა-სან ანტონიო
29 მაისი. სან ანტონიო-ოკლაჰომა
31 მაისი. ოკლაჰომა-სან ანტონიო
2 ივნისი. სან ანტონიო-ოკლაჰომა

გია **თვალაბეიშვილი**

კრივი

# მარკესი პაკიაოს მიუახლოვდა

გასულ უქმეებზე გამართული ბრძოლებიდან ყველაზე საინტერესო იყო არასატიტულო შეხვედრა აშშ-ის ქალაქ ინგლვუდში. **მენი პაკიაოსთან** ბრძოლებით განთქმული მექსიკელი, 40 წლის **ხუან მანუელ მარკესი** (56-7-1, 40KO) 65.2-კილოგრამამდე წონით კატეგორიაში **მაიკ ალვარადოს** (34-3, 23KO) ხვდებოდა. ამ ბრძოლაში გამარჯვებული სწორედ პაკიაოსთან შეხვედრის უფლებას მიიღებდა.

ორივე მოკრივეს ფრთხილი ტაქტიკა ჰქონდა არჩეული. ალვარადო ცდილობდა ვეტერანზე ზეწოლას, მაგრამ ყოველი შეტევისას ერთზე მეტ ზუსტ დარტყმას ვერ ასრულებდა. მარკესი კი კონტრშეტევებზე მოქმედებდა, წარმატებით პოულობდა მოწინააღმდეგის დაცვაში ბზარებს და აკონტროლებდა ბრძოლის მსვლელობას.


ხუან მანუელ მარკესი

მერვე რაუნდში მარკესმა მეტოქე ნოკდაუნში გაუშვა, მაგრამ ალვარადომ შეძლო წამოდგომა და ბრძოლაში დაბრუნება. უკვე მომდევნო რაუნდში კი მექსიკელი ვეტერანი აღმოჩნდა რინგზე ჰორიზონტალურ მდგომარეობაში, მაგრამ მანაც მოახერხა შეხვედრის გაგრძელება.

დარჩენილ რაუნდებში მარკესი ფრთხილად მოქმედებდა, აქცენტი ზუსტ დარტყმებზე გადაიტანა და ბრძოლა გამარჯვებამდე მიიყვანა. სამივე მსაჯმა უპირატესობა მექსიკელს მიანიჭა - 119:108, 117:109, 117:109.

ბრძოლის შემდეგ მენი პაკიაოსთან მეხუთე შეხვედრის პერსპექტივაზე მარკესმა ასე უპასუხა:

*„კიდევ ერთი ბრძოლა პაკიაოსთან? უნდა დავჯდე და ყველაფერი კარგად მოვიფიქრო. ჯერჯერობით არ ვჩქარობ გადაწყვეტილების მიღებას. ჩვენს რიგით მეოთხე ბრძოლაში ყველამ იხილა, რომ სამართლიანობა აღდგა. ამიტომაც ვთქვი, რომ აღარ მინდოდა მენისთან ჩხუბი. მაგრამ ახლა სიტუაცია შეიცვალა და ვნახოთ, გვჭირდება თუ არა ასეთი ბრძოლა მე, მენის ან პუბლიკას. მხოლოდ ამის შემდეგ გავაკეთებ განცხადებას“.*

გია **თვალაბეიშვილი**

ჰოკეი. NHL პლეი ოფი

# ლუნდქვისტი–პრაისი: 1:0



რეინჯერსმა შვიდი გოლით დაიწყო

გუშინ, ჰოკეის ეროვნული ლიგის პლეი ოფში ნახევარფინალური ეტაპი დაიწყო. ექსპერტთა საერთო აღიარებით, „მონრეალსა“ და „რეინჯერსს“ შორის აღმოსავლეთი კონფერენციის ფინალი მეკარეების - **კერი პრაისისა** და **ჰენრიკ ლუნდქვისტის** დაპირისპირებად უნდა იქცეს. სწორედ ეს გოლკიპერები იდგნენ ერთმანეთის პირისპირ სოჭის ოლიმპიური თამაშების ფინალში და ის დუელი პრაისის გამარჯვებით დასრულდა.

სერიის პირველ შეხვედრაში ნიუიორკელებს ძალიან კარგი სტარტი გამოუვიდათ და პირველი პერიოდის შუაში ორი შაიბით იგებდნენ, ხოლო მეორე პერიოდში მონრეალელი **რენე ბურკის** მიერ გატანილმა ერთმა საპასუხო გოლმა მხოლოდ გაალიზიანა სტუმრები. მეორე 20-წუთეულის ბოლოს წარმატებული სათამაშო მონაკვეთის შემდეგ „რეინჯერსმა“ ფაქტობრივად გადაწყვიტა მატჩის ბედი. პრაისმა ძალიან ცუდად ითამაშა და 20 დარტყმაში ოთხი შაიბა გაუშვა. ის **პეტერ ბუდაით** შეცვალეს, თუმცა სათადარიგო მეკარემაც ძალიან არადამაჯერებელი თამაში აჩვენა - ხუთწუთიან მონაკვეთში სამი შაიბა გაუშვა. „რეინჯერსი“ ძალიან კარგად იყენებდა რიცხობრივ უპირატესობას და მონრეალური პუბლიკა იმედგაცრუებული ტოვებდა ტრიბუნებს.

ბრწყინვალე სტილში მოგებულ შეხვედრაში ნიუიორკელთათვის ერთადერთი ცუდი მომენტი იყო ერთ-ერთი ლიდერის **დერიკ ბრასარის** ტრავმა. ფორვარდმა მხოლოდ 35 წამი გაატარა მოედანზე და მეტოქის ზონაში შაიბისთვის ბრძოლისას მცველ **მაიკლ უივერის** ძალისმიერი ილეთის მსხვერპლი გახდა. ბრასარი საკუთარი ფეხით დაბრუნდა სათადარიგოთა სკამზე, მაგრამ თამაშის გაგრძელება ვერ შეძლო. ამ ფორვარდმა პლეი ოფის 15 მატჩში 7 ქულა (4+3) დააგროვა. „პიტსბურგთან“ სერიაში **პულიოს**, ბრასარისა და **ცუკარელოს** ტრიო ერთ-ერთი ყველაზე შედეგიანი იყო „რეინჯერების“ რიგებში.

ასევე უნდა აღვნიშნოთ „რეინჯერსის“ ფორვარდის **რიკ ნეშის** წარმატება - ის ზედიზედ 14 მატჩი ვერ ახერხებდა გატანას და სწორედ „მონრეალთან“ პირველ მატჩში შეწყვიტა „მშრალი“ სერია.

**1/2 ფინალი**

**მონრეალი–რეინჯერსი 2:7**

0:2, 1:2, 1:3

**გოლები:** 0:1 სან ლუი-4 (დ. მური-3, კლაინი-3), 0:2 ცუკარელო-4 (მაკდონაჰი-3, დ. მური-4), 1:2 რ. ბურკი-5 (ბ. ჯონტა-4, ელერი-6), 1:3 კრაიდერი-2 (რიკ ნეში-6, მაკდონაჰი-4), 1:4 ბ. რიჩარდსი-5 (ცუკარელო-6, მ. სტაალი-3), 1:5 მაკდონაჰი-2 (სტეპანი-5, კრაიდერი-2), 1:6 სტეპანი-3 (სან ლუი-6, მაკდონაჰი-5), 1:7 რიკ ნეში-1 (ცუკარელო-7, ჯ. მური-1), 2:7 ელერი-5.

**სერია:** 0-1

**1/4 ფინალი**

**ანაჰაიმი–ლოს ანჯელესი 2:6**

0:3, 1:2, 1:1

**გოლები:** 0:1 ჯასტინ უილიამსი-5 (მ. რიჩარდსი-3, ვოინოვი-3), 0:2 ჯ. კარტერი-4 (გაბორიკი-6, ტოფოლი-4), 0:3 მ. რიჩარდსი-2 (კინგი-2, კლიფორდი-2), 0:4 კოპიტარი-5 (დაუტი-8, კლიფორდი-3), 0:5 გაბორიკი-9 (კოპიტარი-14, მარტინესი-4), 1:5 პალმიერი-3 (კოლიანო-6, ბონინო-4), 2:5 პერი-4 (გეტცლაფი-11, ლინდჰოლმი-2), 2:6 პირსონი-2 (ჯ. კარტერი-7, ჯასტინ უილიამსი-6).

**სერია:** 3-4

**პლეი ოფი**

| გოლი+პასი | |
|---|---|
| კოპიტარი (ლ-ანჯ) | 19 (5+17) |
| გაბორიკი (ლ-ანჯ) | 15 (9+6) |
| გეტცლაფი (ანა) | 15 (4+11) |
| მალკინი (პიტ) | 14 (6+8) |
| პარიზე (მინ) | 14 (4+10) |
| საბენი (მონ) | 12 (4+8) |

| გოლები | |
|---|---|
| გაბორიკი (ლ-ანჯ) | 9 |
| ი. იოკინენი (ფინ) | 7 |
| მალკინი (პიტ) | 6 |
| პ. კეინი (ჩიკ) | 6 |
| ბიკელი (ჩიკ) | 6 |

| პასები | |
|---|---|
| კოპიტარი (ლ-ანჯ) | 14 |
| გეტცლაფი (ანა) | 11 |
| პარიზე (მინ) | 10 |
| სიბრუკი (ჩიკ) | 9 |
| მარიან ჰოსა (ჩიკ) | 9 |

**1/2 ფინალი. კალენდარი**

**აღმოსავლეთი**

**მონრეალი–რეინჯერსი**

მონრეალი-რეინჯერსი 2:7
19 მაისი. მონრეალი-რეინჯერსი
22 მაისი. რეინჯერსი-მონრეალი
25 მაისი. რეინჯერსი-მონრეალი
27 მაისი. მონრეალი-რეინჯერსი
29 მაისი. რეინჯერსი-მონრეალი
31 მაისი. მონრეალი-რეინჯერსი

**დასავლეთი**

**ჩიკაგო–ლოს ანჯელესი**

18 მაისი. ჩიკაგო-ლოს ანჯელესი
21 მაისი. ჩიკაგო-ლოს ანჯელესი
24 მაისი. ლოს ანჯელესი-ჩიკაგო
26 მაისი. ლოს ანჯელესი-ჩიკაგო
28 მაისი. ჩიკაგო-ლოს ანჯელესი
30 მაისი. ლოს ანჯელესი-ჩიკაგო
1 ივნისი. ჩიკაგო-ლოს ანჯელესი

ცხელი ხაზი

**კალათბურთი**

| NBA | |
|---|---|
| ინდიანა-მაიამი | 107:96 |
| **ევროლიგა** | |
| **მე-3 ადგილისთვის** | |
| ბარსელონა-ცსკა | 93:78 |
| **ფინალი** | |
| რეალი-მაკაბი | 86:98 (ო) |
| **გერმანია** | |
| ულმი-ალბა | 89:95 |
| ლუდვიგსბურგი-ბავარია | 75:82 |
| ტელეკომი-ოლდენბურგი | 72:71 (ო) |
| ერტლანდი-ბამბერგი | 83:75 |
| **ესპანეთი** | |
| სარაგოსა-კახა ლაბორალი | 75:88 |
| გრან კანარია-უნიკახა | 67:65 |
| კანარიასი-ბილბაო | 96:85 |
| ვალენსია-მანრესა | 92:59 |
| ობრადოირო-მურსია | 95:86 |
| ფუენლაბრადა-ვალიადოლიდი | 91:81 |
| კახასოლი-ხუვენტუდი | 83:81 |
| **საფრანგეთი** | |
| ნანსი-პარიზი | 90:73 |
| **თურქეთი** | |
| ბეშიქთაში-გალათასარაი | 64:66 |
| თოფასი-ბანვითი | 77:78 |

**ჰოკეი**

| მს. ჩემპიონატი | |
|---|---|
| კანადა-იტალია | 6:1 |
| აშშ-ყაზახეთი | 4:3 (ო) |
| შვედეთი-სლოვაკეთი | 3:1 |
| ფინეთი-შვეიცარია | 3:2 (ბ) |
| საფრანგეთი-ნორვეგია | 5:4 (ბ) |
| ლატვია-რუსეთი | 1:4 |
| დანია-ჩეხეთი | 4:3 (ბ) |
| ბელარუსი-გერმანია | 5:2 |
| სლოვაკეთი-იტალია | 4:1 |
| შვეიცარია-ყაზახეთი | 6:2 |
| კანადა-შვედეთი | 3:2 (ო) |
| აშშ-ფინეთი | 3:1 |
| რუსეთი-გერმანია | 3:0 |
| ჩეხეთი-ნორვეგია | 1:0 |

**ჩოგბურთი**

| ATP. რომი | |
|---|---|
| რაონიჩი-**ჯოკოვიჩი** | 7:6, 6:7, 3:6 |
| **ნადალი**-დიმიტროვი | 6:2, 6:2 |
| ნადალი-**ჯოკოვიჩი** | 6:4, 3:6, 3:6 |
| **ATP. დიუსელდორფი** | |
| მატოშევიჩი-**მანარინო** | 6:3, 3:6, 4:6 |
| **კარლოვიჩი**-კამკე | 3:6, 7:5, 7:6 |
| **ATP. ნიცა** | |
| კუკუშკინი-**დელბონისი** | 5:7, 3:6 |
| **როჟე ვასელენი**-გონსალესი | 6:3, 6:1 |
| **WTA. რომი** | |
| იანკოვიჩი-**ერანი** | 3:6, 5:7 |
| **ს. უილიამსი**-ივანოვიჩი | 6:1, 3:6, 6:1 |
| **ს. უილიამსი**-ერანი | 6:3, 6:0 |
| **WTA. ნიურნბერგი** | |
| **ნარა**-ნიკულესკუ | 6:3, 6:4 |
| ბენჩიჩი-**ბარტელი** | 6:7, 3:6 |
| **ჰერცოგი**-კუკალოვა | 1:6, 6:2, 6:1 |
| მოზერი-**ფრიდსემი** | 6:3, 0:6, 1:6 |

ფორმულა 1



კრისტიან ჰორნერი

# რედ ბული გენიოსს არ დათმობს

ავსტრიული საჯინიბოს „რედ ბულის“ ხელმძღვანელმა **კრისტიან ჰორნერმა** უარყო ჭორი იმის თაობაზე, რომ გუნდის ტექნიკური ხელმძღვანელი **ედრიან ნიუი** „ფერარიში“ გადადის სამუშაოდ. იტალიურ საჯინიბოში სეზონის სუსტი სტარტის შემდეგ სიტუაციის გამოსწორებას ლამობენ: „ფერარის“ ახალი შეფი **მარკო მატიაჩი** არ გამორიცხავს სახელოვანი ტექნიკური სპეციალისტების მიწვევას. მაგრამ ჰორნერი დარწმუნებულია, რომ „სამეფო რბოლებში“ აეროდინამიკის მთავარი გენიოსის ტრანსფერი „სკუდერიაში“ არ შედგება.

*„ასეთი ჭორები ედრიანის მომავლის შესახებ ყოველ წელს ჩნდება,* - ამბობს „ავტოსპორტთან“ კომენტარში ჰორნერი. - *მაგრამ ნიუი ყოველთვის ამბობს, რომ თბილი გრძნობები აკავშირებს ჩვენს გუნდთან. ედრიანი „რედ ბულის“ ნაწილია გუნდის დაარსებიდან და ის აქ გაცილებით დიდ როლს თამაშობს, ვიდრე წინა საჯინიბოებში. მას უყვარს ჩვენ მიერ შექმნილ ატმოსფეროში მუშაობა, ასე რომ, ყურადღებას არ ვაქცევ ასეთ ჭორებს. თუმცა კარგად გვესმის, რატომ სურს „ფერარის“ მისი ხელში ჩაგდება“.*

მოტოგრანპრი. მსოფლიოს ჩემპიონატი

# ჩემპიონის ხუთიდან ხუთი

მოტოგრანპრიში მსოფლიოს ჩემპიონატის მეხუთე ეტაპი წინა ოთხი რბოლისგან არაფრით ყოფილა განსხვავებული. მსოფლიოს მოქმედმა ჩემპიონმა **მარკ მარკესმა** მეხუთე პოული მოიგო, ჩააგდო სტარტი და შემდეგ „ჰონდას“ მოტოციკლის სისწრაფისა და საკუთარი ოსტატობის წყალობით სეზონში მეხუთე რბოლა მოიგო.

სტარტზე მარკესმა რამდენიმე პოზიცია დაკარგა და პელოტონის შუაში მოექცა. ის თავის კონკურენტების - **ხორხე ლორენსოსა** და **დანი პედროსას** უკან აღმოჩნდა და ფაქტობრივად მეათე ადგილიდან მოუწია რბოლის დაწყება. ლიდერთა ჯგუფი კი **დოვიციოზომ, ბრადლიმ, როსიმ** და **ესპარგარომ** შეადგინეს.

მარკესი სეზონში პირველი მარცხის წინაშე აღმოჩნდა, ამიტომაც სერიოზულად მოჰკიდა საქმეს ხელი და ჩვეულ სტილში დაიწყო კონკურენტების უკან ჩამოტოვება. უკვე დისტანციის შუაში მარკესი პირველი ადგილზე იყო! ყველაზე ბოლოს ლეგენდარული **ვალენტინო როსი** დანებდა, რომელმაც მანამდე დოვიციოზოსა და ბრადლის გასწრება შეძლო. მარკესის შეტევის მომენტში, იტალიელმა დამუხრუჭებისას მცირე შეცდომა დაუშვა და ეს ლიდერობის დაკარგვად დაუჯდა.

რბოლის მეორე ნაწილში მარკესი მშვიდად აკონტროლებდა სიტუაციას და არ გასჭირვებია ზედიზედ მეხუთე გრანპრის მოგება. მეორეზე გავიდა როსი, ხოლო პოდიუმი შეავსო **ბაუტისტამ**, რომელიც ესპარგაროზე, პედროსასა და ლორენსოზე სწრაფი აღმოჩნდა.

**საფრანგეთის გრანპრი**

1. **მარკ მარკესი** (ესპ, Honda) - 28 წრე; 2. **ვალენტინო როსი** (იტა, Yamaha) - +1,468; 3. **ალვარო ბაუტისტა** (ესპ, Honda) - +3,144; 4. **პოლ ესპარგარო** (ესპ, Yamaha Tech 3) - +3,717; 5. **დანი პედროსა** (ესპ, Honda) - +4,077; 6. **ხორხე ლორენსო** (ესპ, Yamaha) - +7,088; 7. **შტეფან ბრადლი** (Honda LCR) - +11,527; 8. **ანდრეა დოვიციოზო** (იტა, Ducati) - +22,103...

**საერთო ჩათვლა**

1. **მარკ მარკესი** (ესპ, Honda) - 125 ქულა; 2. **დანი პედროსა** (ესპ, Honda) - 83; 3. **ვალენტინო როსი** (იტა, Yamaha) - 81; 4. **ანდრეა დოვიციოზო** (იტა, Ducati) - 53; 5. **ხორხე ლორენსო** (ესპ, Yamaha) - 45; 6. **შტეფან ბრადლი** (Honda LCR) - 39; 7. **პოლ ესპარგარო** (ესპ, Yamaha Tech 3) - 38; 8. **ალეშ ესპარგარო** (ესპ, Forward Yamaha) - 37...

ცურვა

# ფელპსი იგებს დი რიოში მიდის



მაიკლ ფელპსი

18-გზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა **მაიკლ ფელპსმა** დიდ სპორტში დაბრუნების შემდეგ პირველი გამარჯვება მოიპოვა.

ჩრდილოეთ კაროლინის გრანპრიზე ამერიკელმა ყველას აჯობა 100 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში. ეს გამარჯვება პირველი იყო ფელპსისთვის თითქმის ორწლიანი პაუზის შემდეგ. ფინალში მაიკლმა 52.13 წამი აჩვენა და 0.59 წამით გაუსწრო მეორე ადგილზე გასულ ბელარუსს **პაველ სანკოვიჩს.**

გარდა ამისა, ფელპსი ფინალში გავიდა 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში, მაგრამ ბოლო გაცურვაში მონაწილეობა არ მიუღია, რადგან იმ მომენტისთვის უკვე მოპოვებული ჰქონდა ამ დისციპლინაში მსოფლიოს საგაისო ჩემპიონატის საგზური.

მოგვიანებით კი ფელპსის მწვრთნელმა **ბობ ბოუმენმა** განაცხადა, რომ მისმა შეგირდმა საბოლოო გადაწყვეტილება მიიღო 2016 წელს რიო-დე-ჟანეიროს ოლიმპიადაზე გამოსვლასთან დაკავშირებით. ოლიმპიადებზე 22 მედლის მფლობელი რიოში სამ ესტაფეტაში მიიღებს მონაწილეობას, აგრეთვე ძალებს მოსინჯავს ერთ ან ორი ინდივიდუალურ დისციპლინაში.

*„სამი ესტაფეტა, რომელშიც გამოსვლას ვგეგმავთ, უკვე სერიოზული დატვირთვაა. წინასწარი და ნახევარფინალური გაცურვების გათვალისწინებით, ჯამში ცხრა სტარტი გამოდის“,* - აღნიშნა ბოუმენმა.

მანვე დაამატა, რომ 2016 წელს ფელპსი უკვე 31 წლის იქნება და ისევ სწრაფად ვერ მოასწრებს გაცურვიდან გაცურვამდე ძალების აღდგენას, როგორც ამას ადრე აკეთებდა.

ამბები

**მხატვრული ტანვარჯიში**

## ტრაგედია საბერძნეთში

სიდნეის ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორი, ბერძენი **ანა პოლატუ** ავტოკატასტროფაში დაიღუპა. 30 წლის სპორტსმენის ავტომობილი ჩქაროსნულ ტრასაზე სატვირთო მანქანას შეეჯახა. პოლატუ ადგილზევე გარდაიცვალა.

2000 წლის ზაფხულის თამაშებზე ანამ საბერძნეთის ნაკრებთან ერთად მოიგო ჯგუფური ასპარეზობის ბრინჯაოს მედალი. ბოლო წლებში ის სამწვრთნელო სამუშაოთი იყო დაკავებული.

**ველოსპორტი**

## სქაიში როლები განაწილდა

ტურ დე ფრანსის 2012 წლის გამარჯვებული, ბრიტანელი **ბრედლი უიგინსი** წლევანდელ ფრანგულ ველომარათონში გამოსვლის შემთხვევაში შარშანდელი ტიტულის შენარჩუნებაში დაეხმარება თანაგუნდელსა და თანამემამულე **კრისტოფერ ფრუმს.**

*„უიგინსი ფრუმზე იმუშავებს. კრისტოფერის მოქმედება შარშანდელ ტურზე - თითქმის იდეალური იყო. ბრედლი დაეხმარება ფრუმს, თუ ეს უკანასკნელი შეძლებს ყვითელი მაისურისთვის ბრძოლას“,* - განაცხადა ბრიტანელების გუნდის „თიმ სქაის“ დირექტორმა **ასლე არვესენმა.**

შეგახსენებთ, რომ 2012 წელს ფრუმი დაეხმარა უიგინსს ტურ დე ფრანსის მოგებაში იმის მიუხედავად, რომ რბოლის მსვლელობისას არაერთხელ შეეძლო ლიდერობისთვის ბრძოლა.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

კალათბურთი. ევროლიგა. ოთხთა ფინალი



მაკაბი ევროლიგის ჩემპიონია

# სენსაცია მაკაბისგან!

ცხრაწლიანი შესვენების შემდეგ ისრაელის ჩემპიონი თელ-ავივის „მაკაბი“ კვლავ გახდა ევროლიგის ჩემპიონი. 2004-05 წლების სეზონში „მაკაბიმ“ ესპანეთის „ტაუ კერამიკა“ დაამარცხა გადამწყვეტ მატჩში. ამის შემდეგ იყო სამი ფინალი და სამივეში მარცხი (ორჯერ - ცსკა-თან და ერთხელ „პანათინაიკოსთან“).

**დევიდ ბლატის** გუნდი არც ამჯერად მიიჩნეოდა ფავორიტად. მილანში გამართულ „ოთხთა ფინალში“ ის სასწაულებრივ გადაურჩა წაგებას ნახევარფინალში ცსკა-ს წინააღმდეგ, როცა ბოლო წუთში ხუთქულიანი ჩამორჩენის გაბათილება და მოგება შეძლო. „რეალთან“ გუშინდელ ფინალში კი „ყვითლები“ რამდენიმე მიზეზით აშკარა აუტსაიდერებად მიიჩნეოდნენ. მადრიდელებს ზედიზედ ექვსჯერ ჰყავდათ დამარცხებული ისრაელის ჩემპიონი, აქედან ბოლო ორი მოგება წლევანდელ TOP16-ში დაფიქსირდა. გარდა ამისა, „რეალის“ ფავორიტის სტატუსი ნახევარფინალში „ბარსელონას“ 38 (!) ქულით დამარცხებამ გააძლიერა.

მაგრამ „მაკაბიმ“ შეძლო ყველა სკეპტიკოსის გაჩუმება და სენსაციურად მოიგო 2013-14 წლების სეზონი. ისრაელელთა სერიოზული განწყობა პირველივე მეოთხედში გამოჩნდა, როცა 10-წუთეულის შუაში „რეალს“ ხუთი წუთის განმავლობაში თამაშიდან ბურთი არ ჩააგდებინეს და ოთხქულიანი უპირატესობა მიიღეს. მაგრამ „რეალის“ სათადარიგოთა სკამიდან მოედანზე შესულმა **რეიესმა** ზედიზედ ოთხი ქულა აიღო და პირველი მეოთხედი „სამეფო კლუბმა“ ერთი ქულით მოიგო - 16:15.

„მაკაბის“ ყველაზე რთული მომენტი მეორე მეოთხედის სტარტზევე ჰქონდა, როცა 10:0 გაქცევის საშუალება მისცა მეტოქეს და დაფიქსირდა მატჩში ყველაზე დიდი სხვაობა - 26:15 „რეალის“ სასარგებლოდ. იგივე სხვაობა იყო დიდ შესვენებამდე ოთხი წუთით ადრე - 33:22. არავინ იცის, როგორ განვითარდებოდა მოვლენები ამ დარჩენილ ოთხ წუთში „მაკაბის“ საპასუხო შტურმი რომ არ მოეწყო. დიდ შესვენებამდე თელავივურ კლუბს 11:2 საპასუხო გაქცევა ჰქონდა და პირველი ტაიმის შემდეგ ჩამორჩენა მხოლოდ ორი ქულა იყო - 33:35.

მეორე ტაიმში ასეთი სპურტები აღარ ყოფილა - მაქსიმალური სხვაობა ანგარიშში ოთხი ქულა იყო. თამაში „რეალის“ ოდნავი უპირატესობით მიმდინარეობა - ესპანელები მუდმივად წინ იყვნენ და მესამე მეოთხედში მხოლოდ ერთხელ მისცეს მეტოქეს დაწინაურების საშუალება. ასევე მეოთხე მეოთხედის სტარტზე იყო „მაკაბიმ“ წინ, მაგრამ დევიდ ბლატის გუნდის ლიდერობა დიდხანს არ გრძელდებოდა.

და მაინც, ძირითად დროში გამარჯვების მეტი შანსი ისრაელელებს ჰქონდათ. სწორედ ისინი გავიდნენ წინ ოთხი ქულით - დაახლოებით წუთნახევრით ადრე სირენამდე, მაგრამ **სერხიო როდრიგესმა** და **ბურუსისმა** ოთხი საჯარიმო ჩააგდეს და მატჩი ოვერტაიმში გადაიყვანეს. არადა, რაისს შეეძლო ბოლო სამქულიანით „მაკაბისთვის“ თასის მოპოვება.

დამატებით დროში თამაშის სურათს უკვე „მაკაბი“ კარნახობდა: 5:0 და 7:0 გაქცევებით ისრაელის ჩემპიონმა ბრძოლას თითქმით აზრი დაუკარგა. ინტრიგის მაგვარი გააჩინა როდრიგესმა, როცა სამქულიანით სხვაობა 6 ქულამდე შემცირდა, მაგრამ ეს ფავორიტის დროებითი წარმატება იყო. „მაკაბის“ ლიდერობა სულ უფრო დამაჯერებელი ხდებოდა და 12-ქულიანი გამარჯვებით დასრულდა.

„მაკაბი“ მეექვსედ გახდა ჩემპიონთა თასის მფლობელი, „რეალმა“ კი ზედიზედ მეორე ფინალი წააგო. მადრიდელებმა თავი იმით უნდა ინუგეშონ, რომ გაისად „ოთხთა ფინალში“ მათ მშობლიურ სტადიონზე გაიმართება.

**1/2 ფინალი**

**ცსკა–მაკაბი 67:68**

19:16, 19:14, 17:15, 12:23

ც: კაუნი (14+5 მოხსნა+3 ჩაჭრა), ტეოდოშიჩი (12+6 მოხსნა), ხრიაპა (9+10 მოხსნა), უიმსი (6+6 პასი), ფრიძონი (6), ჰეინსი (6), კრსტიჩი (5), მიჩოვი (4), ვორონცევიჩი (3), ჯექსონი (2).

მ: ოჰაიონი (7+4 პასი), ჰიკმენი (10), სმიტი (7+9 მოხსნა), ბლუ (15), რაისი (13+5 მოხსნა), ტაიუსი (10+5 მოხსნა+3 დაფარება), შორცანიდისი (4), ინგლისი (2).

**ბარსელონა–რეალი 62:100**

20:20, 17:25, 11:28, 14:27

ბ: ტომიჩი (16+8 მოხსნა), ლორბეკი (8), ოლესონი (8), მარსელინიო (7), პაპანიკოლაუ (6+5 მოხსნა), ნახბარი (7), დორსი (5 + 6 მოხსნა), ნავარო (3), აბრინესი (2).

რ: ლიული (11+5 მოხსნა), დარდენი (6), ფერნანდესი (12), მიროტიჩი (19), ბურუსისი (7), როდრიგესი (21+6 პასი), რეიესი (11), კეროლი (7), სლოტერი (4+5 მოხსნა), მეჯრი (2).

**მე-3 ადგილისთვის**

**ბარსელონა–ცსკა 93:78**

21:24, 29:23, 19:17, 24:14

ბ: ნავარო (20), ლამპე (17+5 მოხსნა), ნახბარი (9), დორსი (9+12 მოხსნა), ოლესონი (8).

ც: კაუნი (13), კრსტიჩი (11), პარგო (9), უიმსი (8), ჰაინსი (8).

**ფინალი**

**რეალი–მაკაბი 86:98 (ო)**

16:15, 19:18, 20:20, 18:20, 13:25

რ: ლიული (0 + 8 პასი), დარდენი (7+7 მოხსნა), ფერნანდესი (15+8 მოხსნა), მიროტიჩი (12+7 მოხსნა), ბურუსისი (12+9 მოხსნა+4 დაფარება), როდრიგესი (21), რეიესი (12+6 მოხსნა), კეროლი (5), სლოტერი (2).

მ: ოჰაიონი (4+5 მოხსნა), ჰიკმენი (18+6 მოხსნა), სმიტი (15+7 მოხსნა), შორცანადისი (9), რაისი (26), ბლუ (14), ტაიუსი (12+11 მოხსნა+3 დაფარება).

ჩოგბურთი. ტურნირები

# როლან გაროსის რეპეტიცია ჯოკოვიჩმა მოიგო

„დიდი სლემის“ რიგით მეორე ტურნირის - როლანდ გაროსის ბოლო რეპეტიცია რომში შედგა. იტალიის დედაქალაქში მასტერსის ფინალი კლასიკური იყო - **რაფაელ ნადალი ნოვაკ ჯოკოვიჩის** წინააღმდეგ. წინა კვირას მადრიდის მასტერსი ესპანელმა მოიგო, მაგრამ იქ არ უთამაშია ჯოკოვიჩს, ამიტომაც გუშინდელი ფინალი რაფაელის სათამაშო ფორმის ერთგვარი ტესტი უნდა ყოფილიყო.

ნადალი მეცხრედ თამაშობდა რომის ფინალში, მასტერსის სერიის ტურნირებზე კი ეს მისთვის მე-40 გადამწყვეტი მატჩი იყო. რაფას იტალიის დედაქალაქში 14-მატჩიანი მოგებათა სერია ჰქონდა, თუმცა ისიც გასათვალისწინებელი იყო, რომ ბოლო სამ შეხვედრაში ჯოკოვიჩს ზედიზედ სამჯერ ჰყავდა დამარცხებული პრინციპული მეტოქე.

ჯოკოვიჩმა თავიდანვე აქტიური და რისკიანი ჩოგბურთი აირჩია, მაგრამ ამან სტარტზე არ გაამართლა: 1:1-ზე ნადალმა სამმაგი ბრეიკ-პოინტი მიიღო და მესამე ცდაზე აიღო მეტოქის მოწოდება. ესპანელს ყველაფერი გამოსდიოდა და მორიგი ბრეიკის შემდეგ 4:1 დაწინაურდა. სწორედ ამ რთული მომენტიდან შევიდა თამაშში ჯოკოვიჩი. მან დაიბრუნა ერთი დაკარგული მოწოდება და 2:4 გახადა ანგარიში, ნადალის მომდევნო ჩაწოდებაზე კი სამმაგი ბრეიკ-პოინტი მიიღო. ესპანელმა შეძლო ამ გეიმის გადარჩენა და 5:4-ზე პირველივე სეტბოლი გამოიყენა. პირველი პარტია 46 წუთს გაგრძელდა და ის ჯოკოვიჩის ბევრი უნებლიე შეცდომით აღინიშნა.

ამ ჩოგბურთელთა წინა ათ შეხვედრაში იმარჯვებდა ის, ვინც პირველ სეტს იგებდა, მაგრამ ეს ტენდენცია აღარ გაგრძელდა. მეორე პარტიიდან მოყოლებული, რაფას ოდნავ დაღლა დაეტყო, რადგან წინა ოთხ მატჩში კორტზე ჯამში 10 საათზე მეტი გაატარა. თუმცა, რა თქმა უნდა, ნადალი ბოლომდე იბრძოდა ყველა გათამაშებისას და ყველა გეიმში.

მეორე პარტიაში ჯოკოვიჩმა მეორე გეიმში ბრეიკი გააკეთა და 3:0 დაწინაურდა. იქვე ნადალმა ჯერ საკუთარი გეიმი აიღო, შემდეგ კი დაკარგული მოწოდება დაიბრუნა, ოღონდ იმისთვის, რომ შემდეგ გეიმში ისევ წაეგო თავისი მოწოდება. ნოვაკმა შანსი აღარ გაუშვა და 5:3-ზე სეტზე ჩაწოდება შეძლო. ამ პარტიაში ნოვაკი



ჯოკოვიჩის ტრიუმფი რომში

ბრწყინვალე იყო მეორე მოწოდებისას - ქულების 69 პროცენტი აიღო (ნადალმა - 29 პროცენტი). გარდა ამისა, სერბის ანგარიშზე 18 „ვინერსი“ მოდიოდა, ნადალმა კი აქტიური მოქმედებით მხოლოდ სამი ქულა აიღო.

მესამე სეტი სცენარით ძალიან ჰგავდა მეორეს. ჯოკოვიჩი ბრეიკით დაწინაურდა, ნადალმა ისევ შეძლო სიტუაციის გამოსწორება და... წააგო შემდეგი გეიმი საკუთარ მოწოდებაზე. ესპანელი განწირული ჩანდა, მაგრამ ერთი გაბრძოლება ისევ მოასწრო - 3:5-ზე მეტოქის მოწოდება 30:0-ით დაიწყო, მაგრამ ნოვაკმა მეტის უფლება არ მისცა, ბოლო ათიდან ცხრა ქულა აიღო და 6:3 მოიგო მესამე სეტი.

ჯოკოვიჩმა ზედიზედ მეოთხედ დაამარცხა ნადალი, რომში კი მესამედ გაიმარჯვა. მართალია, ეს ტრიუმფი სერბს რეიტინგში პირველ პოზიციას ვერ დაუბრუნებს, მაგრამ როლან გაროსისთვის ფსიქოლოგიურ დამაჯერებლობას ნამდვილად შესძენს. შეგახსენებთ, რომ სერბის პროფესიული კარიერაში ერთადერთი ტიტული არ მოიპოვება და ეს სწორედ საფრანგეთის ღია პირველობის მთავარი პრიზია.

**ფინალი**

**ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ)**-რაფაელ ნადალი (ესპ) 4:6, 6:3, 6:3.

# სერენა ფორმაში ყოფილა

ბოლო მომენტამდე გაურკვეველი იყო - შეძლებდა თუ არა რომის უმაღლესი კატეგორიის ტურნირზე თამაშს მსოფლიოს პირველი ჩოგანი **სერენა უილიამსი**. საბოლოოდ, ამერიკელი არათუ კორტზე გავიდა, არამედ კვირის ბოლოს კარიერაში საიუბილეო მე-60 ტიტული მოიპოვა. თან გახდა პირველი ჩოგბურთელი წელს, ვისაც უკვე სამი ტურნირი აქვს მოგებული.

სერენას ფიზიკური ფორმა მართლაც იწვევდა ეჭვს - მან ვერ დაიცვა ტიტულები ჩარლსტონსა და მადრიდში, ამიტომაც სულაც არ



სერენა უილიამსი მე-60 ჯილდოთი

მიიჩნეოდა რომში უპირობო ფავორიტად. ფინალამდე მას ერთ შეხვედრაში გაუჭირდა, როცა ნახევარფინალურ ეტაპზე წააგო სეტი **ანა ივანოვიჩთან**. სხვა მხრივ, ამერიკელს პრობლემა არ შექმნია.

ფინალში სერენას მეტოქე იყო იტალიელი **სარა ერანი**, რომელიც დიდი ხანია ველარ აჩვენებს მაღალი დონის ჩოგბურთს და ტოპ-ათეულიდანაც გავარდა. ასე რომ, რომის ტურნირის ფინალში გასვლა მისთვის ნამდვილი გარღვევა იყო, მაგრამ უილიამსთან უშანსოდ ჩანდა, რადგან მანამდე ექვსიდან ექვსი შეხვედრა ჰქონდა წაგებული ამერიკელთან.

ფინალში ბრძოლა მხოლოდ პირველ სეტში იყო. სერენას 51 წუთი დასჭირდა მასპინძლის წინააღმდეგობის დასაძლევად. მსოფლიოს პირველ ჩოგანმა 16 უნებლიე შეცდომა დაუშვა, მაგრამ უფრო აქტიური თამაშის წყალობით მაინც მოიგო - 6:3. მეორე სეტი აბსოლუტურად განსხვავებული გამოვიდა. სერენამ თითქმის იდეალური ჩოგბურთი აჩვენა - 15 „ვინერსი“ და მხოლოდ ორი უნებლიე შეცდომა ჰქონდა, ჯამში კი 5 ქულა დაუთმო მეტოქეს - 6:0 21 წუთში.

2012 წლის გრუნტის სეზონიდან მოყოლებული, სერენა უილიამსმა 55 მატჩი ჩაატარა ამ საფარზე და მხოლოდ ორჯერ წააგო: 2012-ში როლან გაროსზე **ვირჯინ რაზანოსთან** და წელს ჩარლსტონის ტურნირზე **იანა ჩეპელოვასთან**.

როგორც გითხარით, სერენამ კარიერაში მე-60 ტიტული მოიგო და გახდა მეშვიდე ქალი ჩოგბურთელი ისტორიაში, ვინც ეს ზღვარი გადალახა. მასზე წინ არიან: **მარტინა ნავრატილოვა** (WTA-ის 167 ტიტული), **კრის ევერტი** (154), **შტეფი გრაფი** (107), **მარგარეტ კორტი** (92), **ივონ გულაგონგი** (68) და **ბილი ჯინ კინგი** (67).

კრიმინალი

# სასტიკი ლამაზმანი

30 წლის სერფერი და ფოტომოდელი **ჯილ ჰანსენი** შაბათს ჰავაიში ხანდაზმულ ქალს ეჩხუბა და შემდეგ შურისძიების მიზნით მანქანით დაეჯახა.

როგორც ბრიტანული „დეილი მეილი“ წერს, გზაზე ამტყდარი ჩხუბის შემდეგ ჰანსენი საკუთარი „ფოლკსვაგენით“ გამოეკიდა უცნობ ქალბატონს და საცხოვრებელი კომპლექსის ახლოს გაიტანა ის.

სერფერი მანქანიდან გადმოვიდა და როცა დარწმუნდა, რომ 73 წლის ქალი, სახელად **ელიზაბეტ კონკლინი** ცოცხალი იყო, ისევ საჭეს მიუჯდა იმ მიზნით, რომ ან დანაშაულის ადგილიდან მიმალულიყო ან ხელმეორედ გადაევლო ქალისთვის მანქანით. ინციდენტის მოწმემ **კრის ჰორიმ** რკინის ნივთით ჰანსენის „ფოლკსვაგენის“ უკანა შუშა ჩაამსხვრია. შეშინებულმა სერფერმა მანქანა მიაგდო და დაიქცა. ექვსი საათის შემდეგ ის პოლიციამ დააპატიმრა.

73 წლის კონკლინი თავის ტრავმით საავადმყოფოში მიიყვანეს. მისი მდგომარეობა მძიმეა.

ჰანსენისთვის ეს არ არის პოლიციასთან ურთიერთობის პირველი შემთხვევა. მას რამდენჯერმე მოუწია ტესტის ჩატარებამ ფსიქიკურ მდგომარეობაზე. სასამართლოს გადაწყვეტილებით, სერფერს აკრძალული აქვს მშობელ მამასთან მიახლოება. არსებობდა ეჭვი იმის თაობაზე, რომ ჰანსენი მამის ახალი ოჯახის განადგურებას ცდილობდა დაქირავებული მკვლელის დახმარებით.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა



ჯილ ჰანსენი

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა
9 772233 382000

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე გია თვალაბეიშვილი (599 56 17 38); მოადგილე: ნიკოლოზ ნეფარიძე (595 09 03 28)
მხატვრული რედაქტორი: ვაჟა სიმონიშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: თამუნა ყულუმბეგაშვილი.
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).
პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2 19 60 13; 2 19 60 53. ელფოსტა: leloltd@gmail.com; მისამართი: იოსებიძის, 49. ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:45 ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: ვაჟა სიმონიშვილი
ტელეფონი: 238 84 44; 238 74 44 (რედაქცია). 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. სარეკლამო განყოფილება: 237 78 07; 2 38 78 70
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო“, 205262062. ბანკი „ქართუ“ CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608